



პროფესორები მწერობა

კ. ლორთქიფანიძე—პირველი იედა. ფ. ნაროუშვილი—
 ახალი მოსახლეობა. ე. პოლუმორდვინოვი—რკინის ძმები.
 კ. ზობოზიძე—ქალაქი. ბ. ბუაჩიძე—პროლეტარული
 მწერლობის ამოცანები. დ. დემეტრაძე—ამხ. ე. ბახტა-
 ძის წერილების შესახებ—ქართული მხატვრული პროზა
 1928 წელში. პროლეტარული მწერლობის დღიური:
 დროა წავიდეთ წინ—ალ. სულავა. რატომ მკვია ეული—
 ს. ეული. ბიბლიოგრაფია. კრონიკა.

24

იანვარი

~~N 1~~

სახეგამი
1927

1929 წლისათვის



1929 წლისათვის
საბჭოთა კავშირისათვის

ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

მიიღება ხელის მოწერა შემდეგ ჟურნალებზე:

„პროლეტარული მწერლობა“

(შესაბე წელი)

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგად.-პოლიტიკური ჟურნალი

წლიურად—4 მან., 3 თვით—1 მან. 20 კ.
6 თვით — 2 მან., ცალკე ნომერი—50 კ.

„ქართული მწერლობა“

(შეთხე წელი)

სრულ. საქართველოს საბ. მწერლების ფედერაციის ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და საზოგადოებრივი ჟურნალი.

წლიურად—6 მან., 3 თვით — 1-75 კ.
6 თვით — 3 მან., ცალკე ნომერი—65 კ.

„რევოლუციის მატინა“

საქ. კომპარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების პარტიის ისტორიული ჟურნალი.

წლიურად გამოდის 4 ნომერი

წლიურად—5 მან., ცალკე ნომერი—1 მან 50 კ.

„პ ი მ ნ ე რ ი“

საქ. ბავშთა კომ. ორგ. ცენტრალური ბიუროს და განსახკომის საყმა-წვილო დასურათებული ორკვირეული ჟურნალი—სკოლის ჰასაკის ბავშვთათვის.

წლიურად—5 მან., 3 თვით—1 მან. 50 კ.
6 თვით — 3 მან., ცალკე ნომერი—25 კ.

899.962.1/05

კ-82



ქლიპაძე შუაბი

პროლეტარული კულტურის, ჯეოგრაფიის

პროფესორული მხარობა

(25)

იანვარი

1929წ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური ორგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსაბიძის, ა. მაშაშვილის, შ. რადიანის
და დ. რონდელის რედაქციით.

სოხსტანტინე ლორთქიფანიძე

პირველი დედა

წინასიტყვაობის მაგიერ.

1928 წლის სექტემბრის 17-ს, საღამოს, ჩემი ოთახის კარებზე ფრთხილად დააკაკუნა ვიღამაც:— შემოდით, გავსძახე: კარები გაიღო, ჯერ გამოჩნდა ხშირი, ხუკუქუა თმით დახურული თავი; თვალები ერთხელ კიდევ შემეკითხენ, შეიძლება თუ არაო— და შემდეგ თავს შემოჰყვა ტანიც. ჩემ წინ იდგა ახალგაზრდა ტყავის ქურთუკით. ილიაში ამოჩრილ ქალღმერთით მაშინვე ვიცანი ჩემი სტუმარი— ერთი იმ ახალგაზრდათაგანია, რომლებიც რედაქტორებზე უფრო ხშირად იმყოფებიან რედაქციებში და დაატარებენ კანში ფაქიზათ ჩასმულ ხელთნაწერებს! გავიფიქრე მე და ხელი ჩამოვართვი, გამეცნო. მუშფაკელი. ერთხანს უხერხულად იჯდა. ტყავის ქურთუკზე მოშვებულ, ორ-სამ ძაფზე ჩამოკიდებულ ფოლაქს სრესდა, ათამაშე და; ფოლაქი მოწყდა და ხმაურით გაგორდა იატაკზე, მაშინ მუშფაკელმა რიდიტ შეკრული ხმით დაიწყო: — მოთხრობას ვწერ. ჩემი ახლობელ ამხანაგების ცხოვრებიდან ავიღე ერთი ამბავი. დამთავრებამდე მინდა წაგაკითხოთ, მითხარით თქვენი აზრი, ნაკლებ მიმიითითეთ... ერთი სიტყვით— შეჩერდა, ხელთნაწერი გაშალა— ღირს თუ არა გავაგრძელო, შემწევს წერის უნარი?

593

ხელთნაწერი დაეიტოვე. მას აქეთ რამდენიმე თვე გავიდა, ყოველდღე ველოდი მუშა ელს. არ გამოჩენილა. მივაკითხე მუშაკში: — მოსკოვში ვაგზავენს სწავლის გასაგრძელებლად — ვადმოშინს. ვადავწყვიტე დამებგვდა მოთხოვნა უცვლელად, დედნის მიხედვით გამოეცვალე მხოლოდ სათაური, „გაიანეს ნაბიჯი“-ს ნაცვლად, „პირველი დედა“ დავარქვი. ჩემი აზრით მოთხოვნის სიუჟეტს უკანასკნელი უფრო შეეფერება.

I

იატაკზე უძრავად დავარდნილი მაგიდის ჩრდილი შეირხა, ხაზების სიპეტრია შეეშალა, დაერღვა და ბავშვის გამოუცდელ ხელით გამოპრილ თაბახს დაედარა. ნელი-ნელ იატაკის ფერი გადაეკრა. (იატაკი ხისაა, შეუღებავ ფიცრებს მოყვითალო, ალაგ ღია ფერი აკრავს) ჩრდილმა დაიგრძელა ტანი, მიაწყდა კუთხეებს; თითქო ფეხი დაჰკრეს, შუაზე გაწყდა. ნახევარი იქავე გაჰქრა. ნახევარი კი გამოიქცა და კატასავით მიახტა მაგიდის დაჩარხულ ფეხებს, ისიც გაჰქრა. გათენდა.

თოთიაურმა გაახილა თვალები. ყველა ნივთები ერთ, მთლიან, ზურუსით მოცულ და სივრცის გარეშე მდგომ სხეულად ეჩვენება, დროს გრძნობა დაკარგული აქვს, გარემოსადმი კავშირს ვერ პოულობს. ამიტომ ისევ ერევა თვლემ და მხარს იცვლის. მერმე შებრუნდა აღმა და რიცკა კეფა თბილ ბალიშში ჩაეფლო, ტანში სასიამოდ გააზრიალა. ბრინჯაოს ფერი დაძარღული მკლავები გაშალა და შავრად გამოიძინების სურვილი აღეძრა. ფანჯრიდან შემოპარული ზლიონი ცივი წყალივით გადაესხა თვალებზე. ოდნავ შეათხიზლა. თოთიაური გრძნობს: ვერ გამოიძინებს თუ ხალათი არ ჩამოაფარა ფანჯარას, მაგრამ სიზანტე ძლევს და კვლავინდებურად განაგრძობს წოლას. მხოლოდ თვალებს წინანდელზე მეტად ჰკეცავს, რათა დაჰკარგოს სინათლის გრძნობაც. თვალებზე ძალის დატანება უფრო აჩქარებს მათ გამოთხიზლებას. თვალები თავისთავად, თოთიაურის უნებურად იღება.

— უნდა ჩამოვაფარო — გადასწყვიტა თოთიაურმა. წამოხტა.

— როგორ დამთენებია — წაილაპარაკა მან. გააზმორა. ხელი ხელს შემოჰკრა და პერანგი გადაიძრო. ეზოს ვადამყურე აივანზე გავიდა. ზარბად შეისუნთქა კოჯორის ნიავით ჩამოტანილი გრილი ჰაერი და როგოლებს შეახტა. წოლით დაძაბუნებული და შეკრული სახსრები სასიამოდ ატკაცუნდენ. კუნთებს სიმკვრივე შეემატათ,

ვატხოველდენ და როცა რამდენიმე წუთის ვარჯიშობის შემდეგ, თოთიაური რგოლებიდან ჩამოეშვა, თავი ისე მჩატეთ და ჯანიერად იგრძნო, რომ ღიმილი შეუთამაშდა და რაღაც დიდი, შინაგანი საქმე დაუძლეველ საქმის შესრულების სურვილი მოერიპო. ^{ქართული} ^{განა} ხედა. კვირტებ გამოყრაილი, თეთრ ყვავილებით შემკობილი ტყემლის ხე დაინახა.

— გაზაფხული მოდის!

ახლად დაქერილ თევზივით ცივმა და მოფართვალე დილამ და შეფოთლილმა ხეებმა დააბურეს, გამოაძღეს თვალები და სიხარული შემატეს თოთიაურს. ორმოცსადეხურიანი კიბე ხუთი ნახტომით ამოათავა. წყალსადენთან გაჩნდა.

— ვართანუშ არ გცივა?—გადასძახა ჩამრგვალებულ სომხის დედაკაცს. სარეცხი ეზოში გამოეტანა.

— რა დროს სიცივეა თოთიჯან, წუხელ ჩვენს მეეზოვეს ქურქიც არ სცივია, აი, —მიუგო დედაკაცმა და ალერსიანი თვალები შეავლო თოთიაურის დიდებულ გულმკერდს, ჯანითა და სისხლით აფეთქებულს. როდეს აიღო და წყალსადენს მიუახლოვდა.

— აგრე ადრე რამ აგაყენა!

— ქარხანაში მივდივარ, —თოთიაური გვერდზე გადა და ადგილი დაუთმო.

— დაიბანე თოთიჯან, დაიბანე—დედაკაცმა ბეჭებზე გადაჰკრა ხელი:—კვირასაც მუშაობ?

— ჰო შაბათობა გვაქვს;

— მართლა?!—სთქვა დედაკაცმა ისეთის კილოთი, თითქო ვაიგო შაბათობის შინაარსი:—როცა დაბრუნდები, ჩვენი ოთახის კარებს ნუ ჩაუვლი, შემოდი, —ხმა დაადაბლა, ტუჩები ყურთან მიუტანა:—ერთი ისეთი საქმე მაქვს თოთიჯან...

თოთიაურმა ტანი შეიმშრალა. ზელით შეწითლებულ მკერდზე ხელისგული დააბაგუნა და მისი ხმოვანების სისხვსით დაკმაყოფილებულმა გაიღიმა. პირსახოცი მხრებზე მოიგდო და ნახტომებით მიაშურა ოთახს.

* * *

აჩქარებულ და თანაბარ, თითქო სამხედრო მუსიკის ქვეშ შეწყობილ ნაბიჯებით, მიდის თოთიაური. მალაქუსლებიანი ჩექმების გუგუნნი, რომელსაც აფართოვებს ცარიელი ქუჩები, სიამოვნებს თოთიაურს:—რა ლამაზი ყოფილა! გაიფიქრა მან, როცა სასახლის წინ ვაშენებულ, ეხლა თხელი ნისლით თავწაქრულ ხეივანში შეაბიჯა:—



ყოველ დღით გადავდივარ ამ ხეივანს, მაგრამ ერთხელაც არ შემი-
ნიშნავს, რომ კიდეებზე ჩანწკრივებული ხეები თანეყოფა არიან
ერთმანათზე დაშორებული; როცა შეიფოთლებიან, მთლიანად და-
ფარავენ ფილაქანს; დაფარავენ თუ არა? თოთიაური შეიქრდა და
კენწეროებს ახელა.

ალიონი შეთბა. მზის მოკრძალებული სხივები გაეთამაშენ სა-
სახლეს და ააბრდღვიალეს ფანჯრები. თოთიაურის ყურთა სმენა
ქარხნის საყვირმა წაიღო. წამით გაოცდა (ორი წელია არ აგრი-
ლებულა კვირა დღით მათი ქარხნის საყვირი) შეუჩვეულობის გამო.
მერმე გაიღიმა.

— შაბათობაა, როგორც ჩანს არაფერს არ იკლებენ ბიჭები:
საყვირსაც აგუგუნებენ. — სწრაფი ტალღა სიხარულისა მიასკდა
მკერდზე, წყნარად გაიშალა და ხალისით გაუეონა მთელი სხეული.
რატომ! განა პირველად ესნის მისი ხმა? განა ეხლა გაივო შინაარსი
მისი მოწოდებისა! გუშინ, როცა უკანასკნელად შეტრიალდა და
შესდგა მანქანა, რომ ორშაბათამდე დღემილში ჩაეყურა გაზეთილი
სხეული, თოთიაური აიტუხა კარებთან. ამხანაგებს, რომლებიც იხ-
დიდენ სამუშაო გამურულ ხალათებს და ხელის დასაბანად მიიჩქა-
როდენ, გადასძახა:

— ამხანაგებო, დარჩით, მფრინავი მიტინგი უნდა მოვაწყოთ.

— რაო აგიტპროპო, ენა გეკაეება? — შეუტია გომბორელმა
ართანამ და ფუთიანი ჯილი ჯიქუო შეუთაჰაშა.

— დილიდან ოთხამდე წარცობაში, ოთხიდან საღამომდე — ეს
უჯრედო, ეს საწარმოო თათბირიო, ეს ადგილკომიო, ეს ამა და ამ
კომისიის სხდომაო, გაპარტახებული კი არა ვარ! თუ ბევრს არა-
ფერს წავეხმარები, ჩვენებით მაინც ვეჩვენები ოჯახს; კრებებს ხომ
არ გადავყოლებ ყველაფერს? — მიშართა ხნიერმა მუშამ გვერდით
მდგომ ახალგაზრდას; მაგრამ როცა დაინახა, რომ ახალგაზრდაც
იქნევს ხელებს და უარობს მიტინგის მოწყობას, მუშამ გაიფიქრა: —
ამას რაღა ჩემი დარწმუნება უნდაო, — და შავიღის ირგვლივ შეჯკუ-
ფული მუშები აათვალღერა, თითქო შიტ ნვის მოწყობის მომხრეს
ექტესო. ასეთად მარო შეიგულა, რომელიც სასროლ წრის ხელმძღვა-
ნელს, გიდონ ალანისას, მაგიდაზე ასასვლელად შებიძგებას სთხოვს.
მაროს მიუახლოვდა და თავისი მოს. ზოება გასაგონად გაუმეორა.
მერპე ტყავის ნაფხეკებით შეთხუჰნილი წინსათარი წყნარად მოიხსნა.
ქუდი დაიხურა და მოვალეობა მოხდილი კაცის სიმშვიდით გამო-
ვიდა ეზოში.

გიდონი წაატანს ხელებს წელში, ცალ ფეხს მაგიდაზე შეადგენ-
ვინებს, და როცა მარო მეორე ფეხსაც მოიმარჯვებს შესახტობად,
ხელებს გამოაცლის. მარო ვერ იჭერს წონასწორობას და დაეცა.
ბურად ისევ იატაკზე ხტება.

ბიზლიჩისეკა

— რას მაწვალებ! — ცხარობს მარო.

— კაცო, ვისადილებთ მაინც! — იყვირა ვიღაც გაუბედავი
ხმით, თითქო თითონაც არ სჯეროდა სადილობით, მიტინგის გადა-
ღების დასაბუთება.

— გვშია, გვშია — დაიღრიალა გიდონმა. აქამდე მაროსთან
ცულლუტობით ირთობდა თავს; როცა მარო ავიდა მაგიდაზე, უქმად
ყოფნა ვერ მოითმინა, ეპარება ამხანაგებს ზურგიდან და წვრილად
დამრგვალელებულ ქალაღს ყურის ბიბილოს ქვეშ უღიტინებს. სადი-
ლობის ხსენებამ ახალი საქმე გაუჩინა და აღრიალდა.

— ამხანაგებო!.. მარომ დააბაკუნა ფეხები, ლოყები წითლად
შეტკეცია, თავსაკრავი თვალზე ჩამოჭანებია: — ამხანაგებო — თავსა-
კრავი გაისწორა და ხმაურის გადაყვირება სცადა: — მდივანო, გა-
აჩუმე ხალხი, — წაჰკრა ხელი თავგადატვლეპილ ბექაურს, რომელიც
მშვიდად მიყრდნობია მაგიდას და სამოცდაათ კაცში, ერთი ინახავს
სიმშვიდეს. უჯრედი შეუსწავლია მანქანის ნაწილებივით. დილით,
როცა მანქანას გაზეთავს და ელდენს შეუშვებს, დადუმებული ბორ-
ბლები შეკრთებიან, შეტორტმანდებიან მოულოდნელობით. პირვე-
ლად იუცხოვებენ ელდენის მიკარებას, ზანტად ახრიალდებიან, ხან
მთლიანად ჩაიწყვეტენ ხმას და შეანელებენ ბრუნვას. ბექაური მშვი-
დად დგას მანქანასთან. იცის: რამდენიმე წამის შემდეგ ხრიალი
მწყობრ გუგუნად გადაიქცევა, ღვედები, რომლებიც ეხლა საცოდა-
ვით ეხახუნებიან ბორბლების ზედაპირს, აშრიალდებიან როგორც
შეფოთლილი ქადრები ქარში და ეგზომ გაამალეებენ ბორბლების
ტრიალს, რომ იქ, სადაც სჩანან მაჯების სისხო თუჯის თვლები,
ცარიელ, მბზინავ სივრცის გარდა, არაფერი არ შეინიშნება. უჯრე-
დი მანქანაა. იუცხოვებს პირველად სიახლეს, უწესრიგოდ ახმაურდე-
ბიან ბიკები, დაიზარებენ, მაგრამ მალე დადგინდებიან და ყველანი
მანქანის ნაწილებივით შეთანხმებულად აგუგუნდებიან. ბექაურს რა
ააღელვებს ერთის ან ორის უტიფარი ამოძახილი.

— ახალია, გამოუცდელი, — გაიფიქრა ბექაურმა, როცა მაროს
ცეცხლწაიკიდებულ სახეს შეხედა: — ჰკონია, თუ ერთ წამში არ ჰოა-
წრო და არ მოათავა სათქმელი, მუშები დაიშლებიან და მიტინგი
ჩავარდება; ტყულად არ წამოვწიეთ წინ, კარგი „აქტივისტა“ იქ-
ნება, მაგრამ მე რომ მუშების ჩაჩუმებას ვთხოვს, არ ვარგა. სრულ

სიჩუმეს მე კი არა, სიტყვის დაწყებამდე რაიკომის წარმომადგენელიც ვერ დაამყარებს. ალაპარაკდი, მუშები თავის თავად ვაჩუმდებიან. შენ ისეთი რამ უთხარი, რომ მოიწონონ! მოგინდებოდა, რომ ბუზსაც არ ააფრენენ.

წამით ხმაური შენელდა, მარომ იღროვა. დაიწყო იმგვარად, თითქო აქამდე ნალაპარაკებს აგრძელებდა.

— ამიტომ ამხანაგებო, ჩვენ მაგალითი უნდა მიგვეცა დანარჩენ უჯრედებისათვის, ყველაზე უწინ უნდა ჩაგვეტარებინა შაბათობა შრომის სკოლების სასარგებლოდ...

სიჩუმემ თანდათან გამოაჩინა და დაწმინდა სიტყვები.

— აკი ვამბობდი, დაიწყოს მეთქი! — ჩაიცინა ბექაურმა: — დიდხანს ნუ ილაპარაკებს, სხვებიც გამოვიდეს, გამოსთქვან თავიანთი შეხედულება, — წასჩურჩულა თოთიაურს და ხელების დასაბანად გაეშურა.

— შარია რალა! ჩვენი თავისუფალი კვირა უნდა შევსწიროთ შაბათობას. თუ აგრე საჭიროა, დილიდანვე გაგვანთავისუფლეთ წარმოებიდან: — ისარგებლა მაროს წუთიერ შესვენებით და წამოიძახა ართანამ,

— ნუ აწყვეტინებ, — შეუტია ქალარა მუშამ.

— თავმჯდომარე, სიტყვა მომეცი!

დაიძახა გიდონმა, როცა მარო მაგიდიდან ჩამოვიდა და დაჯდა. ბექაურს გაეცინა.

— წელან ერთი წუთითაც არ აპირებდა მოცდას, ეხლა კი თავმჯდომარეც გაიჩინა! — მაროს გვერდით მონახა დასაჯდომი. როცა ორივე დაჯდა, მახლობლად მდგომებიც ჩამოჯდნენ, ნელინელ წაბაძეს დანარჩენებმაც. ფეხებს შერჩენ გიდონი და ართანა: ართანას ქურთუკი ჩაეცვა. კარებს უდარაჯებს. მსხვილკუნთებიან, შავგვრემან სახეზე თხელ, თითქო უცაბედად შეყრილ წვერებს იწიწკნის და მოუთმენლად ქუჩისკენ იტყირება.

— რა გინდა? — მიმართა თოთიაურმა გიდონს, რომელიც ისე იქნევს ხელებს, თითქო ნაკვერჩხალი უტყირავს.

— წინადადება მაქვს.

— შემოიტანე, — სიჩუმე ამხანაგებო!

— შაბათობის საკითხი უჯრედზე გადავიტანოთ, გავარჩიოთ და შერე...

— დაიწყე შენებურად! — გაბრაზდა ბექაური; — გიდონი ცნობილია თავის წინადადებებით. მალე მოსწყინდება კრებაზე ჯდომამ. ვაი-ვაგლახით მოისმენს მოხსენებას, და თუ მის ირგვლივ საჭიროა

პრაქტიკული შენიშვნების ან რეზოლიუციის გამოტანა, ყოველთვის წამოხატება და იძლევა წინადადებებს: — ბიუროს მივანდოთ ან კონისია ავირჩიოთო, — ეხლაც, როცა ყვირილით ვერაფერი ვაქცევთ, რმალობის შესრულების მოთხოვნით შეეცადა მიტინგის გადაწყვეტას.

— ყოველი საკითხი უჯრედზე უნდა გაირჩეს, ასეთ არ შეიძლება, როცა თქვენ მოგეხასიათებათ მაშინ მართავთ კრებას და გვაცდენთ!

— მართალია, უჯრედზე გადავიტანოთ; — მისცა ბანი ართანამ და კარებს მოშორდა. იფიქრა: გილონის წინადადება გავა, მიტინგი გადაიდება და ჩუქად გაპარვა არ დამქირდებაო.

— რაა მართალი! — შეუტია თოთიაურმა: — უჯრედი სამშაბათს შედგება, ხვალინდელი კვირა რომ გავაცდინოთ, როდისღა უნდა ჩავატაროთ შაბათობა! სად გაბია თავი?

— ქუდის ქვეშ, — შენიშნა ვილაცამ. ართანას ქუდი ილღიაში ამოედო.

— არ ქონია თავის ადგილზე! — იოხუნჯა მეორემ. გულიანმა ხარხარმა — წამოაწითლა ართანა.

— მე ჩემი წავეიშუშავე და მორჩა, ზუჰეტად წამითაც არ გავანძრევ ხელებს; შენ კი, წყნეთელო ფარშევანგო, ეცაფე რომ შენმა გოგრამ მართლა არ გამოიცვალოს ადგილი!

— რახან აქამდე მოგვიცდია, შევკრებილვართ, ემანდ, ცოტაც მოვიცადოთ და მოვრჩეთ — წაილაპარაკა ნამძინარევი ხმით დამლაგებელმა ხუხუნიმ. ყოველთვის, როგორც კი ჩამოვარდება კრებაზე სიჩუმე, მაშინვე ჩაეთვლიშება. ხმაურზე ან გაცხარებული კაშათის დროს გამოიფხიზლებს და აუცილებლად ჩაურთავს დასამშვიდებელ ან შემარიგებელ სიტყვას. მერმე ისევ ჩაეთვლიშება, თუ მუუდროება რომელიმე დამსწრეთავანის მოუსვენარმა ხელმა არ დაურღვია. მაროს წინ გაჩნდა ქალაღდები. ქალაღდზე გამოუცდელმა ხელმა უსწორო, ჩამოგრძელებული ასოების გამოყვანა დაიწყო. სანამ — ოქმის წარწერას მოასწრებდა, თავმჯდომარედ არჩიულმა მუშამ სამანქანო განყოფილებიდან, ორი-სამი ჩახველების შედეგ, დაბუგული ხმით, თითქო ყელიდან ამოღება ეძნელება, გამოაცხადა.

— დღის წესრიგში შაბათობა და სხვადასხვა დგას; პირველი სიტყვა შაბათობის, — შეჩერდა. ბეჭურვა, — რომელიც გამოუცდელი თავმჯდომარეების განუყრელი თანამგზავრია, წასჩურჩულა: — საკავშირო მნიშვნელობაზე: — საკავშირო მნიშვნელობაზე, მოიტაცა ჩურჩული თავმჯდომარემ: — მიეცემა, — მობრუნდა, თვალებით თოთიაურ მონახა და დააბოლოვა: — თოთიაურს და სხვადასხვა.



— მიინც რა?! — თავმჯდომარემ ზარი დარეკა: — ნუ უშლით ირა-
 ტორს და სხვ... უკანასკნელი გამოთქმა აღარ გააგრძელა. სებაზე
 შესწორდა, ზარი აიღო, ენა თითებით დაიჭრა — უცაბედად ეწეოდა
 წკარუნოს და თამაში და თვალთვლება დაუწყა... ვერც კი შეეძლო
 თოზაზე მიმავალ თოთიაურს საყვირის ხმაში არასდროს იმდენი მშო-
 ბლიური არ უგრძენია, როგორც ეხლა. უჯრედის, მეტწილად მისი
 თაოსნობით აგუგუნდა კვირა დღით საყვირი, რომ ჩვეულებრივი მუ-
 შაობა გააჩალოს ასორმოცმა ხელმა (შეიძლება მცირედ ნაკლებმა,
 მოავრნდა გიღონის და ართანას საქციელი მიტინგზე) და ერთი ბა-
 ლაერი კიდევ მიიტანონ ქვეყნის მშენებლობის საძირკველზე. — რამ-
 დენი მსხვერპლის გაღება მართებს თითოეულ ჩვენგანს, რამდენი გა-
 რჯობობა, რომ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის ღიანდაგებზე გადავიყ-
 ენოთ! უნდა დაევიწყოთ რომ ჩვენ დაქირავებული მუშები ვართ,
 (აქ კიდევ ართანა მოიგონა) რომლებიც წავეიმუშავეთ რვა საათს და
 შერე ქა-ქვას დაღუღების გუნებაზე დავდგებით; წარმოება ჩვენია,
 ჩვენი! — დაენებით. თითქო ვინმე დაეკვებულს არწმუნებდეს გაიმეორა
 მან: — დედასავით, — თოთიაურს გაელიმა. ორი თვის წინათ, დილით,
 ქაჩხანაში წასასვლელად გაიზაღებულს მშობლიური მთებიდან ჩამოსუ-
 ლი დედა შეეფეთა კარებში. ჩამოუტინა თავანზე გამხმარი ყველი, კრე-
 ლი წინდები, ნაოქებმოყრილი სახე მოსიყვარულე დედისა და ბალახების
 და ბოსელის სუნი. ორი წლის უნახავნი, ჩაეხვიენენ ერთმანეთს. მე-
 დამ დედამ უკან დაიხია, ფეხებიდან ააყოლა თვალი და როცა შეი-
 ლის თვალებს გაუსწორდა, ორივემ გაიციინა — დედამ ხმა მალლა, ხე-
 ლის ხელზე შემოკვრით, შეიღმა წყნარად, თითქო დარცხენით და
 კვლავ ჩაიმალა თოთიაურის სახე დედის ჯოხებივით ხმელ მკლავე-
 ბში როცა საყვირმა შეაპო სიერცე, თოთიაურმა სწრაფად, რო-
 გორც თითზე ნაკბენმა, გამოსტაცა ხელები დედის იღლიებს და წა-
 ვიდა: — დედასავით, არა, ქაჩხანა სძლეეს დედას! მეტად დიდია მის-
 დამი სიყვარული! დიდი, დედაა, დიდი... და მისი მოგონებით, რომ
 მას ელის თავისებური, თუჯის ალერსით მანქანების დიდრონი მკლა-
 ვები, მკერდი გაუგანიერდა და აჩქარებული ნაბიჯებით შეიღო
 ტყავულობის ქაჩხნის ალაყაფის კარები.

* * *

იმ დროს, როდესაც თოთიაური მზით და ამხანაგების ხმებით
 გაესებულ მოედანში შევედა, ორსართულიანი სახლის ერთ ერთ
 ოთახში, საწოლიდან წამოხტა ახალგაზრდა ქალი. შეშინებული თვა-
 ლები მოიფშვინა და უკმაყოფილოთ მიაქცია ქმარს.

— მცირეოდენი ხათრი მაინც დაიჭირე ამხანაგო! ყურთონ რომ არ დამიკალო ალიონზე თოფი არ იქნება?

ოთახში თოფის წამლის სუნი და ბოლი დგას. საწოლზე საცვლების ამარად წამოჯდარმა გილონმა უტიფრად ვმძიმნაწმნა


— ბუზებმა არ დაგიფრთხოს ძილითქო, ვხვტვტვტვ

— უხეში ოხუნჯობა ეკალიეთ მოხვდა გაიანეს.

— კედლებს მაინც რათ აობრეპ! თლათ ჩამოიყარა კირი და მიწა, სალორეს დაემსგავსა ოთახი.

— თავი გაანებე ლათაიებს!— გილონმა თოფი გვერდზე მოიღო. მიწვა. დიდის გატაცებით ეტანება სროლას გილონი. უყვარს ვნებიანად და ეს სიყვარული ავადმყოფურ ზნეს უფრო მიაგავს, ვინემ ჯანიერ მოთხოვნილებას. გილონი საკლებო ტირების განუყრელი სტუმარია. უკანასკნელ სადილის ფულს იქ, მიახარჯავს მერე მოდგება გვერდზე და გულდაწყვეტით დაუწყებს ცქერას დანარჩენ მსროლელთ. მაშინ ისინი გილონზე ბედნიენი ნხოლოდ იმით არიან, რომ რამდენიმე შაური კიდევ გააჩნიათ ჯიბეში. თუ ნაცნობი მოადგება ტირის ბარიერს, გილონი ტვინს ამოჰამს თხოვით: — ერთი მასროლიე უარის მთქმელს მაგრად შეუყურთებებს, ზურგიდან წამოეპარება ჯილას მკლავზე დაჰკრავს და მომიზნებულ, ჩახმახ შეყენებულ თოფს უდროოდ დააცემინებს. დიდი ხანია ჰქონდა საკუთარი თოფის შექმნის სურვილი. მონადირეთა კავშირის მალაზიაში „გეკოს“ ყალიბის თოფი შეიგულიანა. შეუდგა სათანადო თანხის გროვებას; ამდროს გავარდა ხმა, ეწყობა კომკავშირის უჯრედების სასროლ წრეების შეჯიბრი, საუკეთესო მუშა კომკავშირელ მსროლელზე. გილონი აფეთქდა: — ჩვენს უჯრედში სასროლი წრე ჩამოუყალიბებელია, მაშ შეჯიბრზე მონაწილეობის უფლება უნდა დამეკარგოს? გაიფიქრა მან და დაფაცურდა. მორიგ უჯრედზე წრის დაარსების საკითხი დასვა. ხარხარი დააყარეს. ერთმა თქვა: — ისე დაიწებით ლაპარაკობ, თითქო ვინმე ეწინააღმდეგება წრის დაარსებას! მეორემ დააყვედრა: — როცა მოგანდეთ არაფერი გააკეთე, ეხლა ბიუროს გადარჩევის ვადა მოახლოვდა; წრის მუშაობის საანგარიშო მოხსენება ჩასაბარებელი გაქვს, სახელდახელოდ გინდა შეთი თნო წრე, რომ თეთრად გამოიყვანო თავი! მესამე მიესალმა: — რაც იყო იყო, მუშაობის განახლება წყურია, დეე... სხვამაც სხვანიარად თქვა და საბოლოოდ გილონს მიენდო წრის ჩამოყალიბება.

— ღმერთო! — აღმოხდა გილონს, როცა თოფის კონდახი მარჯვენა ბეჭში ჩააჯინა და თვალი კორას გაუყარა. შერცხვა: — ღმერთ-



თის დედაც... ჩაილაპარაკა ყრუდ. როცა ბარიერს მიუხელოვდა და თოფი უკანასკნელად დაუმინა ნიშანს, ხელები აუკანკალდა. ისეთი დაღლილობა იგრძნო თითქო შორი გზა მოეგლოს. 99 ქულა [შემაჯობა] ვა, ეს უკანასკნელი გასროლა გადაწყვეტს ყველაფერს და ჩაილაპარაკა წაართმევს პირველ ჯილდოს. გული აუჩუყდა. ოფლში გაიწურა და რალაც გასამხნევებელი ბგერა ამოიღო. ტუჩებზე ღმერთი შერჩა.

— ღმერთის დედაც... გაიმეორა და თოფი ჩამოიღო: —საყელო მაწუხებს! —გაიფიქრა მან. გაიხსნა, მაგრამ ის რაც აწუხებდა, მაინც არ გაჰქრა, მოიხედა უკან, მისგან რამდენიმე ნაბიჯის სიშორით დგას ვორობიოვი. შეეჯიბრზე მხოლოდ ორმა, მან და გიდონმა შეკრიბეს თითქმის თანაბარი რაოდენობის ქულა.

ვინ მიიღებს ამ ორში პირველობას? ყველანი დაჭიმულ მოლოდინით, სუნ-ნაკრავ მეძებარ ძაღლებივით კისერ დაგძელებულნი ელიან თოფის უკანასკნელ ხმის გაგონებას. ვორობიოვს ღელვის ნატამალიც არ ეტყობა. იღიმება. მშვიდად ელის თავის რიგს.

— ისე უდარდელად დგას, თითქო ჯილდო ოთახში ქონდეს ჩამოკიდებული! იქნებ იმედოვნებს რომ დაეცემა.

ნერვიულად შემოსალტა სავაზნე კოლოფი და ისეთი უსიამოვნო გრძნობა შეეპარა, თითქო სიციხეში ჩავარდა. ყელი ამოეწვა.

— ამხანაგო რას აყოვნებ! — გადასძახა ეიურიმ. გიდონი შეიჩხა. გაიმართა. ორი მტკიცე ნაბიჯი მიართქა ბარიერს, სწრაფათ გადმოიღო თოფი და დააცემინა ჩახმახი.

— მოხვდა; —დაიძახა ეიურიმ.

გიდონი მობრუნდა და სროლის ხმაზე წამოშლილ ამხანაგებს სულელურად გაუღიმა.

საუკეთესო სროლისათვის გიდონ აღანიას. —ღლეში ათჯერ მაინც წაიკითხავს თოფის კონდახზე ვერცხლის ასოებით გამოყვანილ წარწერას. სანაქებოთ უვლის აღებულ ჯილდოს. ხმარების შემდეგ დაშლის, წმენდავს, აწყობს. მთელი მაგიდა ზეთით და ნავთით გაყენთა. უჯრები ტყვიით, წამლით და ხელსაწყოებით ამოავსო, ფოთოლის ოდენა ადგილი არ გამოიჭრება კედელზე რომ ტყვიით დაცხრილული და ჩამოღლებილი არ იყოს. თავისუფალ დროს ტყე-ტყე სიარულს ანდომებს.

გაიანემ ჩაიკვა. გაბოლილი ნავთქურა აანთო და ჩაი მოადულა.

— ადგომას არ აპირებ?

— ჩაის აქ დაეღეე. —უპასუხა გიდონმა.

— ადგომა მარტო ჩაის დასალევით არი საქიროს! რატომ იგვიანებ შაბათობაზე.

— ჩაი დამალევიე, ჩაი! — შეაწყვეტინა გილონმა, სასთუჯალთან სკამი მოიჩოჩა.

— ადექი და დალიე, დამბლა ხომ არ დაგტყავს! ჩიქოჭიქო მეხად გაიანემ.

როცა გაიანე ისე წამოიზარდა რომ დედის გამოხატვალ კრელ პერანგებმა, მისთვის საყოფი სკაბე არ ამოიკრეს, როცა გაიანეს საწილო ლუკმამ საგრძნობლად შეამცირა კოდში ფქვილი, მოხუცი მამა მიხვდა, რომ მისმა ჩაქანგებულ მკლავებმა ზედმეტი ოფლი უნდა გადმოიღინოს. ოფლს გადმოიღინეს, მაგრამ სად? ერთი ქცევა მიწა რამდენიც გინდა ანაყოფიერე ოფლით; სიმიინდი ცხრა ტაროს მაინც არ გაიკეთებს და ლობიო მაჯების სისხო პარკს არ გამოისხამს, ჯერ ორნი იყვნენ, ცოლი და ქმარი, ერთი ქცევა მიწა ჰქონდათ, ძლიეს ყოფნიდათ. ცხრანი გაჩნდნენ, მიწას ზედმეტად ერთი საჩეჩმე ადგილიც არ მომატებია; ეხლა სულ აღარ ყოფნით მოსავალი და ერთ მშვენიერ დღეს, 14 წლის გაიანე ხელზე მოსამსახურედ მისცეს მდიდარ ნათესავს ქალაქში:

— როგორც შეილს, ისე გამოგიზრდი, ოჯახობას ვასწავლი, ხალხს გადახედავს, თვალი გაეხსნება და განათლდება! — დაპირდა ნათესავი აცრემლებულ მშობლებს. პირობა შეასრულა, ისეთის გულმოდგინობით ასწავლიდნენ გაიანეს ოჯახობას, რომ საწყალი გოგო მზათ იყო, ეთქვა: — არაფერი არ მინდა თქვენ ოღონდ გამიშვიტ... მაგრამ სად, სად წახვალ? სოფელში სილატაკის თოკებით დაბმული ოჯახი, ქალაქში, ვინ გაუკლევს გზას? და მდიდარ ნათესავის ოჯახში ცხოვრობს გაიანე, ყველას უნდა დაასწროს დილით ადგომა, რომ ყველაზე გვიან დაწვეს. ჯაფით წელგაწყვეტილ გაიანეს სიცოცხლის ნათელი წერტილი არის ის პატარა დრო, რომელიც დაწოლის შემდეგ, ჩაძინებამდე რჩება მას. საკუქნაოში მარტო დარჩენილი თავგების ხმაურის ქვეშ მიეცემა ბავშურ ოცნებებს და სოფლის მოგონებებს. მიდიოდნენ დღეები და იმეორებდნენ ერთი-მეორეს, სანამ თვრამეტი წლის გაიანემ მოკრძალებულ ხელებით არ შეალო კომკავშირის კარები. ბრუ-დამხვევი სისწრაფით გაქანდა შემდეგ გაიანეს ცხოვრება. ხარბად გაიშლა, აიწყვიტა, თითქო მოინდომა იმ ცარიელი ადგილების შევსება და ანაზღაურება, რომლებიც უკულმართმა დროებამ გაუჩინა მას, თავისუფლად ამოისუნთქა და თვრამეტი წლისამ პირველად შეიგრძნო თავის თავში ადანინი, რომელ-

საც შეუძლია დიდებული სიკოცხლე საკუთარ სურვილებს და ბო-
ბონილებებს მიახარჯოს. ამ გრძნობამ ათასჯერ ნახული და გაც-
დილი საგნები და მოვლენები სხვანაირად გამოიჩინა. კარს და კარს
დოვანი თალები, შეფთოლილ ხიების ნოყიერი სურვილები და მისი
გუგუნი, ადამიანთა მხიარულება და მწუხარება, მათი საქმიანობა და
მისწრაფება, რომელთაგან აქამდე გამოყოფილად გრძნობდა თავს,
დღეს მოუახლოვდა და განიცადა გარემოსადმი უზარმაზარი კავშირის
არსებობა. მიხვდა რომ ისიც, გაიანეც, მიუკლებელი ნაწილია იმ-
ათანაირ ფერადებით დახატულ სურათისა, რომელსაც სიკოცხლე
ეწოდება. ხარბად ჩაება გაიანე კოპკავშირის მუშაობაში. საზოგადო-
ებრივ არეს გაფართოება თანდათან უნვითარდება სასტოკ სიძულ-
ვილს ისეთ მოვლენათა მიმართ, რომელთაც შეეძლოთ მისი საქმიან-
ობის შენელება, შევიწროება. ერთ ერთ ასეთ მოვლენად მიჩნდა
ქმარი, ოჯახი, და როგორც შევლი მონადირეს, უფრთხოდა მამაკა-
კაცებთან დიდი ხნით კავშირს. ნათესავიდან წასვლის შემდეგ გაიანე
თოთიაურის ოთახში დაბინავდა დროებით.

— სახამ ოთახს ვიშოვიდეთ, ჩემსას დაგიტოვებ. მე ბექაურთან
გადავალ; — უთხრა თოთიაურმა. თავისუფალ საღამოებს ერთად ატა-
რებდენ. მოადულებდენ ჩაის, შემდეგ ორივე მოკალათდებოდენ ტახ-
ტზე და გაიანე გადიქეოდა სმენად. თოთიაური უკითხავდა პოლიტ-
ანბანს ან მოუთხრობდა რევოლიუციის გამოჩენილ ბელადების ცხო-
ვრებას. ხშირად მისივე თქმული გაიტაცებდა თოთიაურს. კვიანურს,
მიმზიდველ სახეზე შთაგონებულვით აწებებოდენ თვალეები. დიდე-
ბული იყო მაშინ მოსახმენად. სიტყვებს ემატებოდა გამომსახველობა
და ყოველა ბგერა ისე განიჩეოდა ერთი მეორისაგან, როგორც
სიტყვები.

— ნეტავი როდის, როდის შეესძლებ წაუკიდო სხვას ცეცხლი,
როგორც შენ ეხლა მკიდებ და მიმორჩილებ! ფიქრობდა გაიანე. როგორც
გამოცდილ მოქანდაკის თითებს თიხა, ემორჩილება გაიანე თოთია-
ურის სიტყვებს. სადაც დაჰკრავს, იქ რჩება კვალი და ძნელია მისი
ამოშლა. თოთიაური არ არი ლამაზი. სანტიმენტალური რომანების
აქტორები მეორე ხარისხიან გმირ ქალსაც არ შეაყვარებდენ თო-
თიაურს, რომ ენახათ მისი სახის უსწორო და ბლაგვი ხაზები და
მალალი, ნამგალისებრ მოხრილი ცხვირი. მაგრამ ეს სახე ისეთის
ჯანსალობით ფეთქდა, იმდენ შინაგან საძლიერით მეტყველებდა,
რომ ხშირად გაიფიქრებდა გაიანე:—მე არ ვიცი რა არის საერთოდ
სილამაზე, მაგრამ თუ ვინმეს აქვს, ყველაზე მეტად თოთიაურს.

ერთ საღამოს, ღამის ორ საათამდე შერჩენ საუბარს ოთახში იღვრება დამაწყნარებელი სიტბო.

— როგორ მეზარება წასვლა, — სრული გუფუფუფეობით წამოცდა თოთიაურს. დიდი ხნის ჯდომით მოხუთულ კისრებზე დაძაბვა; მერმე გაიფიქრა: თქმული ცუდად არ გაიგოს გაიანემ: უმაღლე დაატანა.

— ნახვამდის, ზეგ შემოვიარ; — ხელი ჩამოართვა: თითქო დაავიწყდა მისი დანიშნულება, უკან წამოღება ვერ მოახერხა. რამდენიმე წამით შერჩა მისი ხელის გული, გაიანეს ხელის გულს. მცირეოდენ ღელვით, თითქო სასულე გაეგუბა და სუნთქვა გაუძნელდა, გაიანენ თქვა:

— დარჩი.

მეორე საღამოს თოთიაურმა რამდენიმე წიგნი და ქვეშაგები გადმოიტანა ბეჭურდნად.

გაიანემ ერთი წელი მთებში გაატარა. აქ არსებობდა კომკავშირის უჯრედი, რომელსაც თერთმეტი ჯმუხა, ჩასკვნილ ბიჭების და გაკვამლულ მიწურის გარდა, არაფერი გააჩნდა. შევლივით მფრთხალი მთიელი ქალები სათოვეთ არ ეკარებოდნენ უჯრედს. მიწურში გამოკეტილი უჯრედი გაიანემ მინდორზე გამოიყვანა, გამოიჩინა და ჯერ პირველ თოვლს არ შეეფიფქა ტანძალალ ქედების ყელი, რომ პირველი ქალიშვილი ხელების უხეობულ მოძრაობით შემოვიდა მათ წრეში. საღამოს ამ ქალიშვილს ტკიოდა მენჯის ძვლები და მაუცხენა ლოყაზე აჩნდა წითლად აბურცული დალი ჭლაგვი თითებისა. გალახა მამამ. ერთი თვის შემდეგ კოელი ძაფებით დაგვირისტებულ გულისპირში, ძვირფას საუნჯესავით ატარებდა კომკავშირის ბილეთს. პიოველი და მეორეც გაიანეს შეშვებობით მიიღო.

გაიანემ რამდენიმე კვირა თემკომის მდივანთან იცხოვრა. ეს კაცი ლანდივით დასდევდა მის ნაფებურებს, ჩასწორებულბდა საურფილო შაირებს, ეფიცებოდა სიყვარულში და ტარიელობას ჰპირდებოდა. მომბაზნებელი და გაუგებარი იყო ყველაფერი ეს გაიანესათვის.

— რა დაგეშართა ამხანაგო, რავე ქრთამრვით მაძალებ ამ შენ სიყვარულს! ისე ჩამციბიხარ, თითქო გადამაღული მაქ რამე და ფიცით გინდაგამომჩენიო:

— ხშირად მინდიხარ, — ამბობს შეყვარებული მდივანი.

— როცა დრო მაქვს და სურვილი, ხომ მოვდივარ! — პასუხობს გაიანე, მდივნის ცხოველურ სულწასულობით განცვიფრებული. არ იშლის თავისას მდივანი; საფრთხე მოელის გაიანეს, მის სიყვ-

რულში თავის პიროვნების შევიწროებას ხედავს. ერთმა გარკვეულმა მეტის გარკვეულობით დაუმტკიცა ეს. საქმეებმა შეზღუდეს ფიქრი გადაიყვანა დილით, საღამოთი იქაურმა ამხანაგმა გამოაცხადო, რომ ნამდევ, ამხანაგი შინ მიიბატიყა, დაასვენა, ავახშმა. სტუდარი წასვლას აპირებდა, რომ კარები მდივანმა შემოალო. თვალები იქვმა ჩაუბნელა და ამხანაგის გამგზავრების შემდეგ, ეს იქვეები მალალი ხმით გამოსთქვა:

— ხუთჯერ გავათიე მასთან ღამე და უკვე ჰკონია, რომ მიყიდა! — გაიფიქრა გაიანემ. ისინი დაშორდენ.

როცა ქალაქის სადგურს მიაკივლა მატარებელმა და გაიანეს ყურმა მიილო დაუცხრომელი გუგუნის საყვარელ, აგურისფერ ქალაქისა, პირველმა გააზრებამ თოთიაური მოჰგვარა.

— ჯერ რაიკომში შევიარ, მერე ვნახავ; — მაგრამ ფეხებმა თავის თავად მიატრიალეს თოთიაურის ბინისაკენ: — რალაც ვაწუხებს და მოიშორე! — დაეთანხმა გულიც,

თოთიაურის წინ აღარ იდგა პატარა გაიანე. (ასე ეძახდა უწინ) დაქალბუკლა, სხეულის ნაწილები მტკიცედ დაყალიბებულა და გამომსახველობა შემატებია. გაიანემ გადმოშალა ერთი წელი მთებში მუშაობისა. ახარებს თოთიაურს მისი სალი შეხედულებანი სოფლად მუშაობის შესახებ, ახარებს თოთიაურს მისი სხეული, ახალგაზრდობით გულოვნათ მფეთქავი. ხარობს თოთიაური და როცა ფანჯრების მიწაში შემოიხებდა საღამომ და ჩამოიტანა ძველი, ნაცნობი, დამაწყნარებელი სიჩუმე, ეუბნება გაიანეს:

— მოხვალ ღამით?

გაიანე შეკრთა: — არაფერი არ იცის, საიდან ეცოდინება? თოთიაურის ხილვით გახარებულს, გადაავიწყდა რამაც მოიყვანა მასთან: — რალაც ვაწუხებს და მოიშორე! — კვლავინდებურად დაჰკრა გულმა; რა არი ეს! სინანული? რასაკვირველია არა. დაჯდა გაიანე და უამბო ყველაფერი.

თოთიაური წამოდგა, ჯიბეები მუშტებით გამობერა და ნელი სტვენით გაიარა ოთახში. მწარედ გაეცინა:

— ხედავ, როგორ მიმძიმს სიტყვის ამოღება! ასეთი მაგალითი ჩემი ამხანაგების ცხოვრებაშიაც მომხდარა, ისინი აღუფოთებულან, გამწარებულან. მე დავცინოდი მათ, არავითარ ცუდს არ ვხედავდი მათი ცოლების მოქმედებაში: მოხსენებაც გავაკეთე უჯრედში ამის შესახებ, მაგრამ აი ეხლა, როცა საკითხი პირადად მე შემეხო, მიმძიმს შერიგება... რალაც უეცრად მოხდა, ასე მოულოდნელათ, მით უფრო ჩვენს შორის არავითარ უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი...

— რას უნდა შეურიგდე, რა გიმძიმს? — სურს შეგკითხოვს, გაი-
ანე. თავი შეიკავა. ამ საკითხების ჩიჩქნა და გარკვევა რაღაც ვალ-
დებულებას მოახვევს თავზე და უნებლიედ თავის მარჯულზე დააწი-
ყებინებს. თავს ბრალდებულნი იმართლებენ. გაიფრეხ — დროის შემოქ-
მედებს ბრალდების წამოყენების უფლებას. თავისუფალია და ყო-
ველგვარ პირობების გარეშე ეძლევა მამაკაცს.

შეხედა თოთიაურის ჩაფიქრებულ შუბლს:

— რამ გამოამგვანათ ასე ერთმანეთს! ყველანი უფლებას მიც-
ხადებს და რაღაც სულელურ ერთგულების დაცვას მოითხოვენ ჩემგან;
თოთიაურის დუმილი აბრაზებს გაიანეს.

— მადანაშაულებს დუმილით! — სხვა დროს ისინი დუმილში არ
ჩაატარებდნენ ამდენხანს. ილაპარაკებდნენ. თუ სალაპარაკო დაეღეო-
დათ, დაშორდებოდნენ ერთმანეთს ან გაისვინებდნენ. ყოველ შემ-
თხვევაში არ დადუმებოდნენ; — ეხლა კი ისე ვდუმებართ, თითქო რა-
ღაც უჩვეულო ამბავი მოხდა, დამოკიდებულება შეგვეცვალა! თავისი
დუმილით თვალსაჩინოდ ხდის, ხაზს უსვამს ამ გარემოებას!

დასამტკიცებლად იმისა, რომ არაფერი არ მომხდმრა, არაფე-
რი არ გამოცვლილა მათ დამოკიდებულებაში, გაიანემ ჩაუგდო დუ-
მილში სიტყვა მომავალ მუშაობის შესახებ:

— მაგრამ შენ ვალდებული იყავი მოგეწერა, შეგეტყობინებინა
ჩემთვის შენი და თემკომის მდივანთან... მე აქ გელოდი, ვნატ-
რობდი...

ხმამალა გასცა პასუხი თოთიაურმა თავის ნაფიქრალს. გაია-
ნეს სახე გაუნათდა.

— კიდევ ვალდებულება! თოთიაური მისდაუნებურად აუბრა-
ლოებს და მიაღვილებს იმ კვანძის გახსნას, რომელსაც ეგრე მონ-
დომებით ნასკვავს და ამუქებს;

მიუახლოვდა, ბეჭებზე ხელი ჩამოადო და თვლები გაუყარა.

— ნუ იცრუებ, მე მთებში ერთი წელი გავატარე, ამ ხნის გან-
მავლობაში იცოდი თუ არა სხვა ქალი?

— მერე რა!

დაიძახა თოთიაურმა, მაგრამ იმ წამსვე ტუჩები მოიკვნიტა.
მიხვდა, — მერე რას — წამოძახების შემდეგ, მისი ტრაგიული დუმილი
სასაცილოდ აიგდებდა მას. სწრაფად დაალო პირი, ეწადა პასუხის
გამოკეთება, არ დააცალა ქალმა. დოინჯი შეიყარა გაიანემ, წელის
რხევით მიუახლოვდა და გამარჯვებულის კმაყოფილებით ჩაიცინა
სახეში.

— მერე მე რატომ არ შემატყობინე.

მეორე დღეს ისინი ერთად გამოვიდნენ უჯრულიდან.

გაიანე ამბობდა:

— რამდენიმე თვით მაზრაში მგზავნიან, დაბრუნებისას წაბრუნებულაში მინდა ვადმოვიდე სამუშაოდ.

— დრო არის, — ეთანხმებოდა თოთიაური: — წარმოება სხვა ქვეყანაა, ათასი ბუხარინიც რომ გამოხრა, მაინც შემოგვლევდა და შშრალი ფრაზებით მოქედელ რიყეზე განაპირდები; თვალთ-ხედვა შეგვიწროვდება! ჩვენ ერთი ძველის-ძველი უპარტიო ინსტრუქტორი გიყავს; გუშინ საბჭოთა კავშირის დიდი რუქა შევიძინეთ, ჩამოვკიდეთ კლუბში, ვეხეოდით ირგვლივ და ქალაქების მონახვაში ერთ-მანეთს ვეჯიბრებოდით. განა უპარტიო ინსტრუქტორმა არ იცის რომ უზბეკისტანი ან ტადგიკისტანი საბჭოთა კავშირში შემავალი მხარეებია!? იცის რასაკვირველია, მაგრამ სად, რუქის რომელ კუთხეში? მთელი საათი იმტერია თავი და მათი ადგილმდებარეობა ვერ აღმოაჩინა. ჩვენი ცხოვრება უზარმაზარი რუქაა სიბარულის მთებით, ცრემლებს მდინარეებით, შრომის და გარჯის ქალაქებით, იმედებით და წინააღმდეგობებით აკრულებული. შეუმჩნეველი და გაუგებარი რომ არ დაგირჩეს რომელიმე კუნძული, ინსტრუქტორივით არ უნდა ვარაუდობდე, ან აქ იქნება, ან იქო! ცვალებადია ჩვენი ცხოვრების რუქა; ვახედავ, სადაც გუშინ სიბარულის მთა გვგულეობდა, ხვალ პირდაღებული ხრამი გაჩნდება; გრძნობ თუ არა თავს ამ გადანაცვლების მონაწილედ? არა? მაშინ ინსტრუქტორივით გა-შეშებული დადგები რუქასთან, დაიბნევი და შეცდომას დაუძახებ იმ ნაბიჯს, რომელიც თავის საკეთილდღეოდ აიღო ქვეყანამ.

გადასახვევთან დაემშვიდობენ ერთმანეთს. თოთიაური ტრამვაის სადგომისაკენ წავიდა. გაიანემ თვალი გააყოლა მიმავალ ამხანაგის კისერს:

— ამხანაგო თოთიაურო. — დაიძახა მან, თოთიაური დაბრუნდა: — რა უნდა მეთქვა... დაბნეულობა დაეტყო: — თუ გახსოვს, მთებიდან რომ ჩამოვედი, იმ საღამოს, როცა შენ ვალდებულეა მიხსენე, რატომღაც, თითონაც არ ვიცო, ისეთი გრძნობა შემეპარა, თითქო დაპატარავდი, მეუცხოვე. პინდა გითხრა, რომ შენ ისევ დიდი ადამიანი... არა, ნამდვილი კომკავშირელი ხარ.

ერთმანეთს ხელმეორედ მაგრად ჩამოართყეს ხელი.

მიდიან დღეები და მიაქვს გაიანეს ცხოვრება, დაუდგინებელი და საქმეებით დატვირთული. გზა და გზა ხედებიან მამაკაცები გაიანეს. პირველ დღეს სიყვარულს ეფიცებიან, მეოთხე დღეს ვნებით ეხვევიან, მესამე დღეს იტყვიანობენ, დარიგებით და საყვედურით

მოიხსნიან ბაგეს; მეოთხე დღეს... მეოთხე დღეს გაიანე შორდნა
მათ. ყოველგვარ შეყვარებას და შეჩვევას გაურბის. სქესობრივი სა-
კითხი მიართვის ისეთივე მოთხოვნილებათაგანია, როგორც პურო, ^{პურო}
როგორც პაერი. ახალი და ნოყიერა იყოს პური, სუფთა და გან-
სალი იყოს პაერი, ყველგან გაძლება, ყველგან ისუნთქება, ^{სუნთქება}
ესმის გაიანეს, რატომ აძალებს ყოველი მამაკაცი მასთან, მხოლოდ
ერთთან ცხოვრებას, არ ესმის გაიანეს მათი საყვედურები და არც
სცალია რომ შეისმინოს.

იყო ერთი საბჭოთა დაწესებულების გამგე. აფასებდა მან
გაიანე როგორც მკოდნე, გამოცდილ მუშაკს. გაიანე ხშირად ხვდებოდა
გამგეს მუშათა ახალ კლუბში. როცა რამდენიმე კაცი ეხვია
ირგვლივ, გამგე ყოველთვის მალალ და საზოგადოებრივ საკითხებზე
ლაპარაკობდა. შემოიფანტებოდნენ თუ არა მოსაუბრენი, გამგე,
დაწყებული აზრიც რომ არ ქონოდა დათავებული, შესწყვეტდა ლა-
პარაკს და მაშინათვე სიყვარულზე ჩამოუგდებდა სიტყვას გაიანეს.

— რას მახითურებს! — ფიქრობდა გაიანე: — ჩემთან სიყვარულის
გარდა, სხვა არაფრის შესახებ არ ილაპარაკება თუ! — ერთხელ
დაჯდნენ ბალის მივარდნილ კუთხეში. ორი სანი იმედიანი სიტყვა
ჩაურთო გაიანემ და გაათამამა გამგე. ალაპარაკდა გამგე და უცრად
მოახედრა ხელი გაიანეს თქმოს. მაშინვე ბოდიში მოიხადა. ასე
რამდენჯერმე, სანამ ბოდიშის მოხდა და „უცაბედად“ მოხედრილ
ხელის უკან წამოღება არ დააეიწყა. როცა გამგეს სახე დაუღბა,
საენიანი ვაჟკაცი საცოდავით მოიკუნტა და ხელების ფათური გაახ-
შირა, გაიანე წამოდგა და მიუგო ცივად:

— რამ დაგაგლახაკა ამხანაგო, რაე გეპარება სული. მაგის-
თანა სიტყვებით შენი მემანქანე ქალები მოატყუე!

გამგემ შესწყვიტა კლუბში სიარული.

შეხვდა ასეთი ამხანაგიც. დაიწყო თუ არა გაიანემ მასთან
ცხოვრება, ამ ამხანაგმა სხვა ქალებთან სეირნობას თავი დაანება,
ამხანაგებთან ამხანაგური შეხვედრების რიცხვი შეამცირა, ნაწილობ-
რივად უჯრედის მუშაობისაგანაც განიტყვირთა და მთელი გულის-
ყური გაიანეს მიაქცია. ეს მოვლენა შეაჩნია ქალმა.

— შეზღუდვის ახალი ფორმაა; თითონ საზღვრები დაიდო
მხოლოდ იმიტომ რომ მეც მიიძღლოს ასეთივე საზღვრების დადება!

მიდიოდნენ დღეები და აჩენდნენ ახალ საქმეებს. ერთხანს მშობ-
ლიურ სოფელში, დიდი ცაცხვის ქვეშ იჯდა გაიანე საღამომობით და
ელოდა შარვალ-დაკოტავეებს. წვევ-მაჯარ ბიჭების ყანიდან დაბრუნ-
ებას. მოდიოდნენ ბიჭები მოწყაედათ სიტყვები და როგორც სოფელში



შემთხვევით გადმოხვეწილ ჩინელ ჯამბახს, ცნობის - მოყვარულებით ათვალთვრებდნენ გაიანეს, და გაიანეც ჯამბახი იყო მართლა. თოკის მაგიერ დაეკიმა მოუხეშავი ძარღვები შარვალ-დაკოტავებულ წვევ მაგარ ბიჭებ-სა. ფრთხილად უკადებდა ცეცხლს, გეშევექუ ქუჩა, რეუ ნებას, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ, ამავე ცაცხურს დაქუჩურს კრიკინების ჩახჩახის ქვეშ გახსნილიყო პირველი სხდომა, სოფლის პირველი უჯრედისა. მიდიოდნენ დღეები, კვალ და კვალ მისდევდა მათ გაიანე და არათერი არ დაარღვევდა ამ წონასწორობას, რომ ერთხელ არ ეთქვა თოთიაურს:

— გაიანე, შენ მოწინავე, აქტიური კომკავშირელი ხარ; მაშასადამე, უნდა მოგბადონ რიგითი წევრებმა. რა გამოვა!

— არ მესმის რას ამბობ!

— შენ რომ მოგბადონ, ოჯახს ერთი მათგანიც ვერ შექმნის. ვისთვის ვშრომობთ? ჩვენივე ნაშრომს სამარეში ხომ არ ჩავეტანთ! კომკავშირელ ქალში, დედა არ უნდა ჩაჰკლას პარტიულობამ. ამორტებით მუცელ-გამოგლეჯილი ქალი არ ნიშნავს კარგ კომკავშირელობას. ჩვენ არ გვ-ნდა ასეთი მსხვერპლი. შეილა:ც გვინდა, გესმის!

ქუჩაზე ჰქროდა საღამოს ნიაფი. თბილოდა, თითქო შუადღის მზით გახურებული ცა, ქალაქს დაუახლოვდა. როგორც ექიმთან ცოფიან ძაღლით დაკბენილი, მიიჩქარის გაიანე ბინისაკენ. ქუჩები სავევა ხალხით. ვიღამაც ფეხი დააბიჯა. ველაცას მხარი გაჰკრა. გაიანე ვერაფერს ამჩნევს. თითქო ტრიალ მინდორზეა. მიჰქრის. ერთი წადილი მძლავრად უბოჰავს გონებას: რაც შეიძლება ჩქარა მივიდეს შინ და საკუთარი თავი დაიმარტოხელოს.

ორი საათი გავიდა. გაიანე გულადმა წევს. უძრავად. დახურავს თვალებს, იმ წამსვე ყურში დარეკავს თოთიაურის სიტყვები:— ჩვენ არ გვინდა ეს მსხვერპლი.—ვის არ უნდა, ვის! გაიფიქრებს გაიანე და თვალებს გაახელს. სწადია დაინახოს შემკითხველის სახე. ასანთი მაგიდაზე ძევს. შუშა გაწმენდილია. კედლის ლენინი ჩვეულებრივად ილიმება ვიწრო, მილულულ თვალეებით. ყველა ნიეთები წესიერად დგას. მაშ რატომ ჰკონია გაიანეს რომ ყველაფერი აირია, აიბურდა და აქამდე ნათელ მოვლენების წინაშე ცნობა დაჰკარგა!—ამორტებით მუცელ გამოგლეჯილი... მაშ რა ექნა! საქმეები ითხოვდნენ მისგან პირადობიდან სრულად განტვირთვას, თავისუფლებას. გაიანე დანებდა საქმეს და მოქმედობდა მისი კარნახით. შვიდი, საუკეთესო ახალგაზრდობით გატენილი წელი სიცოცხლისა კომკავშირის დაახარჯა:—გამოდის არ კმარა, რომ მისაბადი კომკავშირელის სახელი

ატარო! ჩვენ არ გვინდა ეს მსხვერპლი. რა მსხვერპლი! გაიანეს არას-
დროს არ უგრძენია რომ მას მსხვერპლი მოჰქონდა. აბორტი...
შვილი... როგორც მოხსენების კეთების დროს ვერ მოახერხებ, სიმ-
ღერას, ისე მოუხერხებლად მიაჩნდა დაოჯახება:—ოჯახი, [სხვერპლი] ||
ყველამ, ვინაც კი ისურვა ჩემი ქმრობა, პირველ ყოვლისა უნდა დაემთხვე-
და მიდეს და ტყვეობაში განმაცდევინეს თავი. არ მინდა. მე მიყვარს
საზოგადოებრივი მუშაობა, მე მიტაცებს ის და კიდევაც შევალევ
ძალ-ღონეს. ვინ წამართმევს ამის უფლებას!?... შვილიც გვინდა,
გესმის!—ვინ იძახის ამ სიტყვებს თოთიაურის სახით: ქმარი თუ
კომკავშირი?

თვალები გაშალა. თავმოყრილი ფაქრები დაეხნა. თვალები
ჭერს შიანწყვიტა და ფიცრების თვლა დაიწყო:—რას ჩადიხარ, სად
მირბიხარ, დახურე თვალები, იფიქრე და მომეცი პასუხი!—იძახის
შვილიდან ვილაც, და დილამდე ფიქრობდა გაიანე. დილით ფანჯარაზე
აბრდღვიალებულ მზეს ღიმილით შეეგება და მოიგონა წუხანდელი
ღამე:

— გამოვსულელდი, ნუ თუ წუხელ გაიანე გაიტანჯა! რა
გრძელი ღამე მოვანდომე უადვილეს ამოცანის გადაჭრას,—წაილა-
პარაკა მან. მხოლოდ მაშინ როცა წერილის დასაწერად დაჯდა,
დარეკა გულმა:

— ერთს ნულარ დარდობ; მადლობა სთქვი, თუ მეორე, უფრო
გრძელი ღამე არ გაგითეთრდა თვალებში.

ის წერილი თოთიაურმა მიიღო ქობულეთის დასასვენებელ
სახლში.

გაიანე წერდა:

თოთიაურო; მართალი ხარ.

ცხოვრების დუღილში, სადაც საოცარ სისწრაფით ვითარდებიან
საკაცობრიო მოვლენები, სადაც ასი ათასობით ილუპებიან, ჩნდებიან
და მიჰქრიან წინ, მე გამომჩნა ჩემი პირადობა. თოთიაურო, ხომ
გინახავს ცხენების დოლი. მუხლებში ქარს ჩაიყენებენ მიჰქრიან და
ფინიშამდე, ფეხებიც რომ მოიტეხონ, არ შეჩერდებიან და მიიყვანენ
მხედრებს. მეც დოლში შემბულ ცხენივით ვიყავი. გამალებით მივა-
ქანებდი ზურგზე მოკიდებულ საქმეებს და სულ ვფიქრობდი:—აგერ,
აგერ მივალწევ დანიშნულ ადგილს, მოვიხსნი ტვირთს და ჩემს სა-
კუთარ თავს დაუბრუნდები—მეთქი. საქმეები საქმეებს ცვლიდენ. მე
დამავიწყდა რომ ჩვენ არა გვაქვს ფინიში, რომელსაც ერთი გარბე-
ნით მიაღწევ. ჩვენ არა გვაქვს დროული დოლი, რომ მისი გათავე-
ბის შემდეგ, მშვიდად გავეშუროთ თავლისაკენ. ჩვენ უნდა ვიაროთ

განუწყვეტლივ და ჩვენი საზოგადოებრივი მუშაობა, ჩვენივე ყოველ-
დღიურ მოთხოვნილებად უნდა გადავაქციოთ. გახსოვს რაღაც, უპარ-
ტიო ინსტრუქტორი? განა მე არ ვიცი რომ ახალი ოჯახი უნდა
შეექნათ, მაგრამ ადგილი ვერ მოუხაზე რაღაცე. ~~ქარა-ქუჩები~~ ~~დასას-~~
რულს ველოდი...

და ასე შემდეგ.

ბოლოს, ქალაქის კუთხეში მიწერილი იყო ისეთი პატარა
ასობით, — ხელს მე და გილონი მაჩში ვაწერთ ხელს, — თითქო დამ-
წერი ამბობდა: — გინ გაარჩიე, გინ არა, ამ წერილში ეს არ არის
მთავარი.

ეს მოხდა აგვისტოს, მოვიდა შემოდგომა, ჩამოჰყარა დაყვით-
ლებული ფოთლები და ხელის გულივით გააფინა მიწაზე. იმ ფოთ-
ლებს ხან შეაქუჩებდა ქარი, ხან გაანიავებდა და მიარეკდა გაიანეს
ოთახის ფანჯრებს. მოვიდა ზამთარიც, მოიტანა სუსხი და ფანჯარა-
ზე დადებული თოვლი დნებოდა შუადღით, იყინებოდა საღამოს და
გაიანეს ხედებოდა დილით ჩურჩხელებივით ჩამოკიდებული ყინვები.
არ იყო დარი, არ იყო მზე, სამაგიეროდ დარობდა და მშეობდა
გაიანეს სახე. ეს იყო მაშინ. ეხლა მოდის გაზაფხული, დღეს კვი-
რაა, გარედ უხვადაა მზე და სიცოცხლე, მაგრამ არ ხარობს გაიანე,
ალაგებს ოთახს და არ მოსჩანს მის მოძრაობაში ძველი გულოვნება
და ცხოველყოფილობა.

* *

გაიანემ ისაუბრა. დაიხურა ქუდი.

— ნავთქურას ჩაქრობა არ დაგავიწყდეს.

— სად მიდიხარ?

— სტამბაში, უპარტიო ქალების კრება მოვიწვიე.

— კვირაობით კრებები არ გამიგონია!

— შენ არც ის გაგიგონია რომ შაბათობაზე დაგვიანება არ
შეიძლება, რა ჩემი ბრალია.

— შინ დარჩი. შარელის დაუთოვება მინდა, თავის დაბანა მინ-
და, ათასი რამე მინდა.

— საღამოს დაიბანე.

— საღამოს თეატრში მივდივარ. შენი ქირიმე დარჩი, ტომა-
რასავით მკიდიო შარელის ტოტები, როგორ გამოვჩნდე ხ.ლხში!

როცა დაეკვირდები — შენი ქირიმე... როცა, მოაგონდა დილან-
დელი თოვის გასროლა: — რა გიყო, კრებას ვერ დავაკლდები; —
მიუგო ცივად.

გიდონი წამოჯდა. ნახევრად ხუმრობით, ნახევრად წყრობის კილოთი ჰკითხა.

— რა ხარ შენ ჩემი?

გაიანემ მხრები აიჩეჩა.

— ამხანავი.

— ამხანავი რას ქვია. ჩემი ამხანავები ბეჭაურცი და ართანაც არიან. მეტი არაფერი?

— ცოლი.— გაიღიმა გაიანე.

— მერე!

— რა მერე.

➤ ზახრუმა.

— შენ.

ორთავეს უნებურათ გაეცინათ.

— რა გაცინებს!— იყვირა გიდონმა. (დაავწყდა რომ თითო-ნაც იცინოდა.) ცოლად რომ მოგაყვანე, არ უნდა მომხედოა?

— სტოპ ამხანავო; ჯერ ერთი, რას ქვია მომიყვანე! ზურგზე შემისვი თუ? მსურდა და მოვედი. მეორეც, ყმაწვილო, კიდეც რომ მოგეყვანე. შარვლის საუთოებლად გინდოდი?!

— აბა იმისთვის,— უშნოდ გაიღრიალა:— ქალების მეტს რას ვიშოვი.

— უსინიღისო;— ზიზღით ჩაილაპარაკა გაიანემ და შეხედა ქმარს. ცოლის თვალებმა აგრძობინა გიდონს ობუნჯობის უადგილობა და მოუფიქრებლობა. ამან მეტად გააჯავრა.

— არსად არ წახვალ, დარჩები.

— გამოგონე, კოკავშირელი ხარ. ნუ თუ სასიამოვნო იქნება შენთვის რომ კედარი სული მიწოდოს უჯრედმა, პასიფში ჩამავდოს?! შენი გამოისობით ფეხი ვერ გამიდგამს ვერსად. არც ერთი კომისია არ ამუშავებულა, რომ ჩემი ხელი არ ჩარეოდეს შიგ. ჩემი თაოსნობით კედლის გაზეთი დავაარსეთ. ჩემივე წყალობით საკუთარი კლუბი შევიძინეთ. ორი კვირა დავრბოდი აღმასკომიდან ცეკაში, ცეკადან აღმასკომში რომ ჩვენი სტამბის გვერდით უპატრონოთ მიტოვებული დარბაზი ჩვენთვის გადმოეცათ. ზოგი რაიკომმა, ზოგიც ჩვენ გავლეთ, თანხა შევაგროვეთ და შევაკეთეთ. ასი პროცენტით ჩავითრიეთ კლუბში მუშა-ახალგაზრდობა. რა წრე გინდა, შიგ რომ არ იყოს. მე არას ვამბობ იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც სტამბაში მოსელამდე ეაწარმოებდი. რომელი ერთი ჩამოვთვალა?!

— სატრაბახოდ ეგეც გეყოფა.



ქართული
საბავშვო ლიტერატურის
სამხატვრო მუზეუმი

— არა, ტრამბით არ ვამბობ. მართლის მოქმედს, მოტრამბზე არ ეწოდება! — სული მოითქვა, დაწყნარდა: — ნდობით და პატარის-ცემით მიცქერდა უჯრედი, დღეს კი საყვედურებით გაქვსეს, ჩიურონიდაც არ ამირჩიეს: როცა ჩემი კანდიდატურა ეწაფებოდა, ცეცხლს შეუნიშნავს: — ჯერ საწოლში მუშაობს, უჯრედისათვის არ მოუკლიაო; — დანარჩენი სიტყვები ცრემლებით შეასველა: — ის კი არ იცინა რომ ჩემში გამოცდილება წინანდელზე მეტია, კვლავინდებურად მახარებს საქმე, მაგრამ... ხან იკვიანობა, ხან სადილი, ხან შარვალი, ხან ის, ხან ეს და ისე მიმაბი ოჯახს, რომ სასაცილოდ ამიგდეს ამხანაგებმა.

გაიანეს ხმა დაუბრბილდა. რა უყოთ, განა პირველად უბრბილდება ხმა? განა პირველად ისმენს გიდონის საბუთებს, რომლებიც ჯოხივით ეჩხირება ფეხებში?! გაიანეს ათასჯერ მოუსმენია ქმრისგან: — კაცური ცხოვრება მინდა, ვიძახით მუშები ვართ, ქვეყანას ვაშენებთ, პერანგის საყელოზე კი გოჯის სისქე წვირეს ვატარებ! ათი წყვილი მე არა მაქვს რომ ერთხელ გარეცხო და თვიდან თვემდე ვიკმარო. რაცხა ერთი შარვალი მაქვს, ჩემი საგარეო და საშინაო ის არი. ფოლაქი აწყდა, დამიკერე: დაიკმუქნა, დამიუთოვე: სადილი? სასადილოში ვკამოთ? ფული! — ხელის გულებს ერთმანეთს გადაჰკრავს და შეუსტვენს, თითქო ცხენებს მიერეკება: მაგრამ ამ საბუთებს დღეს ახალი მიემატა.

გიდონმა თქვა:

— გეყოფა წარმოებაში მუშაობა; ხელის მოკიდება მეშინია, არ შემატყდეს მეთქი, ისე მოთენთილი ბრუნდები კრებიდან. იღლები. ჩალასავით გამოშრი. ჩემთვის არ გცალია, მე კი ალერსი და სიყვარული მინდა. საქონელი ხომ არა ვარ! ერთი სიტყვით...

ხელი ჩაიქნია. ანიშნა რომ მისი აზრი მეტ დამტკიცებას არ საჭიროებს.

— ჩამიგდო ხელში. — გაუელვა გაიანეს. ნაბიჯი გადგა: — მივდივარ.

— უკან ნულარ შემობრუნდები. — მიაძახა გიდონმა. გაიანე გავიდა. გიდონმა გააყურა. ისმის მიმავლის ფეხის ხმა. მერე ერთბაშად შეწყდა. გიდონმა გამოალო კარები. გაიანე აივანზე დგას: ჩაფიქრებული. შეხედეს ერთმანეთს. გიდონმა გაილიმა და ელის: გაიანეც გაილიმებს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, შემობრუნდება ოთახში და შერიგდებიან. გაიანე მართლაც დაბრუნდა, მაგრამ ღიმილით განათებული სახე არ შექოუტანია.



* *

ხშირი წვიმებით მდინარე სწრაფად შეიმატებს წყალს. მოვიდ-
 დება, დაფარავს რიყეს. შემდეგ ნელი-ნელ კლებულს. რიყე არ გამოჩნდება, ძნელად შეამჩნევს წყალის კლებას. გამოჩნდება რიყე: მაშინ იტყვიან:—წყალი დაეარდა. მაგრამ
 რა დღიდან, როგორ, ძნელი ამოსაცნობია. მდინარის მსგავსათ,
 სწრაფად აღიღებულნი საქმიანობა სანამ არ დაშრა და რიყე არ გა-
 მოაჩინა, ვერ შენიშნა გაიანემ მისი კლებულობა. როცა უჯრედმა
 მისი მუშაობა დაუკაყოფილებლად იცნო და რაიკომის ინსტრუქ-
 ტორიდან ს-ყველური მიიღო:—წარმოებაში ოცდათექვსმეტი მუშა
 ქალია. სანამ თქვენ ქალთაშორის მომუშავედ გამოგყოფდენ, უჯრე-
 დის წევრად შვიდი ითვლებოდა, ეს რიცხვი ერთით გადიდდა
 დღემდე, დასაშვებია?—მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა გაიანე თავის
 აქტივობის განახევრებას. მაშინვე მიზეზების ჩხრეკა დაიწყო. ქმარ-
 თან გატარებულ თვეებს გადაავლო თვალი და შიგ ყველაფერი ბუ-
 ნებრივად მოეჩვენა. ახალმა, აქამდე სხვა მამაკაცებთან განუკლებლმა
 გრძნობამ, რომელმაც გიღონის მიმართ იფეთქა მასში და დიდი
 სიხარულით გაუვსო მკერდი, არ შეანიშვნია ისეთი წვრილმანები,
 რომელთა მსგავსს დღეს დილით ქონდა ადგილი. ერთხელ დაუთმო
 ქმარს. არ წაეიდა კრებაზე. ერთი თვის შემდეგ მეორეთ: ორი კვი-
 რის შემდეგ მესამედ. . თან და თან შეამოკლა ხანი და ნახევარი
 წლის შემდეგ, შემთხვევით დამობებმა ჩვეულების ხასიათი მიიღო,
 დაკანონდა. ჩ. უვარდა ერთი საქმე, თავი დაიდანაშაულა:—გულგრი-
 ლად მეკიდებოდი უთუოდ: ოჯახური ურთიერთობის გადასინჯვის სა-
 ჭიროებას ვერ მიხვდა. ჩაუვარდა მეორე. წრის წევრებს გადააბრა-
 ლა:—არ უნდათ, რას გავ წყობდი!—განაცხადა უჯრედზე. უჯრედის
 ბიჭებს არაეინ არ ეჯავრებათ ისე, როგორც ის აქტივისტი, რომე-
 ლიც თავის გამართლების საბუთად წრის გულგრილობას გამოიყე-
 ნებს. ამიტომ იყვირეს:—თუ დაილაღე ან მოგწყინდა მუშაობა, გვი-
 თხარი!.. ვინ, გაიანე დაილაღა, მუშაობა მოსწყინდა? ათასჯერ არა,
 და დასამტკიცებლად აიღო ნაბიჯი. სამთვიანი გეგმა შეიმუშავა:
 კვირისათვის უპარტიო ქალების კრება მოიწვია... და მხოლოდ ამ
 დილით იგრძნო გაიანემ: იქ სადაც უწინ გოგუნებდენ ნაკადები
 დაუდგრომელ საქმიანობისა, ფეხი მოიკოდა ოჯახმა და თავის წერი-
 ლმან, ყოველდღიურ მოთხოვნებში თანდათან შეავიწროვა მდი-
 ნარის კალაპოტი. თვალწინ წარმოუდგა ხან საყვედურებით, ხან
 მქირდავ ლიმილით, ხან წყრომით მოქცეული სახეები ამხანაგებისა.
 ოჯახმა და შვილას მოლოდინმა სიხარული გადაასხა გაიანეს. ვერ
 მიხვდა რა სურდათ მისგან ამ სახეებს.



— თოთიაურო, — მიიძახა შეშოსულს ბექაურმა; — რადიო სად-
გურიდან ორმოცი წითელ არმიელი მოვიდა. ჩაიბარებენ და
ტყავები საწყობებში გადაიტანეთ: ხარისხები არ შემალოთ. დანა-
ჩენებს მარო და ვასკა უხელმძღვანელებს. ძველი შენობა გაასუფთა-
ვით, ხელის ჯაგვები გამოაგორეთ და ნაკავი მტკვარზე ჩაიტანეთ.

— ვასკასთან არ ვიშუშავებ, — წამოიძახა მარომ.

— მახლას, მიწუნებ! — ყვავილით დაკბენილი სახე ახლო მიუ-
ტანა ვასკამ.

— ბექაურო, შენ გეუბნებიან! — ბექაური მობრუნდა: — ჩამციე-
ბია, თუ მეშინაკა არა ხარ, ერთი მაცოცნიეო.

აქა იქ გადინარაარეს.

— მაგის გულისთვის მაცდენ! ზედანზედველად ხომ არ წამო-
გყვები. — მიუგო უკმაყოფილოდ ბექაურმა.

— მომაშორე თავიდან.

— ვაა, ვიფია; მომაშორე რა, კისერზე გკიდევარ! — გაიცინა
ვასკამ.

— შენ ეი, დაამუხრუქე ცოტა ტუჩები, — მიიძახა ბექაურმა და
ალაყადის კარებისაკენ მიბრუნდა.

— საიდან მოსულან! — ჩაილაპარაკა ვაკვირვებით. ეზოში
ოცდაათამდე ქალი შემოვიდა. ვასკამ იცნო ყველანი: — სტამბის ქა-
ლები არიან. — შეერია, დაათვალიერა ყველა და როცა მათში კომ-
კაქშირელი ვერ შენიშნა, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: — მახლას,
მარტო უპარტიო შემჩანკები მოსულან!

ვასკა ყველას, ვინაც მის სქელ, მგრძნობიარე ტუჩებს არ მი-
უშვერს ლოყას, მეშინაკას ეძახის.

— ბექაურო, კაცო, — დაიძახა მკივანა ხმით სტამბის უჯრე-
დის აგიტპროპმა ბერდიამ: — უპარტიო ქალების როცა მოვასხი.
კაცო ჩვენმა კლერა ციტყანამ, გაიანემ, მაგენის კრება მოიწვია დი-
ლით. თითონ კაცო, — ყურში ჩასჩურჩულა რაღაც;

— გოუტკბა ძალიან. არ იკადრა გამოცხადება. თქვენი შაბა-
თობა გამახსენდა, — რახან მოუყრიათ ქალებს თავი, — ხომ იცი კაცო
უპარტიოების ამბავი, დეიწყებენ; — გვიბარებენ და ტყუილა იმიზ
გეცდენენო, — ვიფიქრე: გოუკეთებ აგიტაციას — თქვა. გოუკეთე
აგიტაცია და ქე მოვასხი აგერ.

მუშები დარიგდენ განყოფილებებში.

— ფრთხილათ, ყლდენი გაშვებულა. — გააფრთხილა თოთია-
ურმა გარედან მოსულნი, რომლებიც ცოცხების და ნიჩბების მოლო-

დინში განყოფილებიდან განყოფილებაში დაყილობდენ და ცნობის მოყვარეობით სინჯადდენ ყველაფერს.

— რა დაემართა გაიანეს! ნუ თუ ერთ უკიდურესობას გვერდი უნდა აუხვიოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მეორეს მივეჭრათ. ჩაილაპარაკა მან. მახუთში შესვრილი ხელები ჩაერხა და დაიწყო და, ჩვარი რამდენიმე წამით შერჩა თითებში. იღვა თავმოხრილი.

* *

სტამბის უჯრედი, სადაც გაიანე მუშაობს, სამავალითოთ ითვლება რაიკომის საწარმოო უჯრედებს შორის. მრავალფეროვან წრეების მოქმედება ნაყოფიერია. თავის დროზე და სრულყოფილად ტარდება კომპანიები და ცირკულიარები. უჯრედის მდივანს, რომელსაც დიდი თავის გამო, ამხანაგებმა გომპორა შეარქვეს, — ცივ გომპორის მთა ვადგია კისერზეო, — ვერაინ დაყვედრის: — უჯრედში ბაწარზე მიმავალ ჯამბაზივით ქანაობს დისციპლინა. — ეს გამოთქმა ძლიერ მოსწონს გომპორას და ყოველგვარ მერყეობას მით ასურათებს. ორი წელი ატარა გამოცდილი მუშაკის სახელი, სამჯერ იყო ზედიზედ არჩეული მღვინად. მაგრამ სამი თვის წინად, ერთმა უმნიშვნელო ანკეტის გარჩევამ დაუცა ავტორიტეტი და გამოაჩინა დიდი ნაკლი მისი მუშაობისა. არჩევდენ ამხანაგის კომკავშირში მისაღებ ანკეტას, წინააღმდეგ ილაპარაკა გომპორამ.

— მართალია, ამხანაგი სისტემატიურად ესწრება უჯრედს, მაგრამ — გომპორამ მაგიდას დაჰკრა ხელი: — უჯრედის სხდომებს ყველაზე წესიერად ეს მაგიდაც ესწრება. მივილოთ უჯრედში?

ბევრნი დაეთანხმა გომპორას. ერთმა სცადა: — მუშაა, უარი არ ეთქმის. — წამოძახილებით ჩააჩუმეს. გაიანემ აიღო სიტყვა:

— ამხანაგებო, მუშა ვარო და მაგიდასავით უსულოთ იყო უჯრედში, რესაკვირველია არავის არ გააპართლებს.

— წინააღმდეგ არ არის საჭირო, ილაპარაკეს. — დაიძახა ბერდიამ.

— წინააღმდეგ არ ვლაპარაკობ. ვიცავ. თქვენ კარგად იცით ამხანაგებო, რა მორიდებული და მორცხვია ზოგიერთი ახალმოსული ამხანაგი. სასჯელ გადასაწყვეტ დამნაშავესავით ზის სკამზე უძრავათ და გვისმენს ჩვენ. ისინი მუდამ ასე იქნებიან, თუ ჩვენ თითონ არ წავეხმარეთ, არ გავათამამეთ. უარს ეუბნებით ამხანაგს: რატომ იცით? არ იცით. საჭიროა თითოეული ამხანაგის შესწავლა, შეფასება, სანამ უარს ვეტყოდეთ. თითონ ეჩოთირება პირველად ხმის ამოღება, საქმეებში ჩარევა. ჩვენ უნდა შევეკითხოთ, ჩავითრიოთ, ჩავაბათ, დავავალოთ რამე...



გომბორამ შეაწყვეტინა.

— გამოუცდელს საქმეს ვერ ჩავაბარებ. ჩააგდეს საქმე ჩვენს უჯრედის სახელს დაგვიცემს.

მოუთმენლად შეარხია თავი გაიანემ.

— ცუდად გესმის გომბორა სამაგალითო უჯრედობის შინაარსი...

სულ-განაბული უსმენდა უჯრედი. თითოეული მათგანი მიხვდა, მიხვდა და გაოცდა:—გაიანე მართალს ამბობს, რატომ აქამდე ვერ შევაშინეთ!?

ლაპარაკობს გაიანე:—საქმეს ჩააგდებენ? ჩააგდონ. ერთხელ, ორხელ; ჩვენ უნდა გავილოთ ეს მსხვერპლი. უიმისოდ აქტივის ახალი კადრები არ შეიქმნებიან. რას ვხედავთ ეხლა! რამდენიმე ძველი აქტივისტი და ბიუროს შემადგენლობა ატარებს უჯრედის მთელ საქმიანობას. ყველაფერს რიგზე ვასრულებთ, სამაგალითო უჯრედის სახელი გვაქვს. არ შეგვეფერის, რადგან ოცს და ოცდაათ კაცში აქტივობის ჩაკვლით არის მოპოვებული ეგ სახელი, ამხანაგებო! ორი წელი გავიდა, წამოვწიეთ ერთი აქტივისტი მაინც? არა. გომბორა სხვას არაფერს დაეძებს, ოღონდ საანგარიშო მოხსენებაში ხელწამოსაკრავი და სუსტი ადგილები არ ექმნეს. ახლები მოდიან, მუშაობა სურთ. გომბორას სისტემა მათ განზე რიყავს. ერთხანს კიდევ ივლიან, მერე მთლად გავლენ უჯრედიდან:—რის მაქნისი ვართო! გომბორა კი გამოდის და რიხიანად გაიძახის:—მაგიდას გვანან, აქტივობა ვერ გამოიჩინენო.

თანხმობის გუგუნით გაიესო ოთახი. ბრძანებლობას შეჩვეული გომბორა აინთო. ბრაზი შეჰყარა გაიანეს გამოსვლამ. მისი სალი შენიშვნები, სამაგიეროს გადახდის სურვილმა დაჰტარა. მომართა ისარი. სანამდე გაიანეს მუშაობა შეკრული იყო მუყაითობის სქელი ჯავშანით, ისარი უსხლტებოდა, მიზანს ვერ ახწევდა. გათხელდა ჯავშანი და შეატანა ისარმა. გომბორამ ბერდია აიყოლა. როცა გაიანეს ორსულობა დაეტყო, მათი გესლიანი სიტყვები ჯილის ოდენა კოხივით გადმოეყარა თავზე:

— დაგტობია აქტივისტობა!

— გამეშანებულხარ.

— მაგრე აქტიურად უჯრედში რატომ არ მუშაობ?!—გადასძახებდენ გაიანეს და გამობერილ მუცელზე მიუთითებდენ. ტანში გამზრინავ ხარხარს შეახეთქებდენ სახეზე. როცა გაიანეს ორსულობას უმხელდენ, ისეთი გრძნობა შეეპარებოდა, თითქო ათასი კაცის წინაშე უპირებდენ გაშიშვლებას. დანის ქვეშ დავარდნილ ხმოსავით



თრთიდა, აუტანელ შეურაცყოფით გავსებული დედის გული. იმ-
 რად წარმოიდგენს გაიანე დედობას: უნებურად შემოხვევს ცარიელ
 სიერცეს მკლავებს და სიხარული გაუნათებს ჩავარდნილ ქვეყნულ
 აღძრება სურვილი: გაიქცეს, მონახოს ვინმე, რომელსაც შეუძლებ
 დოს თავისი სიხარული; აგრძნობინოს მისი ბედნიერება; აგრძნო-
 ბინოს რომ საჭიროა მომავალ სიცოცხლის მატარებელ, გამობე-
 რილ მუცლის შეურაცყოფისაგან დაცვა. მთელი მისი არსება, შვი-
 ლის მოლოდინით განაზებული, ითხოვს პატივისცემით მოპყრობას.
 ეუცხოვებათ ამხანაგებს უნო, ღამეებით გამოტანჯული ვედრება
 დედისა, ირგვლივ სხვას ხედავენ, თითონ გაიანეც სხვა იყო უწინ.
 ამ სხვას ისე შეეთვისენ, რომ გაიანეს მდგომარეობა არა ბუნებრი-
 ვად ეჩვენებათ, დასცინიან და საშინელი სევდა ღრღინის გაიანეს:
 —სამაგიეროდ დედა ვიქნები, ინუგეშებს თავს და სიხარულისაგან
 დაკლილ მკერდში გაიხაურებს იმედი. ერთმა ამხანაგმა პირდაპირ
 ხალხში წამოაყრანტალა:—შე კაი ქალო, მაგას მეც გაგებერავდი,
 რაღას მირბოდი ჩემგან!—გათხოვების შემდეგ გაიანე ერიდება ამ-
 ხანაგებთან სიარულს, როგორც ყალბი პასპორტის მქონე ერთ ად-
 გილზე ცხოვრებას.

მოხდა შაბაშის დროს. საუზმოდენ. გაიანე ზის მაგიდის ბო-
 ლოში. უხასიათოდ ღეჭავს პურს. მოშორებით გომბორა დგას და
 რაღაც ქალადს აჩქრებს ვასკას. ვასკა უარობს, გაიანესაკენ იხედება:
 —კიდევ რაღაცას აპირებს ჩემს მიმართ!—იაზრა გაიანემ. გულმა ცემა
 გაახშირა. ვასკამ წინ დაუდო ქალაღდი. გაიანემ ჰკითხა:

—რა არის!—ვასკამ პასუხის მაგიერ გაიღიმა და ამ ღიმილმა
 გველივით უკბინა გაიანეს; სახეზე საშინელი სიყვითლე შემოაფრინდა.
 ქალადს დახედა. ებატა: შიშველი ბავში. ირგვლივ რამდენიმე ხე-
 ლი, რომლებიც ჩაფრენოდენ ბავშვის სხეულის ნაწილებს; ზოგი
 ხელში, ზოგი ფეხში, ზოგი სად. სურათის თავზე ეწერა: გაიანეს
 შვილი. ქვევით დასახელებული იყო რამდენიმე ამხანაგის გვარი,
 რომლებთან ოდესმე ეცხოვრა გაიანეს. მიწერილი იყო მსხვილი ასოე-
 ბით: „ვინ რის გაკეთებაში მიიღო მონაწილეობა“. აფარფალდა
 გაიანეს ტუჩები. ქვემო შეიკეცა, სიმწარით ჩააფრინდა ზემო რკალი
 კბილებისა. გაიანე ატირდა. პირველად.

ყველასაგან და ყოველთვის ითხოვდა მომავალი დედა პატივის-
 ცემით მოპყრობოდენ მის გამობერილ მუცელს, ნუ შეუტინებდენ იმ
 უწმინდეს ტვირთის ტარებას, რომელიც მით განსხვავდება სხვა სა-
 ხის ტვირთებისაგან, რომ მისი ტარება ენით უთქმელ სიხარულს
 ასმევს გაიანეს. არავის ესმის ეს ვედრება და არ აბარებს გაიანეს

ქუჩაზე უხვად დმქცეული მზე და კვირტებ გამოყრალი ხეები, არ ახარებს როტაციონების მწყობრი ხრიალი და თორმეტი საათის/მო-ახლოება, როცა სტამბაში შემოგორდება პოლკოტნიკის ტყველთა აგაფა ილარიონოვნა, რომელიც შემოიტანს ფუნჯებზე წყვეტილი ქადებით სავსე კალათს. დაეკარგა სიტკბო საუზნეს. რაა საოცარი! ხომ ოხუნჯობენ ბიჭები უშნოდ ყბა გასიებულ ან სასაცილო მდგომარეობაში ჩაეარდნილ ამხანაგებზე. გაიანეს ორსულობაც მათ უხერხულ, სასაცილო მდგომარეობად მიიჩნიათ; არა ბუნებრივად ეჩვენებათ, რომ გაიანე, ჩვენი გაიანე, თვალსაჩინო აქტივისტი უჯრედისა, თავისუფალი და ცქრილა, ოხუნჯობაში და გეობაში ამყოლი, ხოშის გამსწორებელი, სუფთა ფარდებით შემკობილ ფანჯრებს იქით გადაიძალა და რაღაც ოჯახის და შვილის კეთებას მიჰყო ხელი. მათ უნახავთ წერილ-ბურკუთაზეულ გავლენაში მოქცეული ამხანაგი, რომელსაც ხუთი საკუთარი და ექვსი შიშველ ქალის სურათი უკიდია ოთახში. მათ უნახავთ გალოთებული კომკავშირელი, შუალამისას მოქალაქეს სილის გაუწნევლად და ქალს უჩქმეტლად რომ არ გაატარებს. მაგრამ ესენი ფსკერზე იყვნენ ყოველთვის. გაიანე ძველი, გამოცდილი კომკავშირელია. მიტი მოთხოვება. ისინი იცქირებიან ირგვლივ და ვერ ხედავენ თავის წრეში ისეთს, რომელსაც გაიანეს საქციელის მსგავსი რამ ჩაედინოს. აგერ ლოყებ ლაელაეა და ხორციანი მარო: აგერ მკვრივი და პაპიროსის წევით ხმა ჩაბოხებული პელო: იქ თალიკო, თამრიკო, მაიკო, და გომბორა და მისი ამხანაგები მართალნი არიან გაიანეს წინაშე, რადგან მათ იციან, რომ თალიკო—თამრიკო—მაიკოსათვის საკავშირო მუშაობა უპირველეს და უდიდეს მოთხოვნილებას შეადგენს.

— რა დროს ობივატელობაა, (გომბორა ორსულობას ობივატელობას ეძახის) ჯერ ბრძოლა არ გათავებულა!—ამბობს გომბორა და ჩამოთვლის იმ სიმამრებს, რომლებიც აფერხებენ მსოფლიო რევოლიუციის აფეთქებას.

— ყოველი წუთი, მთელი სიცოცხლე უნდა შეეწიროს რევოლიუციის კეთილდღეობას. — ასე ესმის გომბორას, ასე ესმის თალიკო—თამრიკო—მაიკოს და ისინი ამართლებენ ამას. დღე და ღამ განუწყვეტლივ და დაუზოგავად მუშაობენ და სასტიკად ებრძვიან იმ მოვლენებს, რომელთაც შეუძლია მათი მუშაობის ტემპის შენელება. ასე ესმოდა გაიანეს, ასევე ესმოდა თოთიაურს. დღეს კი მათ სხვა რამეც უნებნეს, და ეს სხვა გომბორას მუწუკი ჰგონია. — მუწუკი უნდა მოიგლიჯოს. — ამბობს გომბორა და უძნელდება დაინახოს გუშინდელ უნიფხო, გაქალბიკებულ გოგოში, დედა, პირვე-

ლი დედა, შეიძლება ცუდი, მაგრამ მათ უჯრედში პირველი და
თავდები ათას მომავალ ახალ დედებისა. გომბორამ გადახრა დას-
წამა გაიანეს. რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა ამხანაგებისა,
თვის, მყარ ნიადაგზე შეაყენა თავისი აზრი:—აი რას უნდა ვიქნეთ
ური მუშაობიდან ჩამოშორება, უჯრედიდან მოწყვეტა!—განსაკუთრებულ
ბიუროს კრებაზე:—ორი წელია ჩვენს უჯრედში მუშაობს, სიტყვა
არ დაცდენია ჩვენი მუშაობის უვარჯისობის შესახებ! იწონებდა.
რა წამს უჯრედის ყოველდღიურ საქმიანობას ჩამოშორდა და სამ-
თვეში, ერთხელ დაიწყო მობრძანება, ყველაფერი უწესრიგოდ მოე-
ჩვენა; ქუთის სწავლება დაიწყო:—სისტემა შეეცვალათო;—რა არის
ამხანაგებო ეს, თუ არა რევიზიონისტობა, რომელსაც ჩვენი რევო-
ლიუციის ბელადი ლენინი ებრძოდა! მე ვიძახი, რომ ახალი აქტი-
ვის წამოყენების საკითხი, მაგაზე ნაკლებად არ გვესმის ჩვენ. მუშა-
ობა ეხარება, გადაგვარდა, ხედავთ, მამ!—ამ ნიადაგს სასუქებივით
ემატებოდენ ახალ-ახალი აზრები, ნოყიერდებოდა და ნიადაგმაც შე-
საფერი ნაყოფი მალე გამოიღო.

* * *

როცა გაიანემ გაიგო, რომ მის შესახებ მო-
თხრობას ვწერდა, თავისი ხელნაწერი გადმომცა: ეს
ხელნაწერი შესაფერ ადგილზე ჩაურთე მოთხრობას:
როგორ გგონიათ; ივარჯებს თუ არა?

მ უ შე ა კ ე ლ ის შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ახალგაზრდები დღიურებს სწერენ, მოხუცები მოგონებებს,
პირვ ლნი უსაქმობის გამო. მეორენი კი მისთვის რომ მათი შემოქ-
მედებითი გზა დაძაბვრებულია, სიცოცხლე წარსულად იქცა და
ისინი, როგორც აქტიორი როლის გათამაშების შემდეგ, შეფთარე-
ბიან დამტყვრილ კულისების საპირფარეშოს და გულგრილად იხ-
დიან ნილაბს, იშორებენ საღებაებს და მთელი სინამდვილით წარს-
დგებიან ხალხის წინაშე. მათ არ აშინებთ ეს სიშიშვლე, გულგა-
ცულებულ ხალხის ყბა კიდევ რომ უკვალოდ შთანთქას მათი დი-
დებული სიცოცხლე, როგორც კუნძული ოკეანემ.

მათთვის მოგონება უკანასკნელი გაბრწყინებაა თვალსა და
ხელსშუა გაპარულ სიცოცხლის. დღიურების მწეოალს ყოველთვის
აქვს მკირეოდენი იმედი, რომ მის ნაწერს ოდესმე მაინც იხილავენ
სხვები ამიტომ ისინი ნაკლებად არიან გულწრფელნი და თავისდა
შეუზნებლად ვლაცას წინაშე თავს იმართლებენ. ჩემი სტრიქონები
არც დღიუოია, არც მოგონება.

წვიმდა, მე უცქეროდი ფანჯრიდან ორსაოთელიან სახლს,
რომელსაც საწვიმარი თუხუქს შილი გახეთქოდა. წყლის ნაკადი
ხმაურით ესხმოდა ფილაქენს, ჩნდებოდა მორცვი. მე უცქეროდი

მგზავრებს, რომელთაც საყულო აეწიათ და მიიჩქაროდნენ. ვატილილ მილთან ნაბიჯს შეაყენებდნენ და სასაცილოდ გაუხტნებოდნენ წვიმის ნაკადს. მათ რომ ცოდნოდით, რა სასაცილონი იყვნენ იმ დროს, ნაკადის ქვეშ ამჯობინებდნენ გავლას. როცა მე ფანჯრიდან გამოვიჩინებოდი, მაშინ ნაკადი არ ჩანდა და ვიღებდი ისეთ მთასებრი-ლებას, თითქო მგზავრები სრულიად უმიზეზოდ ხტებიან მეთქი. ორხელ თუ სამხელ ცა ვაანათა ელვამ და გადაიღო ჩაბნელებულ და ავდრიან ღამის სურათი. მე ვერაუბოდი წვიმის და მგზავრების ცქერით. წვიმამ გადაიღო. ეხლა შესმოდა მხოლოდ პატარ-პატარა ნაკადების ჩხრიალი, რომლებიც ამაღლების ქუჩიდან ჩამორბოდნენ და გზაშივე იკარგებოდნენ. ჩამოვხტი ფანჯრიდან. ოთახში დავიწყე სიარული. ჩემი ოთახის კედლები ძალზე თეთრი ფერისა არიან. არ მიყვარს. ყოველთვის სიცივეს მაგრძნობინებს თეთრი კედლები. გავშალე წიგნი, დავიწყე კითხვა, მაგრამ იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ მე თავის მოტყუილებას ვცდილობ. რალაც მაშფოთებს და ეს შფოთვა მინდა მიეჩქმალო, თავი შევიქციო. მე ვგრძნობდი: ვიყვირებდი. ავტირდებოდი და რომ თავი დამეხწია მათგან, წერა დავიწყე. ვესაუბრებოდი ჩემს თავს, ვიგონებდი ჩემი შფოთვის მიზეზებს და წარმოიდგინეთ, გაუარესების ნაცვლათ, როგორც აქამდე ვფიქრობდი, თანდათან მიმჩატდებოდა წუხილი და იოლათ ურიგდებოდი ჩემ მდგომარეობას:

ნუ გაიკვირებთ, რომ მე, რომელიც ისე ვერ ვიტან ჩემზე რამე უფლების განცხადებას, როგორც ძალი ქურდის სიახლოვეს, დღესაც მაჩში არ წავსულვარ და არ მომიხსნია ჩემი გვარის გვერდით მიწერილი გიდონის გვარი. მე ვფიქრობ: გაქცევა-დამარცხებაა. ვინ მომცემს პირობას, რომ მეორე ქმარი არ განიმეორებს პირველს. გიდონები სამწუხაროდ მრავლობენ იმ ბანაკებში, რომელთა საერთო სახელი კომკავშირია. მე ვავიქეცი. მეორე!—ისიც გაიქცეს. მესამე!? მოახერხებს? ვთქვათ მოახერხა. რა გამოვა. გიდონები გადარბენ-გადმორბენით არ შეიცვლებიან. პირიქით, უფრო განამტკიცებენ მემჩანურ ოჯახის კონსტიტუციას. გიდონი თავის დამოკიდებულებას ჩემთან, სიყვარულს ეძახის. სიყვარული ისეთი მცნებაა, რომ უპირობოთ აღებული, არაფერს არ გამოხატავს, მე ვიცი მხოლოდ; მას უნდა ჩემთან ცხოვრება; კარგი სურს ჩემთვის, მაგრამ ამ სურვილებს ისეთი კილოთი ან მოქმედებით გამოხატავს, რომ მე რალაც, ბავშურ, უფულებო მდგომარეობაში ჩამაგდებს.

გიდონი დაბრუნდა შაბათობიდან. თოფის წმენდა დაიწყო, ისმის ჩერების შრიალი და ჩახმახის ჩხაკუნი. მე ვამბობ: წაშრიალ თეატრში, წრეულს არ ვყოფილვარ. გიდონ ალერსით მეუბნება, რომ დავრჩე შინ, რადგანაც მისთვის უხერხულია თქვენთვის ცოლით თეატრში გამოჩენა.

ბიზნიუსი

— ცალკე გავივლი, არ გამოგყვებით გვერდით;

პასუხის ნაცვლად გიდონმა მოუჩქარა თოფის წმენდას. ერთი საათი მძიმე ლოდევით ჩაიძირა დუშილში.

რალაც გვაკლია, რომ ასე მოსაწყენი არ ვიყოთ ერთმანეთისთვის. მე თუ არ მივცემ საბაბს, ერთი სიტყვაც არ დაცდება ისე ამოათავებს მთელ დღეს. უწინ არ მიკვირდა. ვერც ვამჩნევდი. აღმედრებოდა რომელიმე საკითხის ირგვლივ გასაუბრების სურვილი, გიდონს არ სურდა? ვნახავდი თოთიაურს, სხვას.

რაც უფრო ღრმად ვიჭრებით ოჯახში, თანდათან ვგრძნობ რომ იბადებიან სხვანაირი, აქამდე არ ყოფილი საკითხები და მოვლენები. ხშირად ამ მოვლენას ისეთი ინტიმური ხასიათი აქვს, რომ შათი გარეთ გატანა არ არის საჭირო, როგორც ქუჩაზე სქესობრივ აქტის ასრულება. ორ ადამიანს შეეხება ეს მოვლენა, ცუდია თუ კარგი, სხვა საკითხია, მაგრამ რახან წამოიჭრა, მხოლოდ ამ ორმა ადამიანმა უნდა უგოს პასუხი. ასეთ შემთხვევაში მე ვგრძნობ რომ გიდონს არ სწადია დაიკისროს მეორე ადამიანის პასუხისმგებლობა. ვარბის. არც ერთი კითხვის პასუხი არ იძებნება ჩვენს ოჯახში. ფანჯრებზე გაზეთები გვექონდა გაკრული. ერთხელ შევნიშნე:

— დავკიდოთ ფარდები.

გიდონმა თქვა:

— ფული?

— შევამციროთ სხვა ხარჯები. შენ მოუკელი ტყვიების ყიდვას, მე საუზმეს სახლიდან წავიღებ.

იყვირა მაშინ გიდონმა:—ფარდები მეშჩანობაა; არშინით და ზიპილპიპილოებით მოქარგული ფარდები მეშჩანების საქმეა;

რატომ არის მეშჩანობა? რატომ ზიპილპიპილოებიანი და არა უბრალო?! ვეკითხებოდი:—არ მაინტერესებს მაგის გამორკვევა! მიპასუხებდა. შემთხვევით ჩამოუგდე თალიკოს ამის შესახებ სიტყვა.—გაიციხა:—მეშჩანური საკითხები რომ არ არკვიოთ, სხვა საქმე დაგელიათ! მე გავჩუმდი. ძველად ცნობისმოყვარე ბავშვებს ქაჯებით ამინებდნენ. ყოველ ბავშვს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა ქაჯის მოყვანილობაზე, მაგრამ ყველასთვის ერთნაირი, უზარმაზარი და საშინელი საფრთხო-

ბელა იყო ის. მისი ხსენების შემდეგ გულაჩუყებული ბავშვები ჩა-
ჩუმებას ამჯობინებდნენ. ჩემს მიპართ ქაჯის როლს მეშინოდა ასრუ-
ლებდა. თუ დასძარი ენა, მოგაკარავენ და ათასი ცუტაცუტუტუ და ქა-
ბუთებით რომ ფხეკო, მაინც ვერ მოიშორებ. ვაჩუყებდი ქუჩის ქუჩე-
დათან ვგრძნობ მეორე ადამიანის უპასუხისმგებლობას. თითქო სხვა-
დასხვა ადგილებიდან ტელეფონებით ვესაუბრებით ერთმანეთს, ისე
დაწყვეტილ და ხანმოკლე ამოძახილებით მიდის ჩვენი საუბარი. გი-
დონს აწუხებს ოჯახი, როგორც ნავარდობას შეჩვეულ ფრინველს გა-
ლია, რომლებიც თავისებურ საზღვარში აქცევენ მის თავისუფლებას.
გიდონი გრძობს, რომ ეს საზღვარი რაღაცას ავალებს მას. გრძნობს
რახან მის ოთახს შეემატა მეორე ადამიანი, მან მის სასარგებლოდ
უნდა დასთმოს რაღაც; ეს რაღაც მეშინობად მიაჩნია. გარკვევას
გაორბის. ვერ ხვდება რომ „რაღაც“ გულისხმობს ჩემთან საწოლის გარ-
და, სხვანაირ შემაკავშირებელ ნიადაგის მონახვას. ვერ ამჩნევს რომ ჩვენ,
ოჯახის მაგიერ, ურთიერთ შორის დაუკავშირებელ და უხერხულ მო-
ქმედებებით შეკოწიწებული მდგომარეობა გვაქვს. არც შეიძლება
სხვანაირად იყოს. ჩვენ უწინაპრონი ვართ. ჯერ არავის არ გაუფ-
ლია ამ ოთახში, რომ მისაბაძი მაგალითი დაეტოვებია ჩვენთვის,
ცხოვრებამ შეასწავლა გიდონს თოფით ხელში ქუჩებზე სირბილი. მან
იციის დაზგასთან დგომა, მაგრამ არ იციის ოთახში სიარული. გიდონი
პირველია ოჯახში და უმძიმს, უმძიმს პირველობა. სიარულის ნაცვ-
ლად ფეხებ შებორკილ ცხენვით ხტის. ამ ხტომაში მე მომხვედრია
წიხლები, შეიძლება აწიც ძომხვდეს, ავიტან, მედგარად შეგვხვდები. მე
ვიცი ამ წიხლებს გიდონის სახით, ძველი ქვეყანა მირტყამს. ჩვენ
მომხვედრია ბარიკადებზე, ზოგჯერ დაემარცხებულვართ; არ დაგვი-
ტოვებია ბრძოლის მოედანი. არც ეხლა გავექცევი, შევებრძოლები
და წავართმევ ქმარს ძველ ადათებს, რომლებიც როგორც მტერი
მიტოვებულ თაროზე, ისე სქლად დასდებია და დაუფარავს. უჯრე-
დში დაუსვამ საკითხს, ავალაპარაკებ ამხანაგებს, მოვიხმარ თოთია-
ურს. ისინი უნდა ჩაერიონ. უნდა გაგვათელიონ გზა, რომ შემდეგმა
თაობამ უტკივილოდ შემოადგას ფეხი. ძალას მომავალი შვილი მშა-
ტებდა. მსჩვენებოდა რომ ჩვენი ოჯახის ცარიელ ადგილს ამოავსე-
ბდა ბავში. მე არ ვიცოდი ნათლად, როგორ მოხდებოდა ეს; მაგრამ
ინსტიქტიურად ვგრძნობდი, რომ შვილს დიდი ადგილი უნდა ეთა-
მაშა ჩვენი ოჯახის მოწყობაში.

ჩვეულებრივად იცქირებოდნენ სურათებით აპრელებული კედ-
ლები კლუბისა. ჩვეულებრივად დარბის ტენიკური მდივანი უსწო-
როდ მიყრილ გრძელ სკამებ შორის. ცალ ხელში ოქმები და დაე-

თარი უჭირავს; ცალით, ჯერ ერთი სკამის თავს გამოათრევს, მეორე მუ-
 რე თავს გაუსწორებს. ჩვეულებრივად აჩქარებენ გომბორას უჯრედის
 გახსნას ამხანაგები. ჩვეულებრივი სიცილი, ოხუნჯობა, მუშაკობა მო-
 მიმატა გულმა ბაგუნი, როცა კლუბის კარები შევალე? ანუ არა? შიშვე-
 მლად შევკრთი. მხრებზე მოსხმული განიერი თავსაფარი გადმოვიკიდე
 და წინ ჩამოვიფარე. შემეშინდა დამცინავ თვალების. სხდომა გაიხ-
 სნა. უკანასკნელი ჩურჩული მიწყდა და მდივანმა წაიკითხა დღის წე-
 სრიგი. მესამე საკითხად პარტიაში გადასაცემ ამხანაგების ანკეტების
 განხილვა იდგა. ჩემი ანკეტაც დღეს გაირჩევა უთუოდ, გავიფიქრე
 მე. გულმა ცემა გააძლიერა და მე ნათლად ვკრძნობდი თითველ და-
 კვრას. ვისაც გამოუცდია გულის ასეთი ძგერა, ის არ გაიკვირავს,
 თუ ვიტყვი რომ ორ მოხსენებიდან, ერთი სიტყვაც არ მიუღია ჩემ
 ყურებს. ვარინდებული ვიჯექი ღა ველოდი ანკეტების განხილვის
 დაწყებას. ვილღებოდი. საკვირველია! ვიჯექი. არ ვმუშაობდი, არ ვფიქ-
 რობდი, მაგრამ ისე დაკბმულად ვკრძნობდი თავს, თითქო ჩქარ მდი-
 ნარეში გავდიოდი და ჩქერების მიერ წართმეულ ფეხებს ვიმაგრე-
 ბდი. როგორც ხშირი ტყე, აიმართა უამრავი შკლავები და თითქო
 ამ ტყეში ნიავემა გაირბინა, აშრილდა ჩურჩული:—მივილოთ, ღირ-
 სია;—ეს თალიკო დაამტკიცა უჯრედმა პარტიაში გადასაცემად.
 როცა თალიკოს განათებულ თვალებს შევხედე, გავიფიქრე; ნეტავ
 მეც თუ ისე გამიხარდება პარტიაში გადასვლა? ტანში გარბენილმა
 დამაწყნარებელმა ერყოლამ დამარწმუნა, რომ არამც თუ გამიხარ-
 დება—ყველაფერი იქნება ჩემთვის. შემდეგ... შემდეგი ჩვეულებრივი
 მოვლენა იყო. მე შემაშინა სამარისებურმა სიჩუმემ, რომელიც ჩემი
 ანკეტის წაკითხვის შემდეგ ჩამოვარდა. ასეთ დროს უჯრედი ყოველ-
 თვის ახმაურდებოდა, ალაპარაკდებოდა, მაშინ კი ისეთი სიჩუმე
 დადგა, თითქოს ჩვენს შორის თეთრგვარდიელი ყოფილიყოს შემო-
 პარული; დუმდენ და ძალას იკრეფდენ, რომ ერთბაშად დასხმოდენ
 თავზე. არც მაშინ, როცა გომბორამ ჩააგდო სიჩუმეში სიტყვა:—მიე-
 ცით, ვის გაქვთ შეკითხვები!—ჩვეულებრივად არავის არ დაუძახნია:
 —ვიცნობთ, რა შეკითხვები უნდა!—ჩუმი წუთები, როგორც ხმელი
 ტოტები მეყრებოდა ტანზე, გროვდებოდა ფეხებთან და ელოდა ცე-
 ცხლის წამკიდებელს და მეც ვკრძნობდი რომ დავიწყებოდი სირც-
 ხვილით, ნალველით. უკანასკნელი ძალ-ლონე მოვიკრიფე. გავიღიმე,
 რომ არ დამეძინია ამ არა ბუნებრივ სიჩუმის ჩემთან კავშირი და
 წამოვიყვირე:—რას გაჩუმებულხართ! მინდოდა კიდევ გამეგრძელებ-
 ბინა, მაგრამ გომბორამ შემაწყვეტინა:—სიტყვა ვინ მოგცა, რა გა-
 კველებს!... და ჩვეულებრივად მიმდინარეობდა სხდომა. რა იყო სა-

კვირველი! განა ერთი და ორი, ოდესღაც აქტიური კომკავშირული ჩამოშორებია უჯრედის მუშაობას და ჩაეარდნილა მემჩანობის ქობ-ში?! გომბორამაც ეს აღნიშნა. მაგალითებიც მოიყვანა და დაეხატა თავი წარსულს, გუშინწინდელი ავილოთ. უპარტისტოა და დაეხატა ჩაავდო; უფრო ახლობელს ვიტყვი... და მოჰყავდა ფაქტები და ჩვე-ულებრივად მიმდინარეობდა სხდომა. ჩვენი ბიჭები ფაქტებს ინგლი-სურ ჯორებს ეძახიან. მეტის მეტად მტკიცედ იღვენ ეს ინგლისური ჯორები. მიუახლოვდებოდი და შევეცდებოდი ადგილიდან დაძვრას; ჯიუტობდენ, ტლინკობდენ და უკუმიქცევდენ.—რა საკითხები იდგა ნოემბრის პლენუმზე?—შემეკითხა კომ-უჯრედის წარმომადგენელი.— ვუპასუხე. ვილაცამ გაიცინა. წარმომადგენელმა თქვა:—სოციალიზმის მშენებლობის საკითხები ყოველ პლენუმზე ისმება. მე გეკითხებით კონ-კრეტიულად ნოემბრის პლენუმის შესახებ.—მე არ ვიცოდი ეს კონკრე-ტიული. მე არც ის ვიცოდი, ჩატარდა თუ არა ნოემბრის პლენუმი. რახან მეკითხებიან, უთოოდ ჩატარებულა და პასუხიც ზოგადად ვი-ვარაუდებ: ჩვენს პლენუმზე სოციალიზმის მშენებლობის საკითხის გა-რდა, სხვა რა საკითხი დაისმებოდა მეოქვი:—მემარჯვენე გადახრის შესახებ თუ იცით რამე?—შემეკითხა მეორე. გამეხარდა. იმედი მომეცა. გავიმართე, თითქო ამდენხანს წყალში ვიძირებოდი და უეცრად მი-წას მოვახვედრე ფეხები. როგორ არა, ვიცი. ოდესღაც რამდენიმე მოხსენებაც გამიკეთებია გადახრების შესახებ, გათამამებულმა თავ-მჯდომარის მაგიდას გადავხედე. მაგიდის ირგვლივ შემოკრებილი თვალეები არ მომეწონა. მივბრუნდი, კედელზე გაკიდებულ სურათს მივაჩერდი და დავიწყვე:

— შენ მემარჯვენე გადახრის შესახებ გეუბნებიან!—შემაჩერა თავმჯდომარემ. სურათს თვალი მოვაშორე. ჩემს ხედვას პელოს გა-წითლებული სახე მოხვდა. ტუჩებს სასაცლოდ ამოძრავებს, თითქო უნდა რალაც მანიშნოს. მე მიხვდი: პელოს ჰგონია—მე სხვა საგანზე ვლაპარაკობ და მეჩურჩულება;—გავიფიქრე და ღიმილი მომერია. გადავხედე თავმჯდომარეს:—შენ რომ ამბობ, ის მემარცხენე გადახ-რაა; მემარჯვენე თქვი;—მითხრა მან. მემარჯვენე... მემარცხენე... უზარმაზარი კითხვის ნიშანი ჩამიდგა თვალეებში. დავრწმუნდი რომ მთლიანად ჩამოვრჩენილვარ პოლიტიკურ ცხოვრებას, მივხვდი რომ მე მშვენივრად ვიცი ის საკითხები, რომლებსაც ორი წლის წინად ქონ-დათ აქტუალური მნიშვნელობა, ვიცი ის საკითხები, რომლებიც კომ-კავშირში ჩემი აქტიური მუშაობის დროს კარნახობდენ პოლიტიკურ ცხოვრებას. ჩემი ცოდნა უკვე მოძველებულა. ახალ-ახალი საკითხები დასმულა დღის წესრიგში, მათ წინაშე მე გაკვირვების მეტი არა-

ფერი არ შემეძლო. კვლავ აიმატო უამრავი მკლავები ჩემი ანკეტა უარყვეს. მისი ხელმეორედ გარჩევა განუსაზღვრელ ვადამდე გადასდეს. — როცა უჯრედი დაინახავს საჭიროდ... უკრქუნულო

რომელიღაც მიყრუებულ ქუჩას მიყვები. გახვეწილი ქუჩისკენ გამოუტანია ქვებს შორის ბალახები და მწვანედ შეუშოსავს ფილქანის კიდე. ეტყობა იშვიათად ხვდება ამ ქუჩას მოქალაქეთა ტლანქი ფეხები, ჯერ არ მიჰკარებია ცივი სუნთქვა ლითონებისა და ფანჯრების მინები არ აზრიალებულა საბარგო ავტომობილების მოახლოვებით. წყნარი ქუჩაა... არჩევანი შეუძლებელია! მე მინდა ვიყო დედაც და მოწინავე საზოგადოებრივი მუშაკიც. ერთი ხელს უშლის მეორეს. ჩე ვხედავ ჩემს მომავალ ცხოვრებას. მეყოლება შეილი, უნდა ვიზრუნო მისი აღზრდის შესახებ! გამახსენდა ქმარი, რომელსაც როგორც ბავშს უნდა უდარაჯო. თუ მიუშვი, წაატანს ხელებს მყარალ ჩვეულებას და მაშინვე პირისკენ წაიღებს გაუსინჯავათ. ხშირად ბავში ზიანის მომტან ნივთს ეთამაშება. ამოიჩემებს ალესილ დანას, დააქვს ყოველგან და ყოველი დანის მოქნევა აზრიალებს მშობლებს: — დაშავდება, გაიჭრის რამესო; დანა რომ გამოსტაცოთ, ბავში ცრემლებათ დაიღვრება. მე მინახავს გამოცდილი მშობელი, რომელიც არ გალახავს მაშინ პატარას. ის ფხიზლად არის და რა წამს ბავში თვალს მოაშორებს ალესილ დანას, იმ წამსვე შეუცვლის მას ბლავგ და უფნებელ დანით. ამგვარათ უნდა მოხდეს გიდონში ძველი გრძნობების შეცვლა. ერთი — წაართვა, მეორე უნდა მისცე, თორემ გაპარტახდება და დაცარიელდება გული. ამისთვის საჭიროა დრო, საჭიროა სიფხიზლე საჭიროა გავეგრძელო დაწყებული გზა... შეუძლებელია! თუ მდგომარეობა არ შევიცვალე და ძირშივე არ ჩავკალი ჩემი მომავალ საზოგადოებრივ მუშაობის ხელის შემშლელი პირობები, პარტიის ნახევრად მიხურული კარები მთლიანად დამეკეტება. კომკავშირის ასაკი შემსრულებია და მე, როგორც ოთახის დაგვის დროს, კუთხეში შეუმჩნეველად დავარდნილი საჭირო ნივთი, გავეიტანები გარეთ ნაგავთან ერთად. მუცელს დავხედე. გამაჭრეოლა, თითქო გველს დავკარი ფეხი, თითქო შვილის მაგიერ უსარგებლო ხორცმეტს ვატარებ, რომელსაც დროზე უნდა მიუსწრო და მოკრა, თორემ დაგხუთავს, დაგაავადებს. მაქვს თუ არა ამის უფლება?! არჩევანი შეუძლებელია! წამოვიძახე მალალი ხმით. ჩემი ხმა მეუცხოვა. რა გქნა, რომელი რომელს შევიწირო, რომელს რომელი ვანაცვალო?! მოვიხედე ირგვლივ, თითქო ველოდი ვიღაცას, რომელიც მომამბენინებდა პასუხს. ჩაძინებულ სახლების სიმშვიდეს დარაჯობენ მბუჭტავი ფარნები. ზვიდან მომავალი თოთიაური დავინახე. როგორც ცუდ საქმეზე წამოს-

წრებული, შეეკრთი და მახლობელ დერეფანს შევეფარე. თვალებში
ემალის კრიალა დაფა ჩამეძირა. ამოვიკითხე შავად წარწერილი სი-
ტყვები:

ქართული

გამოცდილი ბებია ქალი პარამონტის

ძალღვივით მეძგერა ბოროტი აზრი; არ მომეშო, ვცადე. მეტი
სიაფთოთ შემომიტია და კვლავ ემალის დაფასთან მიმავლო. შეს-
წოდა მოახლოვებულ თოთიაურის ნაბიჯები. წარწერა მეორეთ გა-
დავიკითხე და...

* * *

მკითხველო კომკავშირელო და ახალგაზრდავ! როგორც ხედავთ,
მოთხრობა დავბეჭდე დაუნთავრებელი სახით, როგორც ვადმომცა
მუშფაკელმა. ვიფიქრე: მე თითონ დავამთავრებ, მაგრამ გაბედულება
არ მიყო. უხერხულად მივიჩნიე, რადგან ავტორი—მუშფაკელი ნამ-
დვილ ამბავს მოგვითხრობს შიგ. მეშინოდა ვაი თუ მოთხრობას ისე-
თი დაბოლოვება მივცე, რომელიც ავტორის მიერ აღებულ სინამ-
დვილეს არ შეეფერება მეთქი. ხომ შესაძლებელია რომ მე საჭიროდ
დავინახო რომელიმე გმირის ფიზიკური, პოლიტიკური ან სხვა სახის
სიკვდილი, შესაძლებელია შეცდომაში მოვიდე, არ მინდა უდანაშა-
ულო ადამიანის ცოდო მოვიკიდო; ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ძვი-
რფასო ამხანაგებო; ვამეციო წერილობითი პასუხი: თქვენის აზრით,
როგორ უნდა დაბოლოვდეს მოთხრობა. მე შევაჯამებ თქვენ შეხე-
დულებებს და მათ საფუძველზე დავამთავრებ მოთხრობას.

ამხ. სალამით

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მისამართი: ტფილისი მაჩაბლის ქ. № 13.

ხელოვნების სასახლე.

ფრიდონ ნაკოუშვილი

ქოფაცხოვერება საბჭოთა სოფელში

ახალი მოსახლეობა

პოემა

—ვინ ხართ მომხრენი ამხანაგებო,
დავშალოთ ძველი ღრე და ხეობა,
ჯერ არ ყოფილი და სასარგებლო
შევქმნათ ახალი მოსახლეობა.

მართალი არის ვწუხვართ ეგ ზომად,
ერთ ხელ ალებით გადავიტანოთ,
დაეტოვოთ ჩვენი ძველი ეზო და
ჩვენთან შეზრდილი ძველი მიდამო.
ვინ ხაროთ მომხრენი, ახალ შენობას
ღრმად ჩაწვდომა და უნდა გაგება,
მე კომფრაქციის სახელით შემომაქვს
ეს სასარგებლო წინადადება.
ასწიეთ ხელი! ასე ვის უნდა?
მოუწოდებდა სოფელს ოშარი
სოფელი სდუმდა.

.....

მაგრამ რათ სდუმდა ავრე სოფელი,
ფიქრებში მძიმე კითხვის ნიშანით?—
გლებმა დაშალოს მისი ცხოვრება
ეზო მისებურ შემოლობილი, —
ეს აღარ არის ისე ადვილი
გზატკეცილის ან საქმე ბოჯირის.
აღმშენებლობის გეგმა გაშალო
უნდა დაშალო მთელი ხეობა.

2.

არის მიდამო უღელტეხილი,
მალლობებს შორის არის ხეობა,
ამ ხეობაში შემჭიდროებით
ცხოვრობს გლებური მოსახლეობა.
თუმც მიწა შავი და ნოყიერი
კარგი მოსავლით არის კებული,
მაინც მცხოვრებთა უმრავლესობა
ხშირად ყოფილა დამშვიებული.
არ ყოფნით მიწა სახნავ სათესად
მცირედი ყანით ვინ რას გახდება,
შორს ველი არის, მაგრამ ვერ იქნა
ვერ გადაწყვიტეს გადასახლება.
ხარობს სიმინდი, ხარობს ვენახი,
სივიწროვე კი, მაინც დიდია,

როცა მოსავალს შემოიკრეფენ
ფულის საშოვნად სხვაგან მიდიან.
მეტად უგეგმოდ მოსახლეობენ,
ასე ძველთაგან შეყვარებით,
ლამით ერთმანეთს, სამეზობლოში,
ბოროტ განზრახვით ეპარებიან.
სახლი სახლის წინ არის დადგმული,
რომ დაეკარგოს მზე და იერი,
მეზობელთ შორის გამუდმებულად,
შური და მტრობა არის ძლიერი.

3

კარჩაკეტილად სვამენ, მღერიან,
ყოველი ეზო, ეზოს მტერია,
სახლი გაურბის სახლს,
და მტრულად უყფეს
მეზობლის ძაღლი, მეზობლის ძაღლს.

4

ცეცხლი ლაპლაპებს კერაზე,
ქოხში მზადდება ვახშამი,
ფეხებ შიშველი ბავშვები
სხედან კერიის გარშემო.
ჩიბუხს ეწევა ბაბუა,
შორს თვალი უჭრის, ყრუ არი,
ზის სიღო, დაღვრემილია,
ოჯახის ბატონ-პატრონი.
დიასახლისი კუთხეში
თავისთვის საქმეს ეწევა,
ცეცხლი ლაპლაპებს კერაზე
და კეცზე მკადი იწევა.
სადაც მზადება ვახშამი,
იქვე იძინებს ჯალაბი,
ტახტზე უყრიათ ძონძებათ
მათ გამკვერტული საბანი.
კედელზე არი მიკრული
ნახევი ძველი ნოხისა,

გვერდით პირუტყვთა ბინაა
ერთი ხარის და ძროხისა.
დაბლა კერაა ლადარი,
სხვენში დაფრინავს ჭათამი
და ამ ჭოხშია რაც არი
ლარიბ გლეხკაცის დოვლათი.

— კერაზე ცეცხლი მინთია,
ვარსებობ მტერის ჯინაზე,
მეზობელს გაუხარდება,
თუ ძალლი შესწყვეტს ყეფასა...
გარეთ ხან ცაა კრიალა
და გასარკული ჰაერი,
გარეთ ძალლი ყეფს დილამდე
მხეცი და კაცის მჭამელი.
— რა კარგი არის გარშემო
ჭეის გალავანი გვეფაროს,
იყეფე, ძალლო იყეფე,
მტერი არ შემოგვეპაროს.

5.

სახლი მიწური, ისლით ნახური,
კედლები შავი და შენგრეული,
გლეხის ერთგული თავშესაფარი
საუკუნის წინ არის ნაგები.
მაშინ როდესაც შალაშინი და
ხერხი არ იყო გავრცელებული
ნაჯახით მუხის ტყესა ჩეხადენ,
მუხებს აპობდენ ჭოხის ფიცრებად.
ერთგული მამა ამ ჭოხის გამო
შორეულ ამბებს მოუყვებოდა,
ფეხშიშველ ბავშვებს ცეცხლის გარშემო
ბელურებივით შემოხვეულებს.

6.

სიღო ფიქრობდა თავ ჩალუნული,
შვილს ცეცხლის პირზე წიგნი ეკირა,
და გულმოდგინეთ ხვალის გაკვეთილს
იგი სწავლობდა ზეპირად.
სიღომ გასწყვიტა ფიქრი შუა გზაზე,
უნდა წამკითხველს რამე გაუგოს,



ქართული
ბიბლიოთეკა

ეზოში დადგმულ მაღალ ოდასა
გარს გაღავანი არტყია.
ეზოში ვრცელი ვენახებია,
ვენახებს მოსდევს ხეხილთა ბალი,
სოფელში მოსწონთ, სოფლად ხმებია,
აგრანომ გოგის ჭკუა აქვს სალი.
მეურნეობის „კულტურას“ თესავს,
კეთილ მოწყობას ზიანს აყენებს,
გაიძვერულად სოფელში დღესაც,
იგი ავრცელებს თავის ნამყენებს.
მას საზომი აქვს თავისებური,
ის საკუთრების იდეას იცავს,
უმრავლესობა მას არ ემდურვის —
იგი ხეობის მგეგმელად იქცა.
გლეხები მასთან თხოვნით მოსულან,
რომ შეესწავლათ ვენახის მოვლა,
და ფილოქსერის სენის მოსპობა
და რით ეომონ ავდარს და გოლვას.
გოგის ვაგლეხა ამ ხეობაში
საკმაოთ არის განმტკიცებული,
ეხმარებოდენ, ხეობის მცხოვრებთ
ოფლი უღვრიათ მისი მიწაზე.
მოსწონდათ მისი ეზო გაშლილი,
მოსწონდათ მისი ბალი და ზეარი
და ბევრს უნდოდა მასსავეთ შვილი,
რომ აგრანომად გამოეზარდა.
ჩვენი ღარიბი გლეხკაცი სიღო,
დილით აგრანომ გოგის ესტუმრა,
გოგი სავაზე ნერგებს უვლიდა
და სიღოს დახვდა ხელებ დასვრილი.
შეწყვიტა შრომა და მეზობელი,
დიდის ზრდილობით იქვე ჩრდილოში
სამუსაიფოთ მიიპატიჟა:
— როგორ ბრძანდები ძმობილო სიღო!
— მადლობელი ვარ,
ყველას ჩამოვრჩი, ნაპერ მიწაზე
მინდა ნამყენი ვაზი ჩავყარო,
ნერგები არ მაქვს, მომყიდე გოგი,




საეაზე მიწაც შენ გამიპლანე!
— რამდენი ძირი გინდა ჩაყარო?
— ოთხასი.

ვიძლევი, მზათ ვარ, მომეცი ხელი,
დავეხმარები, თვითონ ჩაგიყრი,
ვაზის სანერგეს აბაზად ვყიდი,
ოთხასი ძირი! უფასოდ ვიზამ,
ოთხას აბაზებს მე აღარ ვჩივი
და შენც იოლად მიახწევ მიზანს.
ჩემი მოსაზღვრე მეზობელი ხარ
და დავეხმაროთ ერთმანეთს უნდა,
თუ მამაჩემი გემტერებოდა,
სამაგიეროთ მე კარგი მსურდა...
სამივე მხრიდან ჩემი მიწითა
შენი ოჯახი შებოჭილია,
შენ ხედავ კარგათ ეს შენი ეზო
ჩემივ ეზოში შემოჭრილია.
შემომიერთე, მე მოგცემ მიწას,
შემოგიკავებ ჩემივე გარჯით,
შენს ჭოხს მე დავშლი, მე გადავიტან,
მე დაგიხურავ ჩემივე ხარჯით...
— ეზო დაგიტმო?.. თავი ჩაღუნა
და უარის ნიშნად სიღო გაჩუმდა.
ველარ შეთანხმდენ და გოგამ მაინც
ოცი საეაზე ნერგი აჩუქა.
და მართლაც სიღოს ეზო და კარი
კედლებს შუა იყო შემომწყვდეული.
აქეთ პეტრე და იქეთ გაბრიელ,
ორივ ბობოლა, ორივ წყეული.

10

მალლობზე მდგარი მალალი ოდა
სპილენძივითა იყო ელვარე,
მისი პირდაპირ ამოდიოდა
და ჩადიოდა მზე შუქ მღელვარე.
დღეს მეტად კარგი მზის დარი იყო,
ქალი აივანს გადმომდგარიყო,
და შინ აწყობდა მზეზე გაფენილს

საბნებს, ბალიშებს, ზეწრებს და ნოხებს.
მზემ ღამე მთებზე ააფრიალა,
მიმოირაზმა ვარსკვლავთა წყება,
ზეცა ისევე იყო კრიალა,
ძაღლებმა ისევ ატეხეს ყეფა.



11

გოგის ცოტა რამ დარჩა სახნავი
მომართა ჩარხზე პირი სახნისის,
თანვე ვახშამის სამზადისს მორჩა
მისი ერთგული დიასახლისი.
მხოლოდ ელოდენ ოჯახის უფროსს,
ჯერ გოგის მამა არ მოსულიყო,
უმისოდ ვერვინ გაშლიდა სუფრას,
ის უნდა სუფრის თავს დამჯდარიყო.
ღამემდი, ურმით მოქონდა ტყიდან
წიფნარის შეშა სხვის დახმარებით,
მოვიდა ეხლა და წელ დამტყდარი
ცის ქვეშ დააბა ბულა ხარები.

12

ოდის დარბზი იყო მორთული
ამ ხეობაში საუკეთესოდ,
მაგიდის ირგვლივ სელის სკამები,
ხავერდოვანი ნოხი კედელზე,
ტახტს აბრეშუმის საბნები ეწყო
ნაქარგ ზეწარით გადაფარული,
და სურათები ეკიდა ზემოთ,
ამ ოჯახისთვის სასიყვარულო.
კედელზე ხატი, მასთან სურათი
განსვენებული იმპერატორის,
იქვე ვილგელმი, თანვე სულთანნი
და მეფეების სხვა პორტრეტები...
რევოლიუციას მყინვარები და
მთაგრეხილებიც კი დაუხრია,
გვირგვინი გვირგვინს თან მიყვებოდა
და სამარეში რომ ჩაუყრია—
აქვე არიან ოდის დარბაზის

კედლის ერთ რიგში გამწკრივებული.
გარეთ ებრძოდა კლასები კლასებს,
მეფეებს კლავდენ, მას მოყვებოდა
წერ-კერენსკები, შემდეგ ლენინი—
ამ დარბაზში კი ძველი რჩებოდა
და განსვენებულ მონღევრო სურათს,
მხოლოდ სურათი ემატებოდა.

13

მოკლე ლამეა და დილამდისინ
მოულოდნელად დრო გადაივლის,
დაწვნი და ისევ ჩვეულებრივად
ქონდათ მსჯელობა და მუსაიფი.
—ამ ხეობაში, დაიწყო გოჯიმ,—
სანამ ვიქნები კაცი ცოცხალი
კომუნის ნასახს არ ვახეირებ.
ხომ დაინახე როგორ გარიყა
ხალხმა ოშარის „კეთილ საქმენი“,
კეთილმოწყობა რომ მომხდარიყო
ჩვენთვის არ იყო ეს ხელსაყრელი.
დიდი სიფრთხილე არის საქირო
ფონზე ვერ გავალთ ეხლა მეხურად
დათათლურ ენით ვილაპარაკოთ
და გლენს მოვეპყრათ მოხერხებულად...
მაგრამ მამიჯან იცი რა გითხრა,
მე ბოლშე გულში აღარ მეტევა,
შესაძლო არის დაგვასამაროს
ჩვენ კომუნისტურ ელემენტებმა.
გზა იგი გზა, რა გზა იქნება,—
გამოსავალი რამე გვაჩვენოს,
რომ არ შთაფინთქათ, ჩვენი ოჯახის
სახე ბოლომდის შევინარჩუნოთ.
ამაზე ვფიქრობ, გამოსავალი
გზა ჯერ არსაით აღარ მეგულვის,
ამ ხეობაში ჩემი გავლენა
თუმც ძლიერ არი განმტკიცებული,
მაგრამ ეგ საქმეს ხომ ვერ უშველის,
სხვაგან თუ ასე ვკვდებით ვიღევით,



ქართული
ენისა და მწიგნობრობის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეურნეობის ძველებურ ფორმას
 მეურნეობის ახალ კბილებით,
 ცის ქვეშ ყოველგან თუ ასე ღრღნიან **მკრქნენ ულნი**
 — გამაგებინე რას ჩივი შვილო! **ბიბლითი**
 — გზას ვეძებ მამა გზას...
 დედაკაცებს კი, ამ მუსაიფში
 კარგა ხანია ჩასძინებრდათ,
 მამა და შვილმაც ძილს მისცეს თავი
 და ჩვეულებრივ ესიზმრებოდათ.

14

აქამდე მაღალ ოდის ფანჯრიდან
 ვარსკვლავთა წყება სჩანდა მკაფიოთ,
 მაგრამ ცა ლურჯათ გაჰომზირალი
 მთვარისგან იქნა გამკრთალებული.
 ვარსკვლავთ ციმციმი შუქმა დანისლა,
 თეთრი კენჭებით ცა წაყრილიყო
 და აღვიძებდა შუალამისას
 მოსახლეობას, მამალთ ყივილი.
 შემდეგ სიჩუმე იღვა მთებური,
 იყო ხეობა ისე მუქი და
 იყო დარბაზი განათებული
 ფანჯრით შემოჭრილ მთვარის შუქითა.

15

პეტრემ ძილშივე წამოიყვირა:
 გადარეულხარ გზა აგბნეგია,
 გადაჩეხილხარ გაბრიელ ხრამს,
 რაის ჯინი გაქვს თავი მანებე,
 არ მინდა შენი, არ გაგცემ ხმას
 შენი მუშტრები ჩემთან მოდიან
 მე შენზე უფრო კაცურად ვხვდები,
 ამ მდინარეზე შარშან დადგმული
 გათენებამდე ბრუნავენ ქვები.
 ურმებით მოაქვთ ჩემთან საფქვავი,
 მე დილამდისინ ველარ ვათავებ,
 შენ კი რამდენჯერ გაგირღვევია
 ჩემი წისქვილის ჯებირ-სათავე.

იმ ზომ გულს მტრობა ჩაგიტესია,
რა ზომ სიმინდიც არ ვითესია,
ღმერთმა გიმტროს და ამ ხეობიდან
გარეულობით ამოგლესილხარ.

16



ქართული
ლიბრერიის
სამსახური

გოგი ყვირილმა მისმა მამისამ
გამოაღვიძა გულბოლმიანად,
მას ღრმად ეძინა და შესაძლოა
არც კი ეძინა მშვიდობიანად.

-- დედი!

— რა გინდა შეილო?

— გლვიძავს?

— მლვიძავს.

მამის ყვირილმა გამოგაღვიძა?
მან ასე იცის, ძილს მიეც თავი,
ყურს ნუ მიუგდებ!

— დედი, გააღვიძე! სიზმარს გადაყვა!

და ბებრუხანამ ქუსლი კრა ქმარს:

-- თოლიგე! გესმის თოლიგე!

— ჰმ! ჰმ!

— გამოიღვიძე თოლიგე!

— თავი მანებე შენ... დედაკაცო!..

— თენდება, თენდება არ გესმის?

პეტრეს ზმორებით გამოეღვიძა,
ის ძილნაკლული წამოდგა ზანტად,
ნიფხავ-პერანგის ამარა იყო,
რომ ფეხშიშველი გავიდა გარეთ.
ჯერ დრო შორს იყო გათენებამდის,
ისევე დაწვა და მტვრად ქცეული
ჩიბუხს ჩასტენა შავი თამბაქო,
ამოაბოლა ზედი ზედ კვამლი,
გამოეღვიძა ყველას უდროოთ.
და ჩვეულებრივ დაწოლილებმა
ისევე გამართეს სჯა და ბაასი.
და ერთმანეთსა გაუზიარეს
ამავე ლამეში რაც კი ესიზმრათ.



მთვარე ჩავიდა და განთიადი
 დადგა ქედებზე ვით ოქროს ზოდი,
 ამ დროს დგებიან და ქობმახებში
 ცეცხლს აჩალებენ დედაკაცები.
 ცაზე კაშკაშებს ცეცხლი მორღიის—
 მაშინ ქალები კვებავენ ქათმებს
 და საოჯახო საქმით მოღლილნი,
 მონურ ყოფაში დროს მიათრევენ.

18

გარიჟრაჟისას პეტრე წავიდა წისქვილში.

19

მთიდან წყალი ჩამორბოდა,
 დაღმართ-დაღმართ რიყე იყო,
 მიღმა-მოღმა ლოდები და
 საცალფეხო ხიდე იყო.
 ლოდებ შორის გუბე იყო
 მიმდინარის ნაგუბარი,
 გუბე ზეცის სარკე იყო—
 კალმახების საბუდარი.
 აღმართ-აღმართ კიდევ იყო
 ლოდზე ლოდი მინაგლესი,
 ჩანჩქერების კიბე იყო
 კლდენი მქუხარ მდინარესი.
 ქუხდა ისევ მოსალხენი,
 მიღმა-მოღმა მოლი იყო,
 ამ ხეობის მოსახლენი
 ორასამდე კომლი იყო.

ვაგრძელება იქნება.



რძინის ქებაი *)

VIII.

(გაგრძელება)

ხმებოდა ფოთლები და ყლორტები ხეხილებზე, იკარგებოდა ფრინველთა ქრიაშული შორეული სივრცეების იქით და ხანდახან ქარი და წვიმა დამღეროდა შემოდგომით დამზრალ მიწას.

ჩაიკეტა სოფელი ქოხებში. შიგ კი გუზგუზებდენ ბუხრები, მაგრამ არ შეეძლოთ ამ ცეცხლოვან ბუხრებს დამშეული გლეხების ქირ-ვარამის გაფანტვა.

თენდებოდა დილა ტყვიასავით ბნელი და მოლუშული და ეს დილა ახალი უბედურების მომტანი ხდებოდა.

სკდებოდა ყუმბარები მთებზე, სკდებოდა სოფლებში, ხან კიდევ დაეცემოდა ბელლებზე, ჩაუნგრევდა ზურგს და სტოვებდა ასე ხერხემალ გადამტყდარს.

ტყვიების ზუზუნი სწვავდა ჭაერს და სმენას, ბოლმის უმატებდა გლეხებს.

— როდის და, ან რითი გათავდება ეს ბრძოლები!.. გულისწყრომით გაიძახოდა ყველა ვისაც კი გზაში შემოასწრებდა ზარბზნისა და თოფების ხმა. თვითონთ კი მაინც არ სცხრებოდენ, ხარებს სახრუს მოუქნევდენ და გადასძახებდენ:

— წა, ტიალებო, გათენებამ შემოგვისწრო. და მიჰქონდათ რა ზმელებისთვის ასე ურმებით ღამ-ღამობით სანოვაგე, ხან ერთ სოფლიდან, ხან მეორე, მორიგეობით.

მოხუცი გიგა, განუყრელი ჯოხით, ტკბილად შებერებულ ჩიბუხით ხელში, ხან ერთ რაზმში გაჩნდებოდა, ხან მეორეში, ეშველებოდა რითაც შეეძლო.

ფიქრობდა კი გულში:

— რადგან გაკიანურდა, წავაგებთ ბრძოლას, რას დაგვინდობენ, იარაღიც ბევრი აქვთ და ხალხიც.

იკრიბებოდენ მოხუცები და ქალები სანახკოებში, ლაყობოდენ თავიანთ ბედ-იღბალზე და უცემდათ გული მძიმეთ, ზარბაზნის ყოველ გავარდნაზე, თოჯის ყოველ ზუილზე.

*) იხ. „პრ. მწერლობა“ №№ 9—11. 12.

— ჩემი შვილი, ჩემი ქმარი;—წამოიძახებდა თვითიული მათ-
განი და დაფხრეწილი, გაქონილი კაბის კალთით იმეინდენ ჩამოკვე-
ნილ კრემლებს.

იქ კი მორჩაძესთან, კენკაძესთან, ბარნაბასთან რაზმელის ხელ-
ბივით კრეკდენ კბილებს, მგლებივით აალმასებდენ თვალებს და თუ
ერთხელ მათი ჩახმახი დაეცემოდა, დაეცემოდა მსხვერპლიც.

აი მოვიდა სოფელში ამბავი, რომ სასტიკად დაამარცხეს მტრე-
ბი, დააყრევინეს იარაღი, წაართვეს ერთი ზარბაზანი, რომლისთვი-
საც დამარცხებულებს საკეტი მოეხსნათ და ამოეტანათ გორ-მაღა-
ლაზე. გამხიარულდა ცაგერი, გამხიარულდა გლეხობა, სიხარული
მოეფინა სოფლებს, ეძლეოდენ გამარჯვების სიტკბოებას.

მაგრამ, ერთ სისხამ დილას, როდესაც სინათლე არც კი ჩალ-
ჭრილიყო, მთებსა და მთებს შორის, გრძელ, უღეველ ზოლად გამო-
ვმართა ლეჩხუმისაკენ სვანების რაზმი.

ისინი შემოვიდნენ ლეჩხუმში, მოედნენ სოფლებს და ნებეირობ-
ბდენ.

ერთნი ამბობდენ:

— დადემქელიანი მოგვიკალით, ვინმე უნდა მოკედეს სანაცვლოდ.
მეორენი:

— შარშანწინ ლაილაშელები ჩვენს მეველეებს დაესხენ, ერ-
თი ხარი მოსტაცეს და ძალლი მოუკლეს;—და რეკდენ სანაცვლოდ
ბუჭებდაზეპილ ძროხებს, მბლავანა ხბოებს.

ვილაც კი გაიძახოდა რომ:

— პაპაჩემს ახალკალელმა ცხენი მოუკლა და ქვეითად გამოის-
ტუმრა. შემირცხვინა ვაჟკაცი. და აძალებდა ქალს ცხენი გამოეყვა-
ნა, უნაგირი მოედვა ზურგზე.

თარეშობდენ სამი დღე, სძარცვავდენ. აგროვებდენ ნადავლს
უპატრონო სოფლებში.

მივიდა ეს ამბავი მორჩაძესთან. ეწყინა უდროული თავდასხმა,
ეწყინა სვანების მოლაღატეობა.

— ბარნაბ, გაიგე. რა ჩაიძინეს სვანებმა?..

— მაშ. დაუქნია თავი ბარნაბამ.

— მერე უნ გგონია, რომ ეს სვანებმა ჩაიძინეს?..

— როგორც გვიამბობენ, ისინი არიან სწორედ.

— მე კი ვფიქრობ, რომ მესტიის ხელისუფალთა მოწყობილია.
აჯანყების ჩაქრობას ხელი უნდა შეუწყონ, თუ არა გჯერა სულ მა-
ლე დაგარწმუნებ. ჩაფიქრდა მცირე ხანს. მერე უთხრა. გამომიყავი
ოცდაათი კაცი პასუხის ვასაცემად წავალ.

და რამდენიმე ათეული წუთის შემდეგ მიემართებოდა მორჩა-
ძე (კაგერისაკენ. ფიქრობდა გზაში, თუ როგორ უნდა ემოქმედებოდა,
რომ დაეყრევიანებინა ნადავლი, იარაღი და ისე გაესტუმრა თავიანთ
კუთხისაკენ.

ორბელში მიუსწრო მორჩაძემ სვანებს. შორი-ახლო დასაბნელებულ
რაზმი და მიუგზავნა კაცი რომ დაეტოვებინათ ნაძარცვი და წასული
ლიყვნენ თავიანთის, მაგრამ უარი შემოთვალეს.

ალყა შემოარტყა. გაუჩინა ცეცხლი ირგვლივ. დილიდან სალა-
მომდე იბრძოდენ თავგამოდებით, მაგრამ ბინდისას იარაღი დაყარეს,
ზურგი უჩვენეს სვანებმა მორჩაძეს.

სიხარული დატრიალდა სოფლებში. წამოიშალნენ ქალები, ბავ-
შები, მოხუცები. ყველა ორბელისაკენ გაეშურა, რომ უკან დაებრუ-
ნებინათ დაკარგული ავლა დიდება.

და ეს დედაკაცები, და ეს ბავშვები მისცვიედენ თავიანთ ძრო-
ხებს, ხბოებს, ცხენებს, ეხვეოდენ, ჰკოცნიდენ, უაღერსებდენ. სიყვა-
რულითა და ალტაცებით შესცქერდენ მორჩაძეს და ამ საერთო მო-
ულოდნელი ბედნიერების ხმებში იშლებოდა ძროხების და ხბოების
ბლავილი, ცხენების ჭიხინი, შემოქმეული მათრახების შოლტვა და
ყველაფერი ეს, ბლავილიც, ჭიხინიც, ტირილიც ეხმარებოდა ალ-
ტაცებას, სიხარულის ბგერებს გამოხატავდა.

ეს გახარებული ხალხი ამბობდა:

— მე მოჭრილი მკლავი დამიბრუნეს; — თანაც მიჰყავდა უღელი
ხარი.

— დაბნელებული თვალები ამეხილა; — გადაჰხვეოდა ეს ძუძუებ-
სავესე მეწველ ძროხას.

— სიკოცხლის სიყვარული დამიბრუნდა; — ეს იყო მოხუცი გი-
ვა. მარცხენა ხელი ჩაეჭიდა აღვირში და ბაჯბაჯით წინ უძღვოდა
ყელმოღერებულ პატარა ცხენს, — ბარნაბს არ გავატანე, ტყვიამ არ
გადაუსხნას მეთქი შუბლი და აქ ცოცხლად მელუბებოდა — ფიქრობ-
და გივა და სიხარულისგან მუხლები ეკეცებოდა.

სხვებიც, სხვებიც ასეთ განცდებში იყვნენ. ყველამ დაიბრუნა
დანაკარგი, ყველას მიჰყავდა სახლისაკენ მძიმე შრომით, ტანჯვით
შეძენილი ნაოფლარი.

და მორჩაძე კი დასცქეროდა ამ სიხარულს. ხედავდა სიხარულს
მორჩაძე და ევსებოდა გული სიყვარულითა და სიბრალულით ამ ხა-
ლხისადმი.

— რათ უნდა იტანჯებოდენ ასე. რათ უნდა ჰკარგავდენ თვა-
ლის სინათლეს ცალ-უღელა ხარის დაკარგვით. რათ ეჭრებათ მარჯ-

ვენა ერთი ძროხის უქონლობით. რათ არის ასე პატარა რამ მათი იმედი, რათ?!. ფიქრობდა და სტანჯავდა იგივე ფიქრი. ფიქრები გააყოლა მიმავალ გლეხობას და ჩაიძირა მისაქმნელში. რეულ მანძილში.

ამავე დროს რამდენიმე მხედარი გამოჩნდა ხიღბე. მკლავებ ჩამოხეული პერანგი დაეკიდათ უხარმაზარი ტოტის წვერზე და ფრთხილად, ნაბიჯით მოემართებოდნენ.

— სევანები მოვიდნენ, ამხანაგო მორჩაძე, მოლაპარაკება სწადიათ. უთხრა ერთმა რაზმელმა და რადგანაც მორჩაძე ჯერ კიდევ ვერ გამოაკვეთულიყო მწველ ფიქრებისაგან, ამავე რაზმელმა ფრთხილად ხელი შეახო.

— ხოო, რა გინდა?!

— აგერ, ას ნაბიჯზე სევანები დგანან. თეთრი პერანგი აღუმართიათ, რაღაცას ნდომულობენ.

— მოვიდნენ . .

გამომართა ხუთი სვანი მორჩაძისაკენ. სამშვიდობოთ იგრძნეს თავი და თეთრი, ჩაყვითლებული პერანგის ბარალი დაუშვეს დაბლა, მოიხადეს ქუდები, თავი მოკრძალებით დახარეს მორჩაძის წინ და დაიწყეს.

— შეგვაცდინეს, თქვენი ჭირიმეთ. სწავლულებმა გვითხრეს, ლეჩხუმმა მთავრობას უღალატა, დავსაჯოთ, ღიოსნი არიანო. თქვენთვისაც რამდენი უღალატიათ, თქვენი კაცი მოუკლავთ, თქვენი ქალი მოუტაციათ, თქვენი ხარი წაუყვანიათო.

ვერ მოასწრო ამან აზრის დაძთავრება. მეორე წამოესწრო ლაპარაკში.

— ხოო და გენაცვალებით, თქვენი ძმები არა ვართ, არ გვინდამო, წავალთ ჩვენთვის მთაში. გაგვიშვით.

— მერე. წასვლა როდის დაგიშალეთ, წადით. განცვიფრებით უპასუხა მორჩაძემ.

— მართალს ამბობ შენა, მაგრამა, ვაჟაკი როგორ წავალ უიარალოთა, თოფები წაგვართვით, როგორ გამოვინდეთ ტოლ-ამხანაგში, საცოლეებში, დიაცებთან.

— იარაღი დაგიბრუნოთ?!. წაილაპარაკა მორჩაძემ.

— დიახ, შენი ჭირიმეთ. სოფელში რომ ავალთ სწავლულებს ვეტყვით რომ ლალატისნი თვითანთ არიან, ჩვენ კი ძმები.

გამომცდელი თვალით გადაჰხედა მორჩაძემ ყველას. დააცქერდა სახეებში — სურდა სიმართლის ნატამალი მაინც დაენახა, რომ დარწმუნებულიყო წამოჭრილ აზრებში.

— მოუტყუებიათ ესენიც. ციხე შიგნიდან უნდათ გატყუონ. ლეჩხუმიდან გაქცეულნი მოაწყობდენ ამ თავდასხმას, რომ ჩვენნი ძალა შეესუსტებინათ. გაიფიქრა მან და არც სტყუედებოდა.

— თქვენში ვინ არის უფროსი?..

— მე ვახლავარ. წამოიწია წინ ტანდიდი, გაშლილ-გაქცეულნი სახის ვაქვაცი, დიდრონი ბნელი თვალებით. ორივე ხელი დამუშტული ეწყო ბარძაყებზე და მძიმედ სუნთქავდა.

— რა გქვია შენ?..

— ბარძიმ. უპასუხა მან.

— გვარი?

— გარდაფხაძე.

რაღაც უნდა ეთქვა მორჩაძეს, მაგრამ მეორედ მოესმა გვარი გარდაფხაძე და შეჩერდა.

— თავადი ხარ?.. შეეკითხა რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ.

— თავადი. შეიშმუნა ცხენზე მჯდომი. აკობტავდა ეს ტანდიდი კაცი და მარჯვენა ხელის რამდენიმე თითი უხანჯლო ქამარში ჩასდო.

გაელიმა მორჩაძეს.

— შენ რაღა გვარის ხარ?.. მიმართა მეორეს.

— აღმას ონიანი.

— იცი, შენ უფრო გენდობი ვიდრე მავას. სწავლულებს ავირამ უთქვიათ. აი, გაიხედე.— მორჩაძემ მიუთითა მიმავალ ქალებსა და ბავშვებზე, რომელთაც დაბრუნებული ქონება მიჰქონდათ.— იმ გლეხებს ხედავ?..

— ვხედავ, როგორ არა, ხარ-კამეჩები რომ მიყავთ.

— ისინი შენი ძმები არიან, ერთი ტანჯვით აზრდილები. ნადავლი რომ მიგქონდათ, მაგათ გამოსტაცეთ.

უთხრა ეს მორჩაძემ და გაჩუმდა. გასცქეროდა სვანი გლეხი ამ სურათს და გაურკვეველ ფიქრებში იძირებოდა. მერე კი თავი ჩაღუნა და ასე თავ-ჩაღუნული შემოტრიალდა მორჩაძისაკენ.

— მთელი სვანები ფიცს მოგცემთ, რომ არასოდეს არ წამოვალთ თქვენთან ომისთვის, ეხლა მოგვეცით იარაღი. ეკლესიაში დავიფიცებთ.

რა არის მორჩაძისთვის ეკლესია. რად ღირს მისი დაფიცება, რაც არ არსებობს, მაგრამ რაზე დაყრდნობოდა იარაღი რომ მიეცა, არ უნდოდა გამწვავება მდგომარეობის. დღეს სამუდამოთ სურდა შეერიგებინა ხალხი, რომელსაც სხვები შხამავდენ, სწავლულები შხამავდენ.

მორჩაძე ტანში გასწორდა. გარკვეული აზრი დაეძინა გონებაში და გადასძახა სევანებს:

— კარგით. ორბელის ეკლესიაში მოიყვანეთ ყველა. ფიქვი დასდეთ რომ ჩვენზე აღარ წამოხვალთ და დაგინათნენთ იარაღს. აღმასი აქ დარჩეს, სხვებმა კი შეატყობინეთ ეს ამბავი დანარჩენებს.

და ოთხმა მხედარმა, ოთხმა სიხარულით ალტაცებულმა მხედარმა ცხენი შეატრიალა, გაქუსლეს თანამომხმეებთან.

— აღმას, ყველაზე უფრო შენ გენდობი. ძმური სიტყვა მომეცი, რომ თავდასხმას არ გაიმეორებთ. მე არა მწამს ეკლესიაში დაფიცება. ვაჟკაცის ხალასი სიტყვა მირჩევნია, ათასი ანგელოსის გალობას.

უკვირდა აღმასს მორჩაძის ლაპარაკი. „რა უცნაური კაცია, რა კარგი კაცია, შენთან ძმობას დამაფიცებდეთ, არა მინდა მეტი სოფლად“. ფიქრობდა გულში აღმასი და არ იცოდა რითი დაემტკიცებინა თავისი სიტყვის სიმართლე. ყელში მოაწვა უთბილესი გრძნობა ნამდვილი მეგობრის და ძლივს წარმოსთქვა ერთი სიტყვა.

— ძმავე!.. ნერწყვი გაუშრა ყელში. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მერე კი რალაც მოისაზრა. ხელი ხანჯალზე გადივლო და თეთრი აღმასა პირი გამოაჩინა.

— ამ ბასრს გეფიცები, ძმად გიგულეებ, შენ და შენ ძმადებს.

მორჩაძე მიუახლოვდა მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მერე იცი შენ ჩემი ძმადები ვინ არიან?..

— ვისაც შენთვის კეთილი ესურვების.

— არა, აღმას, აი ჩემი ძმადები, ხედავ ამ ხალხს, თოფები რომ უჭირაეთ ხელში, ეგენი გუთნეულზე გაიზარდენ. ჩემი ძმადები ყველგან არიან თქვენ სოფელშიც მთელს ქვეყანაზე, ვინც შრომაში იტანჯება და მაინც მშიერია. გესმის?..

ლუნავდა თავს აღმასი. ნიკაპი მკერდს მიაბჯინა, ხანჯალი ჩაავო ქარქაშში და დააშტერდა ერთ უცვლელ წერტილს. დღეს მას ბუნდოვანებით დაეტვირთა გონება. შავი კედელი გაუფერმკრთალდა თვალწინ, რომლის იქითაც რალაც ქვეყანა მოსჩანდა,—მისთვის უცნობი ქვეყანა.

— აჰა, ეს თოფი ჩემ სახსოვრად გქონდეს. გეხსომები მეც და შენი ფიციც.

გაუწოდა ოსმალური კარაბინა, რომელზედაც მორჩაძის გვარი და სახელი იყო ამოკრილი. ჩასკიდა ათრთოლებული ხელი ლამაზ იარაღს. არ იცოდა რითი გადაეხედა მადლობა. უხერხულად იდგა და თვალელებში შესტკეროდა მისთვის უცნაურ ადამიანს.

ამავე დროს გამოჩნდნენ სვანებიც, რომელნიც ეკლესიასკენ მიემართებოდნენ. ათი კაცი გაგზავნა მათთან მორჩაძემ და ყველას ფიცი ჩაჰოართვა.

მცირე ხნის შემდეგ კი მორჩაძის წინ გადადიოდნენ, ისინი ერთ-ერთ ოროლად და საკუთარი ხელით ურიგებდა მათ უმცნობელებს. აისხეს იარაღი გამხიარულდნენ და სიმღერითა და ყოჩინით გაემართნენ სამშობლო მთებისაკენ.

გუგუხუნებდა მათი სპილენძისებური ხმები ერთ მთლიან დაძახილად:

ოგუა-შედა, ოგუა-შედა...

დი დე-ბააა დიი დეე-ბიის

ოგუა-შეე-დაააა-ოოოო.

და თანდათან სწყდებოდა, თანდათან ნელდებოდა ეს:

ოგუა-შედა, ოგუა-შედა...

ნელდებოდა იმ მთებსა და იმ მწვერვალებს შორის, სადაც იშლებოდა ბინდის პირველი ფრთა და იღრუბლებოდა ცა ახალი ქუხილის, ახალი ქარიშხალის მოლოდინში.

IX

ახვლედიანისათვის იმაზე უფრო სასიხარულო არაფერი არ მომხდარა მთელ მის სიცოცხლეში, რაც დღეს. მან ბავშობა გაატარა სკოლის პარტაზე ისე, რომ არც ერთ საგანში ერთი კარგი ნიშანი არ მიუღია, სწავლობდა ვაი-ვაგლახით და ყოველთვის გადაჰყავდათ შემდეგ კლასში, იმიტომ რომ მისი მამა ღვდელი იყო და არ შეიძლებოდა პატივი არ ეცათ მისი თეთრი წვერებისათვის. მოკვდა ის და მოკვდა მისი შვილის წინსვლაც. ჩამოსცილდა სკოლას, დარჩა ფოფოდიობით გაბერილი დედის ამარა და თავს ინახავდა როგორმე, ძველი დიდების ინგარიშში. შემდეგ კი, როდესაც ახვლედიანი წამოიხარდა უსაქმურად ყოფნა აღარ შეიძლებოდა. დიდხანს უგზო-უკვლოდ იბოგიალა, აკეთებდა რაც კი შეეძლო და ბოლოს, როგორც იყო მილიციონერობა მიიღო.

გამჭირაბი კაცი იყო ახვლედიანი. სახელსა და დიდებას არ უცქერდა შორიდან. ის მას გრძნობდა საკუთარ მუქაში. აჯანყების პირველ დღეებში ეს მილიციონერი გამოიქცა ცაგერიდან და როგორც მთავრობის ერთგული კაცი ისე მიეკვდლა. მიიღო პატარა ეპოლეტები თითო ვარსკვლავით. აწარმოვა პირველი ბრძოლა და შუბლში ქვა მოხვდა—დამარცხდა.

დღეს კი სიხარულმა რომ აიტანა, ეს იმიტომ რომ ახალი წარჩინება მიიღო. გენერალ სულაქველიძის მარჯვენა ხელი უწოდეს; როგორც ლეჩხუმის გზა-კვალის მცოდნეს, აჯანყება უნდა ჩაეჭრო.

გადასწყვიტა რამდენიმე დღე უბრძოლველად გაეჩარებინა და შემდეგ ერთი და იმავე დროს მიიტანა იერიში რაზმელებზე. მისი ზანაკი ყოველ დღე იესებოდა ჯარით, ზარბაზნებით თოფ-იარაღით.

დილა არც კი გათენებულყო, რომ ახვლედიანი ერთ-ერთ შალოზზე იღვა და ბინოკლით იცქირებოდა, თვალუბანდ ჩამოწყებული ქუდი ჰფარავდა მის შუბლს და მოსჩანდა მხოლოდ სახის ქვედა ნაწილი. მის წინ კი მარცხნივ და მარჯვნივ იღვა ზარბაზნები, მაღლა ამართული ტუჩებით და ცეცხლისა და ტყვიის ღვარის გადმოთხვევის მოლოდინში.

თვალი გადაავლო ცის კიდურს, იქ სადაც უნდა დაბადებულიყო მზე და სადაც ეხლა ლილისფერ ბურუსში თრთოდა სისხამი სინათლე ჯერ კიდევ სუსტი რიერაჟისა.

ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა. თითქოს მოიმარაგა ძალ-ღონე სიძლიერით, ენერგიით და სახე მაღლა ასწია. გამოჩნდა თვალეები, გამოჩნდა ღია ბაგეები და ერთმანეთზე მჭიდროთ დაწყობილი კბილები.

— სმენნაა!.. გასკრა ჰაერი ახვლედიანმა.

ახმაურდა რკინები, ფოლადები, ამრიალდა ტანსაცმელი ამ ყრულამეში და ადამიანის თბილი ხორცი ამოდრავდა ცივი ფოლადის და თუჯის დინგებზე.

კიდევ ერთი განკარგულებაც და იფეთქა ერთმა ქვემეხმა, მერე მეორემ, მესამემ და კვამლის ღრუბლები წამოშალეს ირგვლივ — დრო გამოშვებით ალად ვარდებოდა გადმომსკდარი ყუმბარა და ელვასავით ავლებდა ხაზს ბნელს, დანისლულ სივრცეში.

გასკდა ყუმბარა გორმაღალას ზედაპირზე. ამოთხარა უზარმაზარი ხერელი და ნაფშხვენი მიწა, ნაგლეჯი ღრე სტუორცნა ჰაერში.

დაეცა ყუმბარა ხვამლის მთას, მიმოანგრია დახვდენილი ადგილები.

მცემოდა სეტყვასავით ყუმბარები ასხის მთას, ჯვარდამწვარს, და ერთი და იმავე დროის განმავლობაში დაჰვარა ზარმა და გრი-ალმა საბრძოლო ადგილები.

იღვა ახვლედიანი და ფიქრობდა: „თოფს არც კი მოვიხმარ, ქვემეხებით გავდენი ყველას“.

იქ კი სადაც რაზმელები იყვნენ ერთ წამში ამოქმედდა ყველა ჩასათრდენ კლდეებში, მოიმარჯვეს თოფები და თითო ოროლა გასროლით იგერიებდნ მტერს.

რამდენიმე კაცი შემოხვეოდა ერთადერთ საკე^რ—ზანზარს,
ზარბაზანს და წვალებით ისროლენ მას, სდებდენ შიგ ყუმბარას,
ჰკეტავდენ თავიანთ მიერვე გაკეთებული ფოლადის საკეტით და
უზარმაზარ უროს არტყავდენ გასასროლად.

დატრიალდა გმინვა და სიკვდილი. გამფედა ცეცხლი და ნა-
ღერდალი, მაგრამ მაინც სიმტკიცეს არა კარგავდენ, არ იხევდენ
უკან. გორმალაღას მიტოვება, სამზღვარას გადმოლახვა იყო.

როგორც ფოლადის ადამიანი, დაუჩლუნგევი ნებით და ძალით
ისე გრძობდა თავს მორჩაძე. ბარნაბა ყოველი ათეული წუთის შემ-
დეგ გადახვედავდა ხოლმე მორჩაძეს, რომ ენახა მეთათურის განწყო-
ბილება და გამოერკვია თუ რა დაემართებოდათ.

— ჯერ ბრძოლა არ დაწყებულა, ტყვია დაზოგეთ. გადასძა-
ხებდა მორჩაძე ჩასაფრებულ რკინებს და ერთი ადგილიდან, მეო-
რესკენ გარბოდა, ამხნეებდა თავის გამოჩენათ.

რაზმელებმა შესწყვიტეს სროლა. ზარბაზნების წინააღმდეგ ვე-
რაფერს გახდებოდენ. დაელოდენ გადამწყვეტ შეტაკებას, მტრის
შოახლოვების დროს.

ყუმბარები კი ისევე სკდებოდა,—ზანზარი გაჰქონდა მთებს.
შეინძრა გულგამსკდარი ლამე და სინათლე დაღვარა მკერდიდან.

დღეს მზეც გამოჩნდა, შემოდგომის ფერმკრთალი, უსიცოცხლო
მზე. ამოცოცდა ცაზე ძლივს და ჩაწვა ღრუბლებში ავადმყოფივით.
განთიადი მაინც მოიტანა მან.

მინელდა სროლა, გადახედა მორჩაძემ მტრის ბანაკს. აივსო
ბოღმით, ჯავრით. უძლევი ძალა დაგროვილიყო ძირს.

— რას იტყვით, ამხანაგო მორჩაძე, ვმარცხდებით?.. შეეკითხა
ერთ-ერთი რაზმელი და კლდის საფარიდან ოდნავ გამოყო თავი.

— ჯერ ხომ არც კი გვიბრძოლია, რა შევატყოთ, უპასუხა
მორჩაძემ და ხელის ჩაქნევით ანიშნა გაჩუმებულებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევე ასტყდა გრიალი და ისევე
დასეტყვა ეს მთები ტყვიამ და ფოლადმა.

ამავე დროს სამზღვარაზე გამოჩნდა გრძელი ცხენოსანთა
ზოლი, რომელიც გადარბენას ლამობდა.

— ნიშანში ბიჭებო, არც ერთი არ გადმოუშვათ სამზღვარას
აქეთ. წამოიძახა მორჩაძემ და გაგორდა უშველებელი ლოდიანის
გვერდით, მერე თოფი მოიმარჯვა და დასცა ჩახმახი. გადაავლო
ცხენიდან პირველი გადამრბენი. მიჰკენენ მეორენიც და სულ მალე
გადარბენას მოსურნე ცხენოსნები უკან გატრიალდენ.

გაანხნევა ამ წარმატებამ ყოველი მებრძოლი, მკლავში ძალია მიემატათ, და გულში გაბედულება. რომ შიში და მწუხრება არ შეჰპაროდათ მორჩაძემ ქუდი გვერდზე დაიხურა, ხელითა და სხიარულად შემოსძახა.

ბიზნიუსი

დე-ლი დე-ლა, დელი დელა

დელი ვო-დელი ვო-დე-ლა...

... დანარჩენებმაც მისცეს ბანი და მხიარული გუგუნე შეერია ტყვიების ზუზუნს.

— ჭახ... ჭახ... გავარდებოდა ხოლმე თითო-ოროლად გორმალლიდან და მოჰყვებოდა ხოლმე სიტყვებიც:

— აჰა, გადავავდე.

— გავაწვინე.

ასევე იყო კენჭქაძის რაზმში. ხვამლის მთასაც ეწვიებოდა ტყვია და ფოლადი, მაგრამ უკან დახევას არავინ არა ფიქრობდა.

ბრძოლაში და გრიალში იწურებოდა დღე საღამოსაკენ, იწურებოდა დღე მწუხრისაკენ.

როცა დაბნელდა აღარ ისმოდა არც ხმაური, არც ადამიანთა ხმა. მისწყდა ყოველი და თითქოს თვით სიბნელეც ძილს მიეცა.

მაგრამ ამავე დროს ნაჭერალას მთას სარტყელივით ეხვეოდა ტყვიბულიდან მომავალი ჯარი. გადმოლახეს წვერო, შემოვიდნენ რაჭაში და ჭრებალოში შემოდგეს რკინის ქუსლი.

ზარბაზნები, ტყვიამფრქვევლები, ქვეითი მეომრები, გადაქიმულნი მთელი კილომეტრის მანძილზე მოიწვედნენ წინ ხმაჩაკმენდილი, უსიტყვოდ და უხალისოდ, რითქოს მოასვენებდნენ კუბოსავით შავბნელ ღამეში ჩასვენებულ საკუთარ სიცოცხლეს.

ახალ რიერაჟზე შემოანათეს ზარბაზნის ტუჩებით და ცეცხლი დაანთეს ყუმბარებით, ამოვიდნენ ლაილაშს მოექცენ ზურგში რაზმელტებს და მიიტინეს იერიში ყოველის მხრიდან.

სანზღვარზე გააძლიერეს იერიში. ხვამლს ჰაეროვლანებიდან სცემდნენ ყუმბარებს, შეიჭრენ ცეცხლითა და მახვილით მუჭად ქცეულ მეომრებში და გაიმართა ხელ ჩართული ბრძოლა.

მეჭვენა, ალპანა, ვანი გაეხვია ცხელი ტყვიების აღმურში და ჩაიკეტა სოფლები ქობებში, განაბა სული სიცოცხლემ.

გორმალალზე რალა გვინდა; მტერი პირისპირ გვიდგა; — ფიქრობდა მორჩაძე და გაჰყო რაზმი ორ ნაწილად. მიაშველა ვანელებს.

ესაფრენ კლდეებში რაზმელები და იბრძოდნენ თავგამეტებით, მაგრამ რას გახდებოდნენ უტყვიოთ და უიარალოთ. გამოვლიათ სასროლი ვაზნები, გამოვლიათ ტყვია-წამალი. მტერი კი მოიწვედა წინ და შიგ თვალეებში ახარებდა შავი სიკვდილის ზეიმს.

ახელედნიანი მოაბიჯებდა ცხენით. ის ხვალამოდებული მოკვე-
ბოდა ჯარისკაცებს და სჩებდა უიარალოთ, უკანდახეულთ.

უკან რაზმელები ცარიელი უხიშტო თოფებით და გაუმართეს
უკანასკნელი შებრძოლება.

მობედა ერთი ტყვია ბარნაბას. დასტრა მარჯვენა მკლავში
მობედა მეორე, დაუძღლურა თეხი და დაეცა მიწაზე, მიწისათვის
მებრძოლი.

უკან დაიხია მორჩაძემ. მისი თოფი კიდევ მუშაობს. ის მუდამ
ზოგავდა ტყვიას და ეხლაც უბრალოდ არ სწევას.

გააყოლა ბარნაბამ თვალი უკან დახეულ მორჩაძეს, რომელსაც
ასამდე რაზმელი მიჰყვებოდა თან და აევსო მწუხარებით გული.

— დავრჩი მარტო?!— გაიტარა გულში და გონებაში ბარნაბამ.—
მაშ გათავდა?!..

სახეში სისხლმოწოლილი მიმოიხედა ირგვლივ, დაცემულთა
ველზე. თარეშობდენ გამარჯვებულნი. გადუქრეს გზა მორჩაძეს და
შემოჟარეს ზურგიდან. ახელედნიანი კი აელვარებდა ხმალს და დაქ-
რილებს, დაცემულებს, უიარალოთ, ვინც კი სიცოცხლის სიყვარუ-
ლით ნებდებოდა ართმევდა თვალის სინათლეს, უხშობდა სუნთქვას.

— ჩემთანაც ვალე მოვა. მეც მომხედება ეს ხმალი. გაიფიქრა
ბარნაბამ და სისხლიდან დაწურულმა წამოიწია, დააქტერდა მოსისხ-
ლე მტერს.

მისი თოფი, სისხლში ამოსვრილი ედო გვერდით. დაჰხედა
წულნიანი თვალებით. „ერთხელ კიდევ გამიწიე სამსახური“, შეევედ-
რა თითქოს და მისუსტებული მარცხენა ხელი შემოაქლო კონდახს.
შემოტრიალდა, პირქვე დაწვა და მოიმარჯვა ერთგული იარაღი.

— ვიდრე ჩემთან მოხვიდოდე საჩუქარი მიიღე ჩემგან. იქნებ
მოგკვდე, ვილამ გადაგიხადოს; ფიქრობდა ბარნაბა და გასცქეროდა
თავის კორიდან ნიშნამდე. ნიშანზე დასვა ახელედნიანი, გაუსწორა
თვალი მის მკერდს და დასცა ჩახმახი.

დასცა ახელედნიანიც. ამ გამარჯვებით დასატკობ მუთებში,
რას იფიქრებდა ის თუ ტყვია ვადურბენდა შუბლიდან თავისქალის
გარეთ.

ამოიოხრა ბარნაბამ მძიმედ და მოსვენებულად. აიცილა თავი-
დან განსაცდელი, მცირე ხნის შემდეგ თავს ბრუ დაესხა, დაუბნელ-
და ისედაც ამღვრეული თვალები და როგორც რბილ სასთუმალზე
ისე მიზღო ლოყა სისხლმოწყურებულ მიწაზე.

ის კიდევ გრძნობდა გარემოს. ყველაფერი თითქოს მის გულსა-
და გონებაში ხდებოდა.

თითქოს მის პატარა ტვინში გადარბოდა ცხენოსანთა რიგში ამოწვდილი ხმლებით, ზარბაზნების გასროლაც თითქოს მისი ტვინიდან ხდებოდა და სკდებოდა მის გულში. იტყვიან, რომ ეს ყველაფერი ქაოსით წარმოდგენის სივრცე და თანდათან მისი გულში დაპირზე ეშვებოდა ბნელი, შავი ფარდები, რომელიც აქარწყლებდა ყოველ სურათს, ყოველ განცდას, ყოველ ხმას.

მორჩაძე კი უკან იხევდა. შეუერთდა გზაში კენჭაძის და ხეცურიანის რაზმები და დაანთეს კიდევ პატარა ბრძოლა, მაგრამ ყველაფერი ამოა იყო. რაზმელებშიც ჩაიღვარა სიცოცხლის სიყვარულის გრძნობა და ნელი-ნელ აკლდებოდნენ, მირბოდნენ სოფლები-საკენ, საკუთარ ქოხებისაკენ.

ცაგერში შეუერთდა სვანიძე. მძევლებით და რამდენიმე ათეული რაზმელით გაიხიზნენ მთებში დალილინი, დამარცხებულნი.

თან წაიღეს სიძულვილი და ბოღმა, რომელიც როდისმე მაინც უნდა გადმოენთხიათ.

— მოსვენებას არ მივცემ. აქედან ვაწარმოებ ბრძოლას ვიდრე არ მომკლავენ. — გაიძახოდა მორჩაძე და სახეამღვრეული შესცქეროდა თანამგზავრებს.

სვანიძე კავკავისკენ გადასვლას ფიქრობდა, რომ შეერთებოდა წითელ ამხანაგებს და თავზე დამტყდარი უბედურება იქ გაექარწყლებინა.

კენჭაძე კი სდუმდა. მიდიოდა, მაგრამ მუხლები არ მიზღვედა. კლდისა და მთის ქვები უუძღურებდა ფეხებს. ჩერდებოდა ხშირ-ხშირად შეტრიალდებოდა ლეჩხუმისაკენ, გადაჰხედავდა ჩაჩუმებულ სოფელს და იღუმალი ფიქრით ევსებოდა გონება.

მიდიოდნენ მთებისკენ და თვითველ მათგანს სხვადასხვა აზრი უღრღნიდა გულს. სდუმდნენ ყველანი, ისმოდა მხოლოდ მათ ფეხქვეშ აჩხრიალებული ლორღი, დაგორებული ქვების ხმა და გამხმარი ბუჩქების ტოტების ლაწანი.

X.

სროლისა და ტყვიების ზუზუნის შემდეგ, ჩაეძინა სოფლებს შიშში და თრთოლვაში. ჩამქრალიყო ქრატებიც კი და მთელი ეს გარემო ემზგავსებოდა უზარმაზარ, შავბნელ ბალდახინს, რომელშიაც განთიადისკენ მიასვენებდნენ უსინათლო ლამეს.

ამ სიბნელეშიც არ ეძინათ ქოხებში. ყველა ელოდა რომ გაიღებოდა კარი და შემოაბიჯებდა ნაბრძოლები შვილი, ძმა ან მამა და ამ მოლოდინში ეგებებოდნენ რიერაეს.

შუა ღამისას ერთხელ კიდევ გამოვიდა მოხუცი გვეა ქობინი
გადაჰხედა მალლობიდან ბნელად გადაწვენილ მიდამოს, შეტკრა
სუნთქვა და ყური დაუგდო რომ გაეგონა რაიმე ხმა, მოძრაობა,
მაგრამ ნიავის დროგამოშვებითი გადაქროლების მეტე არაფერი
ისმოდა.

„აღარ მოვა“—გაიტარა გულში და თვალწინ წარმოიდგინა
ბარნაბა, რომელსაც ასე შეჰხაროდა მისი მოხუცი გული.

შეტრიალდა, ბაჯბაჯით შევიდა ოთახში, თავჩალუნული მივი-
და ბუხართან, ჩამოჯდა სამფეხაზე და აცქერდებოდა ცეცხლის ნაკ-
ვერჩხლებს, რომლებიც ისე გამალებით იწვოდა და იფერფლებოდა.

უცქეროდა მოხუც მამას დოდო, აგონდებოდა მასაც თავისი
ძმა და სიბრალულით ევსებოდა გული. უასკეცდებოდა ეს მწუხარე-
ბა, როცა ხედავდა მოხუცი მამის-უსიტყვო ტანჯვას.

— ბარნაბა მოვა, მამაჩემო, ნუ გეშინია; — დაარღვია დოდომ
უხერხული მოწყენილობა და მიუახლოვდა, მარცხენა მხარზე გადა-
ჰხვია ხელი, ცალი მუხლით ჩაიჩოქა.

გივამ დაკოეილი ხელებით ბუხრიდან პატარა ნაკვერჩხალი აი-
ლო და ჩიბუხის ტუჩზე დაზღო. ისე მოინოქმედა ეს თითქოს ამით
პასუხი გასცაო.

დიდხანს ასე ისხდნ და ყურს უგდებდნ ბუხრის უაზრო ბუ-
ლუნს.

რაზემელები კი მიემართებოდნ მთების სიღრმეში და თან მი-
ჰქონდათ დამარცხების განცდები, რაც მათ გულებსა ღრღნიდა და
სტანჯავდა.

ყველაფერი თვალწინ წარმოიდგინა გივამ. წარმოიდგინა ისიც
თუ რა უბედურება დაატყდებოდა თავს გლებობას აჯანყების გამო.

უცბად ფიქრებში გარიულ დოდოს, რაღაც ხმაური შემოესმა,
თითქოს ადამიანის ხმას წააგავდა ყურთან გარბენილი ბგერა და
შემკრთალი სახით სმენად გადაიქცა.

— აქ მოდის ვილაც;— წამოიძახა დოდომ და ფეხზე წამოხტა,
მაგრამ ვიდრე კართან მიირბენდა უკვე კაქურიც გაისმა.

— ვინა ხარ;— მიამახეს თითქმის ერთი და იმავე დროს მა-
მა-შვილმა და მოუთმენლად დაელოდნ პასუხს.

— კენჭაძე ვარ, ამხანაგებით, ღამე გავგათენებინე, ბაბუა გი-
ვა, თუ არ გეშინია რაზემელების შენახვისა.

ოოგორ შეეშინდება გივას, რაც არ უნდა უყონ მას. როგორ
გასწირავს სოფლისთვის მეტრძოლთ. იმ წუთშივე წამოდგა, გაულო-
კარი და მიეგება ღამის სტუმრებს.

გამოჩნდა კენჭაძე, მის ზურგში კიდევ რამოდენიმე კენჭი რომელთაც იქვე ხეებზე ცხენები მიებათ და გაციებულ ხელებს იშმუშნიდენ.

— მობრძანდით — შესთხოვა გიგამ.

შემოვიდენ. გადააჭედეს სტუმრებმა პატარა კერს, ბუხარს და სითბო რომ იგრძნეს სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარათ სხეულში.

ხელის ჩამოფრთხველად მიესალმენ დოღოს. ისიც განცვიფრებული უცქერდა ამ ადამიანებს და უყვირდა, თუ რათ იყო განსხვავება ჩაცმულობაში კენჭაძესა და მის თანამგზავრებს შორის. მათ არც იარაღი ესხათ, არც ტყვია-წამალი. ქათმებივით მობუზულიყვნენ, თითქოს ლაპარაკიც კი არ შეეძლოთ.

ეუცხოვა გიგასაც ეს ხალხი, მაგრამ კარგად იცნობდა კენჭაძეს. რაზმის უფროსი იყო, ვერ გაბედა ეჭვის შეტანა.

— განთიადისას გავალთ აქედან. მთებში უნდა გავიხიზნოთ. მორჩაძე, სვანიძე და ხეცურიანი ჩემზე ადრე გავიდენ, მე უკანასკნელი ბრძოლით ვიფარავდი მათ და ეხლა მეც წამოვედი; — იცრუა კენჭაძემ და მოწმეებად მოიყვანა თანამგზავრები.

— ბარნაბასი ხომ არაფერი იცი? მცირე სიჩუმის შემდეგ შეეკითხა გიგა და გადააჭედა ყველას, ეშინოდა რომელიმე მათგანს არ ეთქვა ცუდი ამბავი.

ხოც მათთან წავიდა. ყველანი ერთად არიან. ტყუილით და კენჭაძემ.

ძან საყოთარი თვალით დაინახა, როგორ იბრძოდა ბარნაბა როგორ დაეცა ღონე-მიხდილი, დასისხლიანებული.

მოუსხდენ ბუხარს და უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ამ ხალხს ერთმანეთის არა ესმოდათ რა. კედელთან მიყრდნობილი დოდო უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს და როდესაც მასაც ვაღ-ხოხედავდენ ღუნავდა თავს, არიდებდა თვალს.

გული აუძგერდა კენჭაძეს ახალგაზრდა ქალიშვილის დანახვაზე. რამდენი ხანია ადამიანურად არ ამოუსუნთქია, არც თბილი კრძობა უფლერებია და არც ტკბილი ალერსი. სულ მთებსა, კლდეებსა და რკინებს შორის იყო. ამაღამ კი, თითქოს კვლავ დაუბრუნდა რბილი გრძობები, გულჩვილობა, თითქოს მის ძარღვებში სხვა-ნაირი სისხლი აჩქრიალდა, სხვა სურვილებმა დაიბუდეს მასში. გადააჭედა მასპინძელ ქალს და რამდენიმე წამით დაიჭირა მისი მზე-რა. უცქერდა წარბშეუხრელად, დაჟინებით.



ქართველნი
ბიზლიჩითჳს

ცეცხლის ნაბიჯებს გადაწვწვარ მთისას,
სადაც ლალუმი კლდეებსაც ხეთქავს,
და ინდუსტრია ნაპრალებს ნისლავს.
აქ ახალ სახლში მცხოვრები მუშა
სამყაროს ამბებს რადიოთ ისმენს;
თუ ჩამოწვება ნაღველი გულში,—
ამ დაბრკოლებას არ ეტყვის ვისმეს.
მაგრამ მუშეობი, ახლადნაგები,
გაანადგურებს ნეპმანის სურვილს,
როს საბჭოების მხარეს ამაგრებს
მუშა და გლეხის კავშირი ძმური.
ვეალერსები ზევით ამართულს
არმიელების სისხლისფერ ალამს,
ტანკებს, ქვემეხებს—მიწის გადამთბრელს
მძლე და გიგანტურ სამხედრო ძალას.
ქალაქი, ზეცა გადაბურული,
რომ ისევ მხედრულ სურვილებს მფენდეს,
სიდუხჭირისგან განადგურებულს
ვუმღერ მუშათა მდაბიო ფენებს.
ვინც მაგარ კუნთით მთა-გორებს ხეთქავს,
რომ ის გაეხადო სიმღერის ღირსი,—
შევუერთდები ქალაქს გულმფეთქავს,
ჩვენგან ანაგებს ოფლით და სისხლით!

ბენიბო ბუაჩიძე

პროლეტარული მწერლობის ამოცანები *)

ამხანაგებო! პროლეტარული მწერლობის მორიგი ამოცანების გარკვევისათვის აუცილებელია არსებული მდგომარეობის ნათელი წარმოდგენა. ამჟამად ჩვენი პლენუმის მუშაობის უმთავრესი მიზანია გაითვალისწინოს პროლეტარული მწერლობის მოძრაობის უარყოფითი მხარეები, ვინაიდან ამ საშუალებით ჩვენ შევძლებთ არსებული სისუსტის დაძლევას და პროლეტარული მწერლობის მხატვრული დონის გაუმჯობესებას და შეუჭრებელ წინსვლას. ჩვენი პლენუმის მთა-

*) პრ. მწ. ასოციაციის გამგეობის 19 8 წლის ნოემბრის პლენუმზე გაკეთებული მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიშის ნაწილი.



ვარი საკითხი ეს უნდა იქნეს, და მეც შევეცადები ჩემი მოხსენება ამ ხაზით წაეპართო. წინასწარ საჭიროა აღვნიშნო, რომ პროლეტარული მწერლობის ხვედრითი წონა (როგორც ჩემთვისაც ისე ქართულის) ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში უკვე მასზედ გაიზარდა. პროლეტარული მწერლობის ზრდა დაკავშირებულია როგორც შემოქმედებით ნაყოფიერებასთან, ისე მისი მხატვრული ღირებულების დონის აწევასთან. რუსული პროლეტარული მწერლობის ზრდა უმთავრესად მხატვრული პროზის გაძლიერებით მოხდა. უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოვიდა მთელი რიგი ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებისა, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი დიკავეს მხატვრული პროზის სფეროში. ამ მოვლენის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მაგალითების დასახელება შეიძლება: შოლოხოვის «Тихий Дон» და პანფეროვის «Бруски». ახალი და უცნობი მწერლების გამოსვლა მოწმობს, რომ პროლეტარული მწერლობა თანდათან სრული ოსტატობით იფლობს ლიტერატურის რთულ ხერხებს და უკვე იწყებს თანამედროვე ეპოქის მხატვრულ ასახვას, ამ ეპოქის როგორც იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების, ისე უშუალო სოციალისტური აღმშენებლობის პროცესის მოცემას. მხატვრული პროზის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული პროლეტარული მწერლობისათვის. ჩვენში წარსულში ლექსი ყოველთვის სკარბობდა მხატვრულ პროზას. პროლეტარული მწერლობის არსებობა ლექსით დაიწყო; მაშინ იბეჭდებოდა პროზის სახით მინიატიურები, ნოველები, რომელთაც პროლეტარულ მწერლობასთან საერთო ბევრი არაფერი ჰქონიათ. სიმბოლისტურ მინიატიურას და ნოველას, მუშის ფიგურითა და ჩაქუჩ-ნამგლითაც რომ იყოს დამშვენებული, პროლეტარულ მხატვრულ პროზას ვერ ვუწოდებთ. უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. მხატვრული პროზის განვითარება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. მწერლობაში გამოდის ახალგაზრდა ძალების მთელი რიგი. პროლეტარული პოეტების ნაწილი ცდილობს მხატვრულ პროზაზე გადასვლას, რის სათანადო ნიმუშებს უკვე იძლევიან, მაგალითად, პოლუმორდვინოვი, რომელმაც თავის მუშაობით დაგვიმტკიცა, რომ სათანადო ოსტატობით ფლობს მხატვრული პროზის ხერხებს, ე. ლორთქიფანიძე, პ. სამსონიძე, ნ. ზომლეთელი, ე. კალაძე და სხვანი. პროლეტარულმა მწერლებმა საცესებით შეიგნეს, რომ თანამედროვე მრავალმხრივი ეპოქის ასახვა შესაძლებელია მხატვრული პროზით, და პროლეტარული მწერლობის გაძლიერებაც მის ზრდაზეა დამოკიდებული. ლექსი უძლიერესი საშუალებაა ადამიანის ემოციების ვადმოსაცემად, ის კლასობრივი

ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია, მაგრამ ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, ახალი ყოფა-ცხოვრების დადგენების ჩვენება, ზედმეტ ადამიანთა უბადრუკობის გამომეღვინება ფარულ რეალისტურ ტილოებს თხოულობს.

ცხადია, ჩვენს მწერლობაში მხატვრული პროზის ზოგადი დენციას ჯერ კიდევ ვერ მივიჩნევთ სრულყოფილად. ძირითადად დადებით ხასიათთან მას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს, მხატვრული სისუსტე და სქემატიურობა. ავიღოთ პოლუმორდინოვის „ორი მზე“. აქ ავტორს სურს დაგვიხატოს აღმშენებლობა, ყოფა-ცხოვრების ფონზე მოგვეს მუშა. მიუხედავად იმისა, რომ თემა ასეთი აქტუალურია, სუსტად არის ნაჩვენები მუშა წარმოების პროცესში. ვერ გრძნობთ ცოცხალ ადამიანს. ამასთან ერთად, ზოგიერთი ამხანაგი ვარდება მეორე უკიდურესობაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი გატაცებული არიან ზედმეტი ადამიანის ჩვენებით; ეს თვისება ახასიათებს თანამედროვე არაპროლეტარულ მწერლებს, რომელთაც არ ძალუძთ მოგვეცნ დღევანდელი ახალი ცხოვრების აღმშენებელი ადამიანი. ეს თვისება ნაწილობრივ ჩვენ პროლეტარულ მწერლებზეც ვრცელდება. მაგალითისთვის ავიღოთ კ. ლორთქიფანიძის რომანი „ხავის“. აქაც უმთავრესი ზედმეტი ადამიანების ცხოვრების და მოღვაწეობის გამოაშკარავებაა. პროლეტარულ მწერლობასაც უძნელდება ახალი ადამიანის ათვისება, ამიტომ მიიმართება ისიც ზედმეტი ადამიანის ჩვენების გზით.

რა არის პროლეტარული მწერლისათვის საჭირო, რომ მან შესძლოს ორგანიული ყოველმხრივობით ათვისოს თანამედროვეობა? მხატვრული პროზის დარგში უმთავრესად მუშაობენ, გარდა ამხანაგ ზომიერებისა, ახალგაზრდები. ამის გამო მათ ვერ შესძლეს ჯერ-ჯერობით ცხოვრების ფართო ტილოების მოცემა, იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი ამ ცხოვრებას არ იცნობენ, სათანადო გამოცდილება არა აქვთ.

პროლეტარული პოეზია უკეთეს მდგომარეობაშია, ის უფრო ძლიერი და მრავალმხრივია. თემატიური შემოფარგულებობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ ხანებში (პოეზია მხოლოდ ბრძოლისა და შრომის შესახებ), დღეს უკვე დააღწია თავი პროლეტარულმა პოეზიამ, და პროლეტარული პოეტები უკვე ცდილობენ დაამუშაონ ახალი მასალა, მისაწვდომი გახადონ ის ახალი მკითხველისათვის. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს პროლეტარული პოეზია კონკრეტული ლირიკით გვიჩვენებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად ჩვენს მიზანს შეადგენს უარყოფითი მხარეების გამომეღვ-

ნება. თვალსაჩინო შემოქმედებით ზრდასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ მწერლების მთელ რიგს ემჩნევა საგრძნობი ჩამორჩენილობა, ზოგიერთი პროლეტარული პოეტი ჯერ კიდევ არ გასცეფლებულა პლუკატს, რევოლუციის ზოგად გადამღერებას, სარგველურობის, სისწაულების დაუსრულებელ დიფირამბებს. ეს უკვე შტამპადაა ქცეული. პროლეტარული მწერალი, რომელსაც მდიდარი წარსული აქვს, დიდი დამსახურება აქვს, დღეს უკვე არ შეიძლება გამართლებულ იქნეს საკუთარი თავის განმეორებით.

შემოთქმულის მაგალითად ავიღოთ სანდრო ეულის ლექსი „საოქტომბრო“, ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავის აღსანიშნავად დაწერილი:

„ვიცინით ისე,
ისე,
ისე,
რომ ეს სიცილი
მტერსაც კი,
მტერსაც გააცინებს
და მოგვრის
ლიმილს.
მაგრამ სიცილი
მტრის იქნება
შხამივით მწარე,
რომ აქ ნარევი
ბოლშა, ტანჯვა
და ცრემლი
ცხარე...
ისევე
და ისევე
მას ვუმღერებთ,
ვუმღერებთ იმას,
რაც გვიმღერია,
ჩვენგან
ათასჯერ გადანამღერებს,
სიმღერას ბრძოლის,
ლტოლვის,
ლხენის,
შრომის სიმღერას“. და სხვა
(„საოქტომბრო“).


„ისევ, ისევ და ისევ“ არ კმარა, ამხანაგო პოეტო, იმიტომ რომ იმეორებთ მას, რაც გიწერიათ შვიდი წლის წინად. ახლა უკვე აღარ კმარა, რომ გვაუწყოთ, ისევ და ისევ რომ იცინით. იცინოდით. საჭირო არის გავგაგებინოთ, როგორ იცინით ნებით, ან მტერი რათ იცინის? დღეს ჩვენ ვთხოვლობთ დაგვანახოთ ის, რაც მოგვცა ახალმა ცხოვრებამ. საჭიროა იმღეროთ არა ისე, როგორც გიმღერიათ,—სიტყვების ეს ერთიდაიგივე თამაში არაფერს არ გვეუბნება! საჭიროა იმღეროთ ისე, როგორც არასდროს არ გიმღერიათ, იმღეროთ უჩვეულო ახალი ცხოვრების შესახებ.

ჩამორჩენილობა სწორედ მასში მდგომარეობს, რომ პოეტების მთელი რიგი მოექცა გარკვეულ და გაყინულ ჩარჩოებში; გამოძევა ვებულა სტანდარტული ფორმა სარეოლოგიური პროლეტარული ლექსებისა, რომელიც ამა თუ იმ პოეტს მზად აქვს ამა თუ იმ დღესასწაულისათვის. ამ დებულების საილიუსტრაციოდ უკანასკნელ ხანებში სომხეთში ყოფნის დროს გადამითარგმნეს სომხეთის ცნობილი პროლეტარული პოეტის აზატ ვშტუნის ჩვეულებრივი ლექსის ფორმა. ყოველი მისი ლექსი დაახლოვებით შემდეგნაირად იწყება:

„Ей сеньор!
Остановись,
И иду—
Масса—пролетар“.

პოეტს ჯერ კიდევ არ შეუგრძნია, რომ საჭიროა მასის, პროლეტარიატის ცნებისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემა. ამაში მდგომარეობს ჩვენი შემოქმედებითი ახალი გზები ი. (ვაკელი: სანდრო ეულს ხომ აქვს უკეთესი ლექსი?) ამხანაგო იონა, საჭიროა ყველა დაწერილი ლექსი უკეთესი იქნეს. ჩვენ გვჯერა, რომ ეულს აქვს უკეთესი ლექსები, მაგრამ არც ერთი ლექსის განმეორება არ არის საჭირო. ეულს აქვს სათანადო მიღწევები, მაგრამ ჯერ კიდევ ძველი პერიოდის გავლენის ქვეშ არის და ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. დაახლოებით იმავე მდგომარეობაში იმყოფება ზომლეთელიც, ისიც ვერ გასცილება ძველი პერიოდის ჩარჩოებს. მართალია, ეს პოეტები ძველ თაობას ეკუთვნის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანაშაული და უკულტურობა იქნება, რომ ესა თუ ის პოეტი არ ცდილობდეს წინ წაწევას,—ყოველი ახალი ლექსის უკეთესად და განუმეორებლად დაწერას.

ავიღოთ შემდეგი უარყოფითი მხარე: ფორმალური სისუსტე, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ პროლეტარული მწერლობის მხატვრული დონე ჯერ კიდევ სათანადო სიმალეზე არ დგას, ეს



გულისხმობს იმას, რომ ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ლიტერატურული ფორმების გავლენა. ხშირია კლასიკოსების სტილიზაცია. როდესაც ახალი ხერხების შექმნის საჭიროებაზე ვლაპარაკობთ, გულისხმობს, რომ პროლეტარული მწერლობა დასაწყისშივე შექმნის სრულებით დამოუკიდებელ ფორმას, როგორც ამას ფუტურისტები მოითხოვენ.

ჩვენ შორსა ვართ ამგვარი გულუბრყვილობისაგან, მაგრამ რომ პროლეტარულმა მწერლობამ შექმნას საკუთარი ახალი ფორმა, შესძლოს კლასიკური მეკვდრეობიდან ყველაფერი მისაღებისა და ჯანსაღის გამოყვება, — საჭიროა გამახვილებულ იქნას კლასური ალღო და გემოვნება. ამასთან დაკავშირებულია საკუთარი სტილის შექმნის საკითხი. ამასწინათ ანტილერიგიური კამპანიის დროს, ერთ-ერთ ამხანაგს, — იმედაძეს — მოყავდა ციტატები პროლეტარული მწერლების ნაწარმოებიდან — რელიგიური ტერმინოლოგიის ხმარების ნიმუშად; ცხადია, სხვა მწერლების მზგაეხად, პროლეტარული მწერლისთვის რელიგია მსოფლმხედველობა, რწმენა არ არის. არც ერთი პროლეტარული მწერალი არ არის მორწმუნე, წარმოუდგენელია, რომ რომელიმე მათგანს ღმერთი სწამდეს, მაგრამ ხშირად ზოგიერთი მათგანი ხმარობს რელიგიურ სიტყვებს, გამოთქმებს, რაც ფორმალურ სისუსტეს და მხატვრული ალღოს განუვითარებლობას უნდა მიეწეროს.

მეტად მტკივნეული საკითხია პროლეტარულ მწერლობაში სხვა დასხვა გადახრა. უკანასკნელ ხანებში ეს გადახრები შესუსტდა, ნაკლებად მელაენდება ანტიპროლეტარული განწყობილება, მაგრამ გადახრები საბოლოოდ მაინც არ არის აღმოუხვრილი. მათ შორის მთავარია ნაციონალიზმი და პესიმიზმი. ჩვენ აღარ მიუთითებთ კონკრეტულ შემოქმედების ფაქტებზე, რომელიც შედარებით წარსულ პერიოდს ეკუთვნის. ამ ბოლო ხანებში ეს განწყობილება შესუსტდა, მაგრამ საშიშროება მაინც კიდევ არის, აქა-იქ მელაენდება ერთგვარი დეკლასიური სულისკვეთება. ჩვენი ლოზუნგი „კლასიკოსებისაგან ვისწავლოთ“ — ხშირად მახინჯდება. პროლეტარულ მწერალს, რომელიც კლასიკოსისაგან სწავლობს, საკუთარი შემოქმედებითი მუშაობის დროს გადმოაქვს მისი განწყობილება, იდეოლოგია, ეს კი დეკლასური ტენდენციაა, ეს არის კლასიკოსებისაგან სწავლის დამახინჯებული ფორმა და საჭიროა მას სასტიკი ბრძოლა გაეწიოს. ამ მოვლენის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ერთი ჩვენი მნიშვნელოვანი პოეტის ამხ. ი. ვაკელის — ლექსი ტფილისის შესახებ. წავიკით-

ხოთ ეს ლექსი, შემდეგ ავიღოთ ერთი ჩვენი კლასიკოსის ნაწარმოებები და ვნახოთ, რა ისწავლა და როგორ ისწავლა ამ კლასიკოსიდან პროლეტარულმა პოეტმა:

ეროვნული
ნიგელიზმი

„მტკიანი კი აქაც ისე ღრიალებს...“

ვინც უნდა იყოს, სულ ერთი არის
ამ ჩემ პატარა მშრომელი მზარის,
როცა გაივლის ამ ადგილს მგზავრად
იყოს თუნდ იგი აღესილი ჯავრით—
ან გულგაქრილი ხმებით მჭობარე,
თუნდაც კაენის ცეცხლით მწუხარე,
როგორ იქნება, არ აღფრთოვანდეს,
გულსაც, რომ სისხლის ღვართქაფი ჰხანდეს,
ერთხელ ზომ მაინც უნდა სთქვა რამე,
თავისი გულის წადილისამებრ?!
როგორ იქნება არ გაუხარდეს,
წამს დაპყრის მღვრიე წარსულზე დარდებს,
გულს გაამხნევეს, სულს დაიმშვიდებს,
ერთხელაც ნატყრით გაჰხედავს მინდვრებს
და ნამდივლ მტკიცე მშობელის მზავრად—
იგი მომავალს მიუშვებს მკვლავაც.“

ეხლა წავიკითხოთ ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“ სათანადო ადგილი:

„...ო, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შეენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბურჯ ბში არა ჩამოხტეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ გ.ნისვენოს?
სმაჯერ ზომ მაინც გადაკრავს ღვინოს.
ცხენს მიაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს ამქვანებულ მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს.“

წავიკითხეთ ანხანავი ვაკელი, წავიკითხეთ ბარათაშვილი და ეხლა შეგვიძლია ანალოგია გავატაროთ ამ ორ ნაწარმოებს შორის. გავერკვეთ. თუ რა ისწავლა პროლეტარულმა მწერალმა, ვაკელმა კლასიკოსი ბარათაშვილისაგან. პირველი: გადმოტანილია ფორმა, მაგრამ მთავარი უბედურება და საშიშროება ისაა, რომ ამ ფორმას მწერალმა თან მოაყოლა აზრი და განწყობილებაც. ბარათაშვილი ამბობს: როგორ შეიძლება ქართველმა არაგვის პირას ჩაიაროს და მის ნაპირთა მშვენიებით მოჯადოებული არ ჩამოხტეს და გული არ განი-

გრილოსო. ესლა მშენიერი ნაპირების გასწვრივ ზაჰესის აგებული; თანამედროვე პროლეტარულმა პოეტმა ცბეერი არ დააყოვნა და ამავე ადგილას „ჩენი პატარა მხარის“ ყველა მოქალაქე, „ვენკუნდა იყოს“ ის, გააჩერა და ააფრთოვანა ზაჰესის სილამაზით, კაიდან ვინც არ უნდა იყოს“, რა ხასიათის არის ასეთი მთლიანობა? საქართველოში მრავალგვარი სოციალური ფენაა. ჩენი აღმშენებლობის დანახვაზე სპეკულიანტი, ბურჟუა არ აღფრთოვანდება.—ასეთი ნაციონალური ერთიანობა ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს. დონბასის მანებელთა უმრავლესობა და დონბასის აღმშენებელი მუშები ერთსადიამავე ეროვნებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ამ გარემოებამ არ შეუშალა ხელი მათ, რომ განეზრახათ სოციალისტური წარმოების გულისცემის შეწყვეტა. ჩვენს „ვინც არ უნდა იყოს“-ში ბევრი ისეთები არიან, რომელთაც ჩენი აღმშენებლობის დანახვაზე ზიზღი და აღშფოთება დაიფლობთ. ეს უნდა ესმოდეს პროლეტარულ მწერალს. როდესაც ვაკელის ბარათაშვილის პოემის რიტმთან, წყობასთან, ლექსიკონთან ერთად ვადმოაქვს მისი განწყობილება და იდეოლოგია,— ეს დიდი და დაუშვებელი შეცდომაა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღენიშნოთ შემდეგი: დაუკვირდეთ კ. ლორთქიფანიძის უქანასკელ ლექსს. მოგხსენებათ რომ კ. ლორთქიფანიძის ლირიკა ჯანსაღი და კლასიურად დაწმენდილია. ამ ბოლო დროს პოეტი სწერს ლექსს: „მადლობელი ვარ იორო“. ვთქვათ, პროლეტარულ პოეტს სრული უფლება აქვს დაწეროს ლექსი ბუნების შესახებ, აღფრთოვანდეს მისი მშენიერებით, მაგრამ ის ჩუქურთმა კი, რომელსაც უკეთებს კ. ლორთქიფანიძე ამ ლექსს, მეტის მეტად დამახასიათებელია:

„და ის მთელი დღე ისე გათავდა,
რომ სულ მჯეროდა,—ფეხი ველებს;
აგერ ერთ ნაბიჯს კიდევ წავდგამ და
ბედნიერებას წავატან ხელებს“

პროლეტარული პოეტი წავიდა სოფლად. იქ აღმოაჩინა თავისი გლეხური ძირები და ისე აღფრთოვანდა, რომ წარმოიდგინა, ერთი ნაბიჯი კიდევ რომ გადაედგა, ბედნიერებას წავატან ხელსო. საიდან გაჩნდა ეს დეკლასური, „ობიექტური“ განწყობილება? ეს ხომ მომდუნებელი თვითკმაყოფილებაა. ასეთი უსაზღვრო აღტაცება კარგის მაუწყებელი არ არის. ნაადრევად გვარგვინებს ნუ დაიდგამთ თავზე, ბედნიერება ჯერ კიდევ შორს არის, მრავალი და მწვავე ბრძოლაა გადასახდელი, ძლიერი დაბრკოლებებია გადასალახავი, ყოველი საათი ენერგიულ შრომას და თავგანწირვას თხოულობს.

ასეთ მომდუნებელ კმაყოფილებას ნიადავი არა აქვს. ამავე ლექსის გვერდით ლორთქიფანიძე ფრიად მახვილ ლექსს სწერს: გარკვეული კლასიური ხაზით:

„თქვენ იცით?
ყველას შესახებ ვწერ,
მაგრამ არასდროს
ყველასთვის ერთი
სტრიქონიც არ დამიწერია!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამის გვერდით ბედნიერების ხელის წატანებაზე ლაპარაკი ყოველად გამოუსადეგარი და მანენ რამ არის.

ეხლა გავარკვიოთ ის საკითხი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს პროლეტარული მწერლობის თითოეულ მანენ გადახრასთან. ჩვენს მწერლობას ახასიათებს ცხოვრებიდან ჩამოცილების ტენდენცია. ეს არ შეეხება ძველ და მუშა მწერლებს; ეს უმთავრესად ახალგაზრდებს ახასიათებს, რომელთაც დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი აქვთ. რამდენიმე ხნის წინათ მომიხდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცენტრებში — ბაქოში და ერევანში — ყოფნა. ბაქოში არ არსებობს არცერთი ქუჩა, სადაც არ იგოდნო საწარმოო ქალაქის ტემპი და პროლეტარიატი. ამიტომ იქ არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორიც ერევანში და ტფილისში. ერევანში არის ერთი მთავარი ქუჩა, სადაც ყოველ წუთს შეხვდებით მწერლებს; ასეთია ტფილისში რუსთაელის პროსპექტი. ეს არის — ის ერთგვარი წრე, რომელშიც ტრიალებს მწერლობა. ამ ტერიტორიალურ შემოზღუდულობას მეტად საშიშარი ხასიათი აქვს. მთავარი: ძლიერდება „ლიტერატურშინი“, შემოქმედებითი მასალის უქრლობა თვალსაჩინო ხდება; ამას გარდა, პროლეტარული მწერლისთვის დამატებითი საშიშროებანიც აქვს ლიტერატურული წრით შემოფარგვლას; ჩვენი მწერლები ექცევიან უცხო ლიტერატურული წრის გავლენის ქვეშ — „ცისფერ ყანწელთა“, ნადრევი აკადემიკოსები და სხვათა გავლენის ყლორტები უკვე აქა-იქ იჩენენ თავს. ამას სჭირდება აღნიშვნა და შეგნება, რომ ეს მდგომარეობა მავნებელია; პროლეტარული მწერალი უნდა მოსცილდეს მთავარ ქუჩებს, გადავიდეს წარმოებაში, ქარხნებში, სოფლად კოლ-მეურნეობებში. პროსპექტით, ხელოვნების სასახლით და კაბინეტით მწერალი შემოქმედებითს მასალას ვერ მიიღებს, ის დასცილდება ცხოვრებას, იძულებული იქნება გადაიხდეს როს საკუთარი თავი. უნიადავო და უსარგებლო მეოცნებედ იქცევა. სწავლის საკითხი უმნიშვნელოვანესია პროლეტარულ მწერლობისათვის, ზოგიერთს კი ჯერ სავესებით არა აქვს შეგნებული

ამის აუცილებლობა. ცოდნის შეძენის საკითხში ცალმხრივობა შეტად მავნებელია, სპეციფიურ ლიტერატურულ ცოდნასთან ერთად საჭიროა ღრმა პოლიტიკური განვითარება. ხშირად რუსულ ენაზე ახალგაზრდა მწერალი ვერ აფასებს პოლიტიკური ცოდნის უმნიშვნელო ბელ საჭიროებას, მას არ ესმის, რომ საჭიროა იცოდეს ისიც კი, რასაც ვითომც უშუალო კავშირი არა აქვს ლიტერატურასთან. ხშირად მწერალი სავსებით ეყრდნობა თავის უნარიანობას, რწმუნდება თავის განსაკუთრებულ ნიქსა და ზებუნებრივ შესაძლებლობაში. ამით დაიმედებული, ის სავსებით კმაყოფილდება. უნარი მხატვრულ მწერლობაში მუშაობისა მწერალს ხელს ალბინებს დამატებით ცოდნის შეძენაზე. ასეთი ზალხის შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ ლომონოსოვი ამბობდი: „Бедное свое рифмачество выше всякого человеческого знания ставят“.

ეს სიტყვები სავსებით გამოსადეგია ჩვენი პროლეტარული მწერლობისათვის; საჭიროა მწერალმა იცოდეს ყველაფერი, რაც მის გარშემოა. შეისწავლოს მარქსიზმი, რევოლუციონური მოძრაობის ისტორია და სხვა.

ახალგაზრდა მწერლები იწყებენ პროზის დარგში მუშაობას და სწორედ აქ მკლავდება აწმყოსა და რევოლუციონური მოძრაობის ისტორიის უცოდინარობა. მწერალი დასწერს ერთ ორ ნაწარმოებს და შემდეგ უკვე მასალა აღარ აქვს. პოლუმორდენოვმა დაწერა რამოდენიმე მოთხრობა და შემდეგ გადავიდა აულაბრელი კინტოების, ყარაჩოღელების ამბის გადმოცემაზე, ეს იმიტომ ხდება რომ მწერალი მათ უფრო იცნობს.—აუცილებელია ჩვენი მწერლობა იცნობდეს როგორც თანამედროვე ცხოვრებას, ისე რევოლუციონურ წარსულს. ხომ არ შეიძლება დავიჯეროთ მისტიკოს მწერალთა მოგონილი სიზმარი, ვითომ რევოლუცია საქართველოში ფოსტით მოვიდა. მებრძოლი კლასის მწერლებმა ხომ კარვად იციან, რომ რევოლუცია სისხლით მზადდებოდა. 1905 წელი ეს უდიდესი მზადება იყო ოქტომბრის დიდი რევოლუციისათვის.

არის შესწავლილი თუ არა ჩვენი პროლეტარული მწერლობის მიერ 1905 წ. რევოლუციის პერიოდი? არ არის შესწავლილი და ამიტომ მასზე არც არაფერი დაწერილა.

* * *

შემდეგი საკითხი ჩვენი მუშაობის ძირითადი ამოცანაა. დღეს უკვე აუცილებელია ჩვენი მუშაობა გადაკეთებულ იქნეს ახალ საწყისებზე. ეს არის მუშაობის ცენტრის გიდატანა შემოქმედებით სა-

კითხვებზე. ჩვენ ორგანიზაციულად გამაგრებული და ჩამოყალიბებული ვართ. ეხლა საჭიროა შევექმნათ ამ ორგანიზაციის სათანადო შინა-არსი, შემოქმედებითი ამოცანების ფართოდ გაშლის გზით. ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყოველგვარ ტრაფარეტს, შტაჰსს, უნდა გათავ-თოვდეს პროლეტარული მწერლობის თემატიკური სექციები. უნდა არის პროლეტარულმა მწერალმა დიდი ენერგია შეიტანოს თავის თარი ფორმის, სტილის გამომუშავებას. პროლეტარული მწერლო-ბის დღევანდელი კურსი რეალიზმისკენ უნდა იქნეს აღებული. ეს არის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის პრაქტიკული გზა, საშუალება ჩვენი აღმშენებლობის გად-მოცემისა და მომავლის პერსპექტიული ათვისების. დღეს უკვე აუცი-ლებელია პროლეტარული მწერლობის აქტივმა იმუშაოს თეორიის, მეთოდოლოგიის საკითხზე, რომ ამ სფეროშიც საბოლოოდ გამოვა-ცალოდ ნიადაგი ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თეორიებს. შემოქმედე-ბითი საკითხების უშუალოდ დამუშავებაზე გადასვლასთან დაკავში-რებით აუცილებელია ჩვენი ორგანიზაციის შიგნით ფართოდ დისკუ-სიების გამართვა. აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხში სასურველია და სასარგებლოც.

როგორია ჩვენი თვითკრიტიკა და კრიტიკა?

სამი-ოთხი წელიწადია, რაც ჩვენ გვაქვს წამოყენებული თვით-კრიტიკის ღონისძიება, მაგრამ პრაქტიკულად ცოტა რამ არის გაკეთე-ბული. არის სუსტი წამოწყობანი, მაგრამ ჩვენს მწერლებში მეტის-მეტად მაინც განწყობილებაა გამომჟღავნებული. სახელდობრ: თვით-კრიტიკის მოუთმენლობა. მწერლები თვითკრიტიკას უყურებენ რო-გორც დამცირებას. ეს კომპოზიციის ერთერთი სახეა უნდა ვაღიაროთ ჩვენი თვითკრიტიკის სისუსტე და მივიღოთ ენერგიული ზო-მები მის სათანადო დონეზე დასაყენებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ-მარქსისტულ კრიტიკას, დღევანდელი არაპროლეტარული კრიტიკა ფრიად უბადრუკი რამ არის და აკმაყოფილებს მხოლოდ ობიექტულ-მეშინობას. მარქსისტული კრიტიკა ჯერ-ჯერობით სუს-ტია. ის არ წარმოადგენს ისეთ ბასრ იარაღს, რომელიც მიუთითი-თებდეს, ასწორებდეს, ასწავლიდეს და საპერსპექტივო ნიადაგს აძ-ლევდეს მწერლობას. ჩვენს კრიტიკაში გამომჟღავნებულია სხვადასხვა მახინჯი სახე, გადახრა. საჭიროა მათი გარკვევა და ბრძოლა მათი აღმოფხვრისათვის. პირველი: ეს არის დაბნეული ესთეტიზმი, რო-მელიც ახლოს დგას იდეალისტურ კრიტიკასთან. ასეთი კრიტიკის გამომატველ მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას ამხ. დუდუ-ჩავა, რომელიც ხშირად, მხოლოდ ფორმალური მხრით გატაცებუ-

ლი, არაპროლეტარულ ნაწარმოებს პროლეტარულად გვისახავს. გავი-
ხსენოთ მისი აღფრთოვანება ა. მაშაშვილის „ტკბილ“ ლექსით „და-
რიალით.“ ამხ. დუდუჩავამ როგორც შინაარსით, ისე, ფორმით მერ-
შანურ ლექსში აღმოაჩინა პროლეტარული მწერლობის წიქრევა.
ამდაგვარივეა მისი შეფასება სანდრო ეულის ერთ-ერთი ლექსისა.
მოვიყვანოთ მრავალმეტყველი ამონაწერები წინასიტყვაობიდან, რო-
მელიც გაუკეთა ამხ. დუდუჩავამ ს. ეულის წიგნს:

„ახალი ხანა მის (ე. ი. ს. ეულის, ბ. ბ.) შემოქმედებაში იწყე-
ბა ლექსით „ცეცხლში და მზეში.“ არ იქნება გადამეტება თუ ვიტ-
ყვით, რომ ეს ლექსი შექმნის თავისებურ შემოქმედებით ეპოქას სა-
ქართველოს პროლეტარულ პოეზიაში. მუსიკალური ბგერების მეო-
ხებით სანდრო ეულმა თვალუწვდენელ სიმალლეზე აიყვანა ლექსის
ესთეტიური ღირებულება:

შეშლილთა შიში პოეზიის ცეცხლში შიშინებს: გაშისვლებულა
შიშის გამო ჩემგან შეშლილი, შენ, უშიშარო, თავო ჩემო, რა შეგა-
შინებს, მიჭკრიხარ რაშით და გამშვენებს დროშა გაშლილი. აქ „შ“
ისეთ კონტექსტშია მოცემული, რომ ის ქმნის უეჭველათ ბგერის
ილიუზიას.

„ლექსი“ „ცეცხლში და მზეში“ შედევრია სანდრო ეულის შე-
მოქმედების. ამ ლექსით იხსნება წინამდებარე წიგნი, ამ ლექსით
უნდა გაიხსნას, ჩემის აზრით, მხატვრული ხანა პროლეტარულ პოე-
ზიაში“...

ეს „მარგალიტი“ აზრები გამოქმული „ესთეტ“ დუდუჩავას მიერ
მართლაც და შედევრია, მხოლოდ დაღმავალი ხაზით. პოეტის გულ-
უბრიყველობის გამოსწორების მაგიერ მზრუნველ კრიტიკოსს ის
„ესთეტიკის თვალუწვდენელ სიმალლეებზე“ აყავს.

მეორე: ეს არის ვულგარული, გამარტივებული კრიტიკა. ასე-
თი კრიტიკა მზად არის ყოველგვარი მოფიქრების და ანალიზის გა-
რეშე ესა თუ ის სტანდარტული „იარლიჩოვი“ მიაწეროს ამა თუ იმ
მწერალს და ასე ასეირნოს შემდეგ თავისი გზით. ამასთან დაკავში-
რებით ხაზი უნდა გავუსვათ ჯგუფურ კრიტიკას. ზოგიერთი კრიტი-
კოსი მწერალს აქებს, ხოტბას ასხამს ან და აგინებს, იმის მიხედვით
თუ რა განწყობილება აქვს ამ მწერალს მასთან. ეს ყოველად დაუშ-
ვებელი და მიუღებელია, ეს არის უშუალოდ გადმოღება ბურჟუაზი-
ულ და წვრილ-ბურჟუაზიული ლიტერატურის მახინჯი და მავნე ტრა-
დიციისა. ჩვენ ვიცით, რომ „ცისფერ-ყანწელები“ ერთიმეორეს „გე-
ნიოსობას“ ურიგებდენ. ასევე იქცეოდენ ფუტურისტებიც. ერთ კაცს
ვერ იპოვით მათ შორის, რომელიც კრიტიკულად უდგებოდეს თა-

ვისი ჯგუფის წევრს. ჩვენთვის ამ ფრიად მანე და უბადლოუკი ტოდ-
ლიციის გადმოტანა ყოვლად მიუღებელია. ჯგუფურადა მოადრენეს
და მოსპობს ჩვენი კრიტიკის სიმბავილეს. ამასთან დაკავშირებით
საჭიროა გავიხსენოთ კრიტიკის ბრძანებითი კილოს შესახებ. [11]

ამდაგვარი კილოთი ჩვენ ვერ შევსძლებთ თანამგზავრებს გა-
დამუშავებას. საჭიროა მეტი სიფრთხილე.

ეს ჩვენ რასაკვირველია არ უნდა გავიგოთ იმდაგვარად, თით-
ქოს კრიტიკის სფეროში ვინმეს რამეს დაეუთმოთ. არავითარ შემ-
თხვევაში იდეოლოგიის სფეროში არც ერთი ნაბიჯი არ უნდა და-
ვუთმოთ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. შეურიგებლობა ასი პროცენ-
ტით, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან,—აი რას მოვითხოვთ, მარქსი-
სტული კრიტიკისაგან.

ჩვენი ამოცანების შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უბდა დაიქი-
როს მკითხველთან მუშაობის საკითხმა. ამ მხრივ ცოტა რამ არის
გაკეთებული. არ ვიცით, რას თხოულობს მკითხველი, როგორი გე-
მოვნება, რა მოთხოვნილება აქვს მას, აუცილებელია კი, რომ პრო-
ლეტარულ მწერლობას გათვალისწინებული ჰყავდეს თავისი მკითხველი.
შემდეგ საკითხში ჩვენმა პლენუმმა ურადლება უნდა მიაქციოს ჩვენს
მუშაობას თანამგზავრთა შორის და საბჭოთა მწერლების ფედე-
რაციაში. აუცილებელია მიღებულ იქნას გარკვეული ზომები ფედე-
რაციის მუშაობის გასაცხოველებლად.

უკანასკნელი საკითხი არის—ხელოვნების სხვადასხვა დარგში
პროლეტარული მწერლების მუშაობა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ამო-
ცანა. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა შექმნას ნიადაგი, ხელოვ-
ნების სხვადასხვა დარგში პროლეტარული სექტორის ჩასახვისათვის
გააძლიეროს თავისი გავლენა, დააგროვოს შემოქმედებითი მასალა.
ჯერჯერობით ამ მხრივ ძალიან ცოტა გვაქვს გაკეთებული. თეატ-
რისათვის თითქმის არაფერი მიგვიცია. კინოში ჩვენი მუშაობა არა-
ფრით არ ჩანს. მომავალში ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა
გამოსწორდეს. ყოველგვარი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ხე-
ლოვნების სხვადასხვა დარგებს მიაწოდოს მასალა პროლეტარულმა
მწერლობამ, გააძლიეროს თავისი გავლენა მასზე და წამართოს მისი
მუშაობა კომუნისტური იდეოლოგიის გზით. აი რა საკითხები სდგას
ამჟამად ჩვენს წინაშე.



ამხ. ვ. ბახტაძის წერილების შესახებ (კვლევა) მხატვრული პროზა 1928 წელში.¹⁾

ამხ. ვ. ბახტაძემ თავის წერილებში კონკრეტულ მაგალითებზე სცადა გაერკვია, თუ ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ მთელი ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში რამდენად შესძლო გადაეკრა ის ორი მთავარი ამოცანა, რომელიც მის წინაშე იდგა. ეს ამოცანები იყო: იდეოლოგიური სიმტკიცე (შინაარსის მხრივ) და მხატვრული ფორმის სისადავე. ამ თვალსაზრისით მიუდგა იგი თითოეული მწერლის შემოქმედების შეფასებას. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თვალსაზრისი ბოლომდე არ არის დატყლი, ე. ი. არ არის ნათლად გამომკვლავებული ამა თუ იმ მწერლის მხატვრული სახე და, რაც მთავარია, თვით ლიტერატურული ფაქტების ანალიზს წინ არ უსწრებს მარქსისტულ კრიტიკის პირველი აქტი—მხილება იმ სოციალური მოტივების, რომელიც მხატვრული ნაწარმოების იდეათა საფუძველს შეადგენს. ეს კი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ხელოვნება საერთო საზოგადოებრივი პროცესის ერთ-ერთ სპეციალურ ფორმას წარმოადგენს. ავტორის მეთოდის კიდევ ერთი დამახასიათებელი მომენტია ის, რომ ამხ. ვ. ბახტაძე არ უდგება თითოეულ მწერალს იმის ტო მიხედვით, თუ რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას ან სკოლას ეკუთვნის იგი, არამედ აიხვეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, თუ როგორ იბეჭდებოდა ამა თუ იმ ეურნელში ესა თუ ის მწერალი. ვფიქრობთ, რომ ლიტერატურული კრიტიკის ასეთი ენარი მიუღებელია, მით უმეტეს, როცა კრიტიკოსი გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელია და განსაზღვრული სოციალური გვუფის სახელით გამოდის.

როგორც უკვე ცნობილი ფაქტია, არა თუ განაღდა ის პოლიტიკური დეკლარაციები, რომელითაც გამოდიოდნენ მწერლები, არამედ დეკლარაციის ხელმომწერი ზოგი მწერალი კიდევ უფრო დაშორდა თანამედროვეობას, რევოლუციას. მსგავსად ყოველგვარი პოლიტიკური მოვლენისა, ამასაც თავისი სოციალური მიზეზები აქვს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოციალ-პოლიტიკურ ფრონტზე არ შეიძლება თავისებურად არ გამომაყდენებელიყო იდეოლოგიის სფეროშიც, მით უმეტეს, რომ ბრძოლის ეს ფრონტი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის

¹⁾ იხ. გაზ. კომუნისტი № 1, 2, 3, და 4.

გამაგრებული, ის მემარჯვენე ნაციონალისტური გადახრება, რომელსაც აქვს ადგილი ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში—ამ გაშვებული კლასობრივი ბრძოლის შედეგია; თუ კიდევ მივუმატებთ ამას ნაციონალიზმით მოშხამულ და დაავადებულ ატმოსფეროს, რომელიც ჯერ კიდევ საზრდოობს ქართველ მწერალთა ერთი ნაწილში, რად ამ უკანასკნელი მომენტით აიხსნება ის გარემოება, რომ მწერლების ამ ჯგუფმა ვერ შესძლო საბჭოთა საზოგადოებრიობასთან ორგანიული მოსვლა. ეს შეურიგებლობის, არაგულწრფელი მოსვლის ტენდენცია განსაკუთრებული რელიეფობით მიხ. ჯავახიშვილს და კ. გამსახურდიას ნაწერებში გამოიხატა. ჩვენის აზრით, ამხ. ბახტაძე ვერ იძლევა ზემთაღნიშნულ მწერალთა—სხვებს რომ თავი დავანებოთ—სწორ შეფასებას. ეს იმიტით აიხსნება, რომ იგი მხატვრულ ნაწარმოეთა შეფასების დროს უმთავრესად შთაბეჭდილებებს ემყარება, ხელშეწყობს „დაწუნების“ თუ „მოწონების“ პრინციპით. ცხადია, მარქსისტი—კრიტიკოსი არ შეიძლება ლიტერატურულ მოვლენებს ასეთი იმპერსონალისტული მეთოდით უდგებოდეს. მისი უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ამ მეთოდის გამოყენების დროს გვეყარება მხატვრული ფაქტებისადმი ობექტური მიდგომისა და შეფასების საშუალება.

ამხ. ვ. ბახტაძეს, ჯავახიშვილი ეპოქის მწერლად გამოყავს. იგი გარკვეულ დებულებას აყენებს: „ჯავახიშვილი უთოდ ეპოქის მწერალია, არა მარტო ენით, არამედ სამწერლო საგანით, შინაარსით.“ ჩვენი მკითხველი, რომელიც დაკვირვებით ვაცნობია „დამპატიყეს“ და მის უკანასკნელ ნაწარმოებს „შავ კლდეს“ ვეტიქრობთ, ვერ დავთანხმება ამხ. ვ. ბახტაძეს ამ დებულების სისწორეში. ეპოქის მწერალი, უეჭველად ამ ეპოქის მოწინავე პოზიციებზე უნდა იდგეს და ამ ეპოქის პროგრესული იდეებით უნდა განიმსჯელოს. თუ თანამედროვე ეპოქის დიად და განმსაზღვრელ ძალას რევოლიუცია წარმოადგენს, ეპოქის მწვერალიც თავისი შემოქმედების მასაზრდოებელ ძალას ამ რევოლიუციიდან უნდა იღებდეს; მან „სამწერლო საგანად“ ცხოვრების ახალი ფორმები უნდა აიღოს, ის ახალი ფორმები, რომელიც ძველი ურთიერთობის ნგრევის შედეგად ჩაისახა. ამ გავებით შეიძლება თუ არა, ჯავახიშვილი ჩაითვალოს ეპოქის მწერლად ან თუნდაც ისეთ მწერლად, რომელიც ამ ეპოქის „კარებთან“ დგას, როგორც ამას თავის საწინააღმდეგოდ თვით ლაპარაკობს მეორე ადგილას ამხ. ვ. ბახტაძე. ცხადია, თავისი შემოქმედების შინაარსით ჯავახიშვილი ჯერ კიდევ არ არის ამ „კარებთან“ მისული. წინააღმდეგ. თავისი უკანასკნელი მოთხრობანი: „შავი კლდე“-ში, კი-



დევ უფრო დაშორდა მას. აი ფაქტები. ამ მოთხრობაში ჯავახიშვილი, ის სადაც ლაპარაკობს მწერლობაში ბერების გამრავლებას. მესამე ხეობა, შემდეგნაირად განაგრძობს: „დეე ჩუსტები და გვიანდელი ჩები მოკირწყლონ, ან მოედანზე ვავიდენ და ჩექმები წმინდობა, — პოეტო მათ საქმეში არ ერევა, მაშ წურც ისინი შემოიჭრებიან თქვენს სამფლობელოში თავიანთი ცოცხები, სადგისებით და ბირდაბირებით. აგრე გენაცვალეთ კალმის წვერში! შეუტოეთ! დასცხეთ! იფრინეთ! ჩუზად, გივი შადურო, ჩუზად, თორემ გაგიგებენ და შენვე გიფრენენ, ხე-ხე“. სარკასტიული ხითხითით ამთავრებს თავის დარიგებას მ. ჯავახიშვილი (ეს ნაწყვეტი რედაქციის მიერ გამოქვეყნებული არ ყოფილა). ჯავახიშვილს სურს სთქვას, რომ ის ადამიანები, რომელთაც ხელში „ბირდაბირები და სადგისები“ უჭირავთ, შეიჭრენ პოეზიის „წმინდა“ სფეროში და „კეტებით ხელში დასდევენ მთვარეს“. ეს მათი საქმე არ არის. ამიტომ იგი მოუწოდებს თავის კოლეგებს — შეიარაღდენ კალმებით, რომ „დასცხონ“ და „იფრინონ“ ეს ხალხი. მკითხველი გაიგებდა, თუ ვის გულისხმობს ჯავახიშვილი „ბირდაბირებში და სადგისებში“, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაგინდ „ჩუზად“ იჩურჩულოს ჯავახიშვილმა, „ბირდაბირებიანი“ ხალხი კარგად გაუგებს მას ამ ნაციონალისტურ თავდასხმას და კიდევ „იფრენს“. მწერალი, რომელიც ასეთი ენით მეტყველებს, აწარმოებს ბრძოლას იმ კლასის წინააღმდეგ, რომელმაც გადაშალა კაცობრიობის ისტორიაში ეს ახალი ეპოქა, ყოვლად შეუძლებელია ეპოქის მწერალი ვუწოდოთ თავისი შემოქმედების „შინაარსით“, რადგან ეს „შინაარსი“ (თუ უშინაარსობა?!), როგორც დავინახეთ, ჯერჯერობით „ბირდაბირების“ რეაქციონური თვალსაზრისის შექმნაში გამოიხატება. ვ. ბახტაძე ამბობს, რომ „ჯერ კიდევ არავინ არ იცის, რევოლიუციასთან არის ჯავახიშვილი თუ არა“. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეგვიძლია მიუთითოთ ამხ. ვ. ბახტაძეს „დამპატიყ“-ზე და მეტად ახირებულ კონცეპციაზე „სადგისებისა და ბირდაბირების“ შესახებ. ჯავახიშვილის ნაწერებს ამხ. ვ. ბახტაძე უწოდებს „ეპოქის ადამიანის დოკუმენტებს“. ამხ. ვ. ბახტაძე უხეშ შეცდომას უშვებს ამ პუნქტშიც — ალბათ, „შთაბეჭდილების“ ნიადაგზე. რევოლიუციონური ეპოქის დოკუმენტი, უძველესად უნდა წარმოადგენდეს ისეთ დოკუმენტს, რომელზედაც აღბეჭდილი იქნება ამ ეპოქის ბრძოლის ნიშნები საუკეთესო მომავლისათვის, იქნება ეს შემოქმედებითი მუშაობის მიღწევები სხვადასხვა ფრონტზე, თუ რევოლიუციის კადრების გმირული დამარცხება. მაგრამ როცა ისეთ პასკვილს, როგორიცაა „დამპატიყე“ ან „შავი კლდე“ ჩვენი ეპოქის დოკუმენტებად აც-

ხადებენ, — ეს ყოვლად უმართებულო ამბავია. ამხ. ვ. ბახტაძე თავის მსჯელობაში იმ უკიდურესობამდეც კი მიდის, რომ ურჩევს პროლეტარულ მწერლებს ისწავლონ ჯავახიშვილისაგან. „ჯავახიშვილისაგან ჩვენმა ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერლებმა უნდა ისწავლონ ის, რაც მწერლობაში მთავარია: მკითხველის — ცხადად, თანამედროობით გამსჭვალული მკითხველის დაინტერესება. უნდა ისწავლონ საინტერესო წერა“. ცხადია პროლეტარული მწერლობა აქ დასახული გზით ვერ წავა. ჩვენ ვიცით, როგორი მხატვრული მასალით დაინტერესებს ზოგიერთ მკითხველს ჯავახიშვილი. თანამედროობით გამსჭვალული მკითხველი კი, რომელიც დგას თავისი მოწოდების სიმალლეზე, ამით ვერ დაინტერესდება. იმ საკითხს, თუ რამდენად სწორია ასეთი დაპირისპირება და ჩამოცილება ფორმის შინაარსისაგან, როგორც ამ ს ჩადის თითქმის ყველა მწერლის შეფარდების დროს, ქვემოთ შევხებით, ეხლა კი რამდენიმე სიტყვა კ. გამსახურდიას შესახებ ამხ. ვ. ბახტაძე მეტად წუხს იმ გაუმოგებო, რომ კ. გამსახურდიას „არც არაფერი დავიწყებია და არც არაფერი უსწავლია“. მან შესაძლებელია ბევრიც ისწავლა, მაგრამ არა რევოლიუციის სასარგებლოდ. ამხ. ვ. ბახტაძე ალტაცებულია კ. გამსახურდიას მხატვრული ნიჭით, მაგრამ გრძნობს მისი როგორც მწერლის, სიკვდილის მოახლოვებას და უსურვებს „დიდი ხნის სიცოცხლეს“. ჩვენთვის აქ საინტერესოა მხოლოდ განცხადება, რომ „სიამოვნებით იკითხება გამსახურდიას ნაწარმოები“, ვინაიდან იგი „მდიდარი ლექსიკონის“ მატარებელი ყოფილა. საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რამდენად „მდიდარია ეს ლექსიკონი“ და როგორია დღეს მისი მხატვრული ღირებულება. მაგალითისათვის ავიღოთ მისი ნოველა „ჯამუ“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურ. „ქართულ მწერლობა“-ში. სიუჟეტი: ბანდიტი ეფენდიევი — ჯამუ, აწყობს თავდასხმას მოსკოვის ერთ-ერთ ბანკზე, მაგრამ შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრება და მოათავსებენ „ბუტირკის საავადმყოფოში“. ეს სიუჟეტი შემდეგ ხაზებშია გაშლილი: პირველი სტრიქონისთანავე გამსახურდიას „მდიდარ ლექსიკონს“ ამშვენებს სიტყვა „ციხე“. „ლამე მომიყვანეს შინაგან ციხიდან ბუტირკის საავადმყოფოში“, ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენს სინამდვილეში არ შეიძლება „ციხის ინსტიტუტი“ არსებობდეს. შემდეგ: „ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ არ მინდოდა საკაცეთი ვფორიეთ უხეშ ხანიტრებს“. „ათასი კაცის პირით ნალოშნი კოვზით ჩამასხა პირში რაღაც ხაზიზღარე, გულის ამრეკი წამალი“. ან კიდევ: „უხეშ მოწყალების დებს უკულმა ჩაეცმიათ პერანგი“. ასეთია გამსახურდიას ლექსიკონი. იგი განზრახ ამახინჯებს სინამდვილეს და ცდილობს ამგვარი



„ლამაზი“ თქმებით აღძრას მკითხველში ისეთი ასოციაციები, რომელიც მის ცნობიერებაში წაშლის განსხვავებას ბურჟუაზიულ ცხოვრებას და ჩვენს გამსახლებს შორის. გამოდის, რომ კიდევ ურყევობა უნდა მოწყალების დები“, რომლებიც ათასი კაცის ნალოზნი კოვზით ასმევენ წამალს და პერანგებს უკლმა აცმევენ. თითქოს არაფერი არ შეცვლილა, არ შეცვლილა დამოკიდებულება ადამიანებს შორის. ასეთი ნაწარმოების კითხვა „სიამოვნებით“ არ შეიძლება, რადგან იგი გახალბეულ დამახინჯებულ ფაქტებზეა აგებული. დასაშვებია—პერანგის უკლმა ჩაკმის შემთხვევა, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ეს ალებულია როგორც საერთო დამახასიათებელი ფაქტი, ვინაიდან ასეთი მოტივი მეორდება რამდენიმეჯერ. კ. გამსახურდიას შემოქმედების შეფასებაში არ არის გატარებული სწორი კლასიური ხაზი და მხოლოდ ამით თუ აიხსნება ზედმეტი გატაცება მისი „ლამაზი თქმით და მდიდარი ენით“. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თუ როგორია ეს „ლამაზი თქმები“.

ჩვენ არ შევჩერდებით დანარჩენ მწერალთა შეფასებაზე. აქაც ყველაფერი, როგორც ეტყობა, პირველი „შთაბეჭდილებით“ არის ახსნილი. მაგალითად, სტეფანე კასრაძეს, რომელიც მეტად უფერული და უმნიშვნელო პროზაიკოსია, ამხ. ვ. ბახტაძე „განსაკუთრებულ ადგილსაც“ კი უთმობს, ხოლო განცვიფრებას იწვევს ლეო ქიაჩელის შეფასება, როგორც „მეთაური“ მწერლის. „დღევანდელი ქართულ პროზაში“. მოთხრობა „ალმასგირ კიბულან“. რომელიც ვიწრო ფსიქოლოგიური ხასიათის მოთხრობას წარმოადგენს, მოკლებული ყოველგვარ სოციალურ შინაარსს, ამხ. ვ. ბახტაძეს „ძლიერ“ ნაწარმოებად მიაჩნია. „იგი უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ელიზბარ პოლუმორდვინოვის „შაშილარ“. მაშინ როდესაც პროლეტარული მწერლის ეს უკანასკნელი მოთხრობა მეტად აქტუალურ თემად ხდება. მასში დაპირისპირებულია ძველი და ახალი სევანეთი. იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და თანამედროვეა, ვიდრე „ალმასგირ კიბულან“. დასასრულ კიდევ ერთი საკითხი—მხატვრული ნაწარმოების „ფორმისა“ და „შინაარსის“ საკითხი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამხ. ვ. ბახტაძე ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების განხილვის დროს ამ ორ მომენტს, ერთმანეთს უპირისპირებს და აცალკევებს. იგი ფიქრობს, თითქოს შესაძლებელია ესა თუ ის ნაწარმოები, თავისი შინაარსის მხრივ, ჩვენთვის მისაღები არ იყოს, მაგრამ „ფორმა“ კი იქნეს სრულყოფილი. ის კიდევ ურჩევს პროლეტარულ მწერლებს ჯაყავსვილისაგან ისწავლონ „ხაინტერესო წერა“. „დაინტერესება“. ეს უპიკველად წერის, ამბების

თხრობისა და მწერლის მხატვრულ ხერხებს შეეხება. მაგალ. „შენგე-
ლაიას ნაწერების ფორმალურ მხარეებს იგი დადებითად სთვლის,
ხოლო „ცხოვრების მემარცხენე გარეობის ცხოვრებაში გადატანა“, მას
ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველო-
დასმა შემცდარია. რადგან მარქსისტული მეთოდოლოგიაში მხატვრული
მხატვრულ ფაქტებში, ორივე ეს მომენტი (ფორმა და შინაარსი) ერთ
მთლიანობას წარმოადგენს. ისინი განხილული უნდა იქნენ როგორც
ერთისადაიმავე პროცესის ორი მხარე. იმდენად, რამდენადაც იღვას
მხატვრული ფაქტებში, მხატვრული ხერხების საშუალებითაა განხორ-
ციელებული, იმდენად სრულიად უმართებულო და შემცდარია მათი
ერთმანეთისაგან განცალკევება. კ. გამსახურდიას ნაწერები, მაგალი-
თად, მიუღებელია არა მარტო იდეოლოგიურის, შინაარსის მხრივ,
არამედ „ლამაზი თქმებისა“ და ამ შინაარსის გაშლის მხრივაც. მათი
ერთმანეთისაგან დაშორებით ამხ. ვ. ბახტაძეს ერთგვარი დუალის-
ტური მომენტი შეაქვს ნაწარმოების მთლიანობაში. ამ თვალსაზრი-
სით „სისადავე ფორმის“ არ უნდა იქნეს ცალკე შეფასებული, რად-
გან თვით შინაარსი მიისწრაფის გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბები-
საკენ. მარქსისტული მეთოდი მხატვრული ნაწარმოების შეფასებაში,
თანმიმდევარ მონიშნს მოითხოვს.

მხატვრული პროზის ის „მიმოხილვა“, რომელიც ამხ. ვ. ბახ-
ტაძემ მოგვცა, ვერ არკვევენ ქართული ლიტერატურის განვითარე-
ბის ძირითად ტენდენციებს. ამას ხელს უწყობდა სწორი კლასური
ხაზის უქონლობა და უმთავრესად „შთაბეჭდილებებზე“ დაყრდნობა.
თუ რამდენად გადაჭრა ქართულმა მხატვრულმა პროზამ ის ორი
მთავარი ამოცანა, რომელიც მის წინაშე იდგა, ეს „მიმოხილვის“
ავტორმა ვერ გააშუქა.

პროლეტარული მწერლობის დღიური

დროა წავიდეთ წინ

ის ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ამ უკანასკნელ ხა-
ნებში შემოვიდა ჩვენი ლიტერატურულ ცხოვრების სინამდვილეში,
კომკავშირული მწერლობის სახელწოდებით, ერთი მხრივ, მართალია,
არ იქცევს დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას და არ დგას ლიტე-
რატურული ცხოვრების ცენტრში, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისე
პატარა მნიშვნელობის მოვლენაა.

საქმე ისაა, რომ ბრძოლა, რომელიც ეხლა კულტურის ფრონტზე სწარმოებს და იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო არა მარტო სამეურნეო ან ტექნიკურ ფრონტზე საპირისპირო მოძრაობებზე, კვალიფიციურ კომუნისტურ ძალებს, არამედ ინტელექტუალურ ფრონტზეც, ლიტერატურასაც ეხება და მისდამი სერიოზულ მოპყრობას მოითხოვს.

ეს ასეა, და რომ ამ დარგში გამაგრების აუცილებლობა საკიროა, საუკეთესოდ მტკიცდება ჩვენს დღევანდელ ლიტერატურულ სინამდვილეში გამართული კლასიური ბრძოლით, როცა კლასიური მტერი ერთგვარ შესაძინე შემოტევას აწარმოებს, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის საშვალებით. რასაკვირველია, მტრის ეს ხერხი არაა ახალი გზა, მაგრამ იმისათვის, რომ მას წაართვა ეს საშვალება, ამავე ფრონტზე საკუთარი ძლიერი ძალები უნდა დაუპირდაპირო.

ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდი ხანია გათვალისწინებულია და ამის ნაყოფია ფართო პროლეტარატურული, ნაპოსტოური მოძრაობა, რომელიც ლიტერატურაში კომუნისტური ძალების მონაწილეობას ნიშნავს. ყველასათვის ცნობილია ისიც, თუ რა მაქსიმალური ყურადღება ექცევა მას პარტიის მიერაც, რის დამამტკიცებელია, თუ გნებავთ, ს. კ. პ. საოლ. კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის რეზოლუცია, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში პარტიული პოლიტიკის საკითხებს ითვალისწინებს, სადაც. სხვათა შორის, ერთგან პირდაპირ სწერია: „გადიდდეს ლიტერატურაში მუდმივად მომუშავე პარტიის წევრების რიცხვი, რისთვისაც უნდა იქნან შერჩეული მარქსისტულად განათლებული ამხანაგები“ და სხვა.

რასაკვირველია, ამ ხაზით მუშაობას ძირითადში, პროლეტარული მწერლები უკვე ეწევიან და ამისათვის, ახალ ძალებს და ახალ კადრებს კომკავშირული ახალგაზრდობიდანაც იღებენ.

კომკავშირი აქაც, როგორც კულტურის სხვა დარგებში, თავის საუკეთესო წარმომადგენლებს აყენებს. ცნობილია ყველასათვის ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში მომუშავე საუკეთესო კომუნისტური ძალები კომკავშირმა გადასცა მას. ასე იყო და არის ეს რუსეთში და ამ გზითვე მიდის ეს საქმე ჩვენშიაც. მაგრამ თუ წინათ ამას კიდევ შემთხვევითი ხასიათი ქონდა და მხოლოდ თითო-ორჯოლა პირი იწყებდა ამ ფრონტზე მუშაობას, ეხლა სიერთოდ, მასების კულტურულ ზრდასთან დაკავშირებით, ვას მასიური ხასიათი ეძლევა, რაც, ერთი მხრივ, მეტად სიპტომატიური მოვლენაა და იმის მაჩვენებელი, რომ ლიტერატურისადმი ინტერესი არა თუ მარტო მტრის ბანაკის

ხაზით იზრდება, არამედ პროლეტარული საზოგადოებრივობის ხაზითაც, სადაც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს, და უნდა იჩინდეს კიდევ. — კომკავშირული ახალგაზრდობა, რომელიც კომკავშირული მწერალთა წრების სახით დაირაზმა ჩვენი ქვეყანის ყოველ კუთხეში, ეს სასიხარულოა, და სახველიო ლიტერატურული კადრების მოსამზადებლად პროცესი.

ცნობილია, რომ კომკავშირული მწერლის სახელწოდება მხოლოდ პირობითია და მწერლის სახელის მოპოება და დამსახურება ხანგრძლივი შრომის და უნარიანობის ნიადაგზე უნდა ხდებოდეს, რის საუკეთესო ფორმად წრეების მუშაობაა მიჩნეული.

ეს მუშაობა მეტად ფართო და დადებითი ხასიათისაა იმით, რომ გარკვეულ, გეგმიან ჩარჩოებში აქცევს ახალგაზრდობის ლიტერატურულ მოთხოვნილებებს და, მეორე მხრივ, მას გზას უკაფავს შემოქმედობითი მუშაობისათვის, ხელს უწყობს ახალგაზრდა მწერალთა კადრების აღზრდის და გამოყვანის საქმეს. ხელშესახებად ამ პროცესს ჩვენ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტერატურულ ფურცლებში (კომკავშირული მწერლობა) ვინახულობთ, სადაც „ხორების“ და „იამბის“ ენაზე ჩვენი ახალგაზრდობა ცდილობს ჩვენი ეპოქის ახალი განწყობილებებისა და საკითხების მხატვრული საშვლებებით გამოკვეთას, რაც, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, თითქოს მათი ლიტერატურული მუშაობა უნაკლო იყოს. მაგალითად, თუ პირდაპირ დავესვამთ საკითხს იმის შესახებ, თუ განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება დღეს ის მწერლობა, რომელსაც ჩვენ კომკავშირულს ვუწოდებთ, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ: რამდენადაც იგი საერთოდ იზრდება და პოპულიარული ხდება, იმდენად შესუსტებულ ლიტერატურულ პროდუქციას იძლევა, რაც, რასაკვირველია, შეიძლება აიხსნას, როგორც ზრდის ერთგვარი კრიზისი, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი წლის განმავლობაში არ გამოიმკლავნებულა არცერთი კომკავშირელი და არც გამოიმკლავნებული არ წასულა წინ, რაც კიდევ უფრო მეტად სერიოზიული მუშაობის ამოცანებს აყენებს მთელი კომკავშირელი მწერლობის წინაშე. არ კმარა მხოლოდ ის, რომ კომკავშირელი მწერლების უახლოესი კადრებიდან მხოლოდ ფრ. ნაროუშვილი იზრდებოდეს, რომელმაც ამ შემთხვევაში ძლიერ შორს დატოვა არა მხოლოდ თავისი უახლოესი ამხანაგება, არამედ ზოგიერთი ძველი პროლეტარული მწერალიც.

ჩვენ არ შევებებით აქ მის მუშაობას, რომელიც უსათუოდ ახალ თემატურ და აქტუალური მნიშვნელობის ნაწარმოებებს შეიცავს („ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში“ და სხვა) მაგრამ სადღაა



დანარჩენი კომკავშირელი მწერლების ისეთი ფაქტები, რომელთა შესახებ შეიძლება ლაპარაკი. ცხადია, სუსტად მუშაობდნენ წევრები **ხ. წვერაძე, ი. ზოშტარია, გ. კაჭახიძე და კ. ბობოხიძე**. რომელთა მართალია, დასწერა ერთი ძლიერი ლექსი („გაზაფხული“); მაგრამ დანარჩენ ლექსებში ამჟღავნებდა ერთგვარ მხატვრულ და იდეოლოგიური ხასიათის ჩავარდნებს. წამოიზარდა თითქოს რამდენიმე დამწყები ამხანაგი (მაგ. ირ. აბაშიძე, ტ. დარიაშვილი, ბ. ჩხეიძე და სხვანი), მაგრამ ეს მაინც ვერ შევლის მდგომარეობას, რადგან საერთოდონე დამწყები მწერლების მუშაობისა — უმცირესი წინააღმდეგობის გზით მიდის, ტკეპნიან განვლილ თემებს, თავს ვერ ახწვევენ შტამპის ერთგვარ მოჯადოებულ წრეს.

თემატიური სიეიწროვე, რევოლუციაზე ზოგადი ხასიათის ლექსები, ხშირად არაკლასიური სიმბავილე, მოწაფური გულუბრყვილობა, არაკონკრეტულობა, ენის კუდი ცოდნა, დაბალი ხარისხის სიტყვიერი მასალის გამოყენება, „ლიტერატურშინა“, აი ის დამახასიათებელი ნაკლი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანში დასჩემდა კომკავშირელი მწერლების ნაწერებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომკავშირელმა მწერლებმა რაც შეიძლება მეტი უნდა ისწავლონ, ვიდრე სწერონ, მეტი მარაგი და გამოცდილება უნდა დააგროვონ ცხოვრების ყოველდღიურ მუშაობაში პრაქტიკული მონაწილეობით, ვიდრე თმა აქოჩრილი და პოეტური პოზებით იარონ, თორემ წინ ვერ წავალთ და ვერ განვახორციელებთ იმ ამოცანებს, რომელსაც აყენებს ჩვენს წინაშე თანამედროვე ცხოვრება. კომკავშირელმა მწერალმა კომკავშირის ყოფა-ცხოვრების ტილოები მაინც უნდა გვაჩვენოს, ეს კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომკავშირელი მწერლები პროზაშიც დაიწყებენ სერიოზულ მუშაობას, რის გარეშე მხატვრული ლიტერატურის წარმოდგენაც შეუძლებელია.

თუ ჩვენი პროზა სუსტია, ეს ერთხელ კიდევ იმის დამამტკიცებელია, რომ კომკავშირელ მწერლებს ლიტერატურული კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად ცხოვრების ცოდნის ამაღლებაც სჭირდებათ — უამისოდ კომკავშირული მწერლობა მომავალში ერთნაბიჯსაც ვერ გადასდგამს წინ. წინ წასვლა კი აუცილებლად საჭიროა ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ალექსანდრე სულავა

(ამხ. გ. მუშიშვილის წერილის
გამო. უფრ „მნათობი“ № 8-9)



ამხ. მუშიშვილს არ მოსწონებია ჩვენი ზოგიერთი მწერლის ფსევდონიმები და მათ შორის ჩემიც. „როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე. ი. განმარტოებული, განცალკევებული, გარიყული იყოს პროლეტარულ დიქტატურის დროში“ — სწერს ამხ. გ. მუშიშვილი, — სრული კეშმარიტებაა. პროლეტარული პოეტი არ შეიძლება გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის დროს. და მე ვფიქრობ, თვით სანდრო ეული იძლევა ამის მაგალითს. ამას ამხ. მუშიშვილიც დაამოწმებს. მე ვფიქრობ, ამხ. გ. მუშიშვილი ასე არ აყენებს საკითხს. მას, ალბათ, სიტყვა „ეული“ არ მოსწონს. ესეც მართალია. აბა, რა საფსევდონიმო სიტყვაა პროლეტპოეტისათვის ეული?.. მაგრამ ამხ. გ. მუშიშვილს უნდა სკოლნოდა, რომ ეს ფსევდონიმი ჩვენი დროინდელი არ არის. სანდრო ეული, როგორც მწერალი, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ დაბადებულა. ის წერას იწყებს 1908 წელს. ამხ. გ. მუშიშვილს მოსწონს ჩემი გვარი — ქურიძე — და ამბობს, თუ რატომ დამქირდა ასეთი გვარის პატრონს ფსევდონიმს ამოვფარებოდი და მასთან ისეთს ფსევდონიმს, როგორიც არის „ეული“. სწორედ აქ ცდება ამხ. გ. მუშიშვილი. მე რომ 1921 წლის შემდეგ დამეწყო ლიტერატურული მუშაობა, შეიძლება პირდაპირ ჩემი გვარით გამოვსულიყავი ლიტერატურულ ასპარეზზე, ან, თუ ფსევდონიმს ავირჩევდი, არა „ეულს“. მაგრამ საქმეც ისაა, რომ წარსულ შავ დროს ჩვენ არ შეგვეძლო (პირადად მე) ფსევდონიმს არ ამოვფარებულიყავით. მე ვწერდი, მაშინ, როცა არალეგალურ მუშაობას ვაწარმოებდი. და განა შეიძლებოდა მეწერა ბრძოლის ლექსები (1912—1916 წ. ბაქოში, 1918—1920 წ. ტფილისში) აშკარად, უფსევდონიმოდ? არა, არ შეიძლებოდა.

რატომ დავირქვი ეული? იმიტომ რომ მაშინ, როცა ვიწყებდი წერას, მართლა ეული ვიყავი, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომელიც ნიშნავს უუფლებოს, ბოგანოს (იხ. ს. ორბელიანის ლექსიკონი).

ვიყავ ეული, ბედით წველი,
მწარეს ჩვეული, ყველგან თრეული,
ლაშე თეული, ქირში ძღვეული,
პირვეული და ფერდალეული“.

მაგრას ეს შავი დრო წავიდა.

და მეც პოეტი
სანდრო ფული,
ბრძოლაში ცეცხლად
გადატყუული,
ცეცხლის რ. შით
ვარ გატაცებული.
(ჩემი ლექსი „ფული“.)



დღეს ჩემთვის სიტყვა „ეულს“ არავითარი შინაარსი არა აქვს, გარდა მწერლის სახელწოდებისა.

ამხ. გ. მუშიშვილივით რომ ვიმსჯელოთ, მაშინ დემიან ბედნიმ, მაქსიმ გორკიმ, გოლოდნიმ და სხვებმა უნდა გამოიცივალონ თავიანთი დღევანდელი ფსევდონიმები.

სულ სხვა საკითხია ახალგაზრდა თანამედროვე მწერლებისათვის, დღევანდელი დროის შესაფერისი ფსევდონიმების გამოჩახვა. ამ საკითხს მართლა უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ბიბლიოგრაფია

ა. ფადეევი — „განადგურება“. თარგმანი არ. ჭუმბაძის, გამოც. — „შრომა“, 1929 წელი.

ცნობილი რუსი პროლეტარული ბელეტრისტი ი. ლებედინსკი, რომელიც ისეთ ნაწარმოებთა ავტორია, როგორიცაა: „შვიდი დღე“ და „კომისრები“ სადაც სამოქალაქო ომის მნიშვნელოვანი ეპიზოდებია მოცემული, თავის დროზე სამოქალაქო ომის თემატიკის შესახებ წერდა: ეს ისეთი მასალაა, რომელიც დიდ მხატვრებს ელისო. („თემები, რომლებიც ელიან თავის მხატვრებს“); ეს მასალა მართლაც ჯეროვანად გამოიყენა პროლეტარული მწერლების მთელმა რიგმა.

ამ მასალის მდიდარი ნაწილი გამოიმკლავნდა ისეთ ნაწარმოებში, როგორიცაა ფურშანოვის „ჩაპაევი“ და „მიატევი“, მაგრამ იგი არ ამოწურულა ამით. „შვიდი დღე“, „ჩაპაევს“, დოროხოვის „კოლჩაკოვშინას“ და კიდევ სხვა მრავალ ნაწარმოებს, რომლებიც სამოქალაქო პარტიზანული ბრძოლების თემებს შეიცავდნენ, მიემატა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოები — „განადგურება“.

იგი ეკუთვნის მეტად ნიჭიერ პროლეტარულ მწერალს ალ. ფედევს, რომელიც სრულიად სამართლიანად დადგა ამ ნაწარმოებთა ჩვენი ლიტერატურის პირველ რიგში. თავის დროზე ამ რომანის გამოქვეყნებამ საკმაო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს პროლეტარულ გადმოცემებში და გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია მის მიმართ. დღემდე არ შეწყვეტილა.

ფადეევი ახალგაზრდაა, იგი ამჟამად ისევ ახალ რომანზე მუშაობს („Последный из Удере“), რაც ალბათ, კიდევ მისი გამარჯვებით დამთავრდება.

საერთოდ ცნობილია, რომ ყველა ის დიდი მხატვრული ნაწარმოები („Бруски“, „Тихий Дон“, „Фабрика Рабле“ და სხვა), რომლებიც ამ უკანასკნელ ხანაში დაიწერა, და მთელ ლიტერატურულ მოვლენებს ქმნიან, პროლეტარული რომანების სახით შოდის და პროლეტარული ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევებზე ლაპარაკობს. ფადეევის „განადგურება“ ამ მიღწევათა რიგშია და ყურადღებას იქცევს, როგორც მეტად მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები.

ამ რომანში ფადეევის მიერ აღწერილია პარტიზანების ბრძოლა თეთრგვარდიელებთან შორეულ ციმბირის მხარეში. ეს ბრძოლა მთავრდება რევოლუციონური აზრის ბრწყინვალე გამარჯვებით და წყნარი ოკეანის ნაპირებამდე მიღწევით. ისინი მთელ მხარეს საბოლოოდ წმენდენ თეთრი ბანდების ნაშთებისაგან.

რომანში გამოყვანილია რევოლუციონური არმიის მებრძოლი მასები. მაგრამ მასთან ერთად მეტად რელიეფურადაა გამოკვეთილი ამ რევოლუციონური მასის ხელმძღვანელი—სამხედრო ლევისონი.

რომანში ლევისონი არ წარმოადგენს ლეგენდარულ ტიპს, ამიტომ ყალბ შთაბეჭდილებას არ იძლევა, ის ჩვეულებრივი ადამიანია და იმასაც ახასიათებს ადამიანური მგრძობელობა. ეს რომანი სწორედ იმით იმარჯვებს, რომ აქ პროლეტარული მწერლის მიერ სერიოზულად ნაცადია ნამდვილი ცოცხალი ადამიანის ჩვენება, ან, როგორც ამ რომანის და მისი მთავარი გმირების შესახებ სწერდენ, „განადგურების“ აზრი და დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ნაცადია „საკუთარ გმირების შიგნიდან მისვლა, გაღრმავებულ ფსიქოლოგიზმზე გადასვლის ცდილი“ (ა. ლეენევი).

ცნობილ ვორონსკისაც ფადეევის ეს რომანი იმდენად მოეწონა, რამდენადაც მასში დაინახა პროლეტარული მწერლის მიერ შაბლონის გადალახვა: „ტოლსტოისებური მიდგომა ადამიანისადმი, ფსიქოლოგიისადმი, ასახვა ცოცხალი ტიპებისა მთელი მათი სიჭრელით,

სირთულით და მრავალფეროვანებით“ („Старое и новое“). თავს შეეხება მთლიანად რომანის მასალას, პარტიზანული ბრძოლის თემას, ერთი მხრივ, იგი თითქოს ვაცვეთილი მასალაა, მაგრამ ფაქტობრივად იგი მთელი მეთად საინტერესოდ მოხმარებული.

გავიხსენოთ რას წერდა ამის შესახებ ამხ. გ. გორბაჩოვი: „ვივანოვის, ბაბელის და ნაწილობრივ სეიფულინასა და ვ. შიშკოვის შემდეგ თითქოსდა ძნელი იყო პარტიზანების შესახებ საინტერესო რამის დაწერა. მაგრამ სწორედ აქ გამოძვლავდა, თუ რა განსხვავებაა მასალისადმი პრულეტარებისა და თანამგზავრის,—თუნდაც მემარცხენე თანამგზავრის,—მიდგომაში. ფაქტურად არ უცდია განეახლებია თემა და „ხერხები“ და ხელოვნურად არ დაუქიმავეს ამისთვის ძალ-ღონე, არ ცდილა გადაედო პარტიზანული მასალის ათვისება და სრულიად ბუნებრივად დაინახა და გვაჩვენა პარტიზანები სულ სხვა ასპექტით, ვიდრე ამ თემის მხრივ მისმა წინამორბედებმა.

უკანასკნელთათვის პარტიზანობა — ესაა ბრმა სტიქია, რომელიც ხან თავზარს გცემს, ხან სიხარულის ექსტაზს იწვევს, სტიქია შედარებით სუსტათ დიფერენციალშია, მწვავე, ცეცხლსა და კომლში მებრძოლი, რომელიც მტერს თითქმის კბილებითაც კი ჩააფრინდება ნახევრადმგლური ინსტიქტით“.

ფაქტურად კი პარტიზანები მოხაზა, როგორც ნორმალური ადამიანები, საომარი პირობების განწყობილებაში მყოფნი.

მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ პარტიზანების ჩვენება ასე შეიძლებოდა მხოლოდ სამოქალაქო ომთან და რევოლუციასთან არა როგორც სტიქიასთან მისვლით, არამედ ბოლშევიკური ანალიზის სიმახვილით, (გორბაჩოვის) სადაც სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით „პარტიზანშინი“ პროლეტარული რევოლუციის გზითაა წაყვანილი.

რომანი დამაჯერებელია იმითაც, რომ გმირების ურთიერთობა და მათი მოხაზვა არაა ყალბი. ლევისონი, პარტიზანული რაზმის უფროსი, მართალია, ტიპური ებრაელი ინტელიგენტი და მებრძოლი პარტიზანების თვალში „ზეკაცს“ წარმოადგენს, მაგრამ მასში, როგორც ნამდვილ ცოცხალ ადამიანში, სიმკაცრის და თავდადების გვერდით იქვიანობა და მოწყენილობაც ბუდობს.

ლევისონის სახით ფაქტურად შექმნა ჩვენს ლიტერატურაში ნამდვილი ბოლშევიკური ტიპის ადამიანი. ვილაცამ სრულიად სამართლიანად ლევისონი ამხ. ფ. დერჟინსკის შეადარა და ეს სავსებით მართალია, ამ აზრს ყველა გაიზიარებს, ვინც იცის ამხანაგ დერჟინსკის რევოლუციონური მოღვაწეობა. მაგრამ განა ფაქტურად „განად“

გურებაში“ დეტალები, რომლითაც ლენინსონი ხასიათდება, იმას არ ამტკიცებს, რომ ის ახალი ეპოქის საუკეთესო ეგზემპლარია?

ლენინსონის სახით, როგორც ნაჩვენებია ის ფაქტებს რომანში, გამოხატულია პარტიის როლი პარტიზანულ მოძრაობაში [ქრუშჩენკო] ნაჩვენებია მთელი რიგი ერთმანეთის საწინააღმდეგო ტიპები [მეგაქ] მერჩიკი, რომელიც ზედმეტი ადამიანის უკანასკნელი წარმომადგენელია; მას არაფრით არ გავს მეორე გმირი—მოროზკა, რომელიც პირველ საფეხურზე მყოფი ახალი ადამიანის ტიპია. ასეთივეა მუშა ბალკანოვი, დუბოვი, გონჩარენკო, ვარია და სხვანი.

ფაქტებმა ამ ტიპებით გადალახა შტამპი და გვაჩვენა არა მარტო ცოცხალი ადამიანები, არამედ მათი საშუალებით ჩვენი თანადროული ადამიანის ძირითადი თვისებები. იგი ადამიანებს გვაჩვენებს „მთელი მათი სირთულით, კარგი და ცუდი, ძლიერი და სუსტი მხარეებით“.

ესაა სწორედ რომანის გამარჯვება. აღსანიშნავია ისიც, რომ რომანის დასასრული უფრო ძლიერია, ვიდრე დასაწყისი, რაც რომანზე მწერლის ხანგრძლივი მუშაობის და მხატვრულად დასრულების შედეგად უნდა ჩაითვალოს. რომანის ქართული თარგმანი დამაკმაყოფილებელია და მისი გამოცემაც, რასაკვირველია, საჭირო და დროული.

აღ. სულავა

ს. სული.—„ლენინი“ (დექსები) 1929 წელი

ამხ. ლენინის შესახებ დიდი ლიტერატურაა შექმნილი. ლენინის შესახებ დაწერილია ძლიერი ბევრი ლექსები და პოემები, მიუხედავად ამისა, ჯერ ჯერობით არ მოიპოვება არც ერთი ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მთლიანად, სინტეტიურად იძლეოდეს პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის პორტრეტს.

ფიქრობენ, რომ ამის საჭიროება მოახლოვებულია, მაგრამ ბევრი იმ აზრისაა, იმისათვის, რომ დაიწეროს „ლენინიდა“ საჭიროა ჩვენი ეპოქის ცოტა მეტ ლანდშაფტად გაშლა (ლუნაჩარსკი) „აღბათ დადგება მომენტი—სწერს ამხ. ა. ლუნაჩარსკი როცა დიდი მხატვარი, (ჩემი ფიქრით ამისათვის საჭიროა დიდი მხატვარი) მოგვეცემს ჩვენ „ლენინიდას,“ შეიძლება ეს მოხდეს მალე, შეიძლება არც ისე ჩქარა.“

„ლენინიადის მოცემა—ეს ნიშნავს შექმნა „ომი და ზაფხუნი“ მგზავსი რაიმე, შექმნა ეპოპეია ბრძოლის, აღმშენებლობის, დიდი ლენინური კულტურის თემებზე, აჩვენო თუ როგორ ამდგომდა ლენინი ამ ეპოქაში და შემდეგ თუ როგორ გააანაყოფიერა მსოფლიო. ესაა თავისი გიგანტიური ტენის ენერგეტიული წყენით.“

რასაკვირველია ლენინის პიროვნების და მისი მოქმედების მოცემა მხატვრულ ლიტერატურაში, არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ ერთი რამ მზავარი, რომელიც ხელს კიდებს ლენინის ნამდვილ საათ ხეხეია ან უკეთ ლენინზე წერას, უნდა ეცადოს არ გააყალბოს მისი პიროვნება არ გამოორჩეს ისეთი დეტალი, რომლითაც ძლიერ ადვილათ შეიძლება ლენინის დახასიათება, როგორც ბელადის, ადამიანის და სხვა.

არ კმარა რასაკვირველია პოლეტაევივით სთქვა:

„Портретов Ленина не видно
похожих не было и нет“

ან მისი არც ისე მობაზვა, როგორც ეს პროლეტარულ პოეტს ს. ეულს აქვს.

„იყო ამ ქვეყნად ერთად ერთი დიდი გენია,
უპირველესი და უყვდავი გენიოსებში“

ეს სტრიქონები არაფერს ლაპარაკობს ლენინის დახასიათებლად გარდა ავტორის მასზე შეხედულებისა. საპიროა კი ლენინის უფრო ინტიმიურად, უფრო კონკრეტულად გაგება და ჩვენება, რაც რასაკვირველია არც ისე ადვილი საქმეა; ამიტომაა, რომ ბევრ შემთხვევაში ლენინი მხატვრულ ფაქტებში უფრო დამახინჯებულია, აქ მწერლის ბოროტმოქმედება იმაშიცაა, რომ აკარბებს „მაღალ სტილით“ ან ახდენს განგებ „მყვირალა და ბჭყვირალა ფრაზების შერჩევას, თითქმის ისე როგორც ეს ცრუ კლასიკურ ოდებშია“ (ბეკერი) რაც რასაკვირველია ოდნავ არ უდგება და არ ახასიათებს ლენინს. მისი წარმოდგენა, გმირულ, რომანტიულ ყალბ პოზებზე შეუძლებელია, რადგან ლენინის პოლიტიკის და მოქმედების ძირითად თვისებას—როგორც ამხ. ბუხარინი სწერს დიდი სისადავე შეადგენდა, სისადავე არა გულუბრიყველო, არამედ გენიალური ადამიანისა.

იმ უამრავ მოგონებებში და მემუარებში, რომლებიც დაწერილია ლენინის შესახებ, მის უახლოესი მეგობრების, მუშა და გლეხების მიერ, ლენინი ყველგან დახასიათებულია გენიალურ, მაგრამ უბრალო თვისებების მქონე ადამიანად.

შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი ლენინი ჯერ ჯერობით თუ
რომ ძლიერად მოცემულია ჩვენს პუბლიცისტიკაში, ვიდრე მხატვრულ
ლიტერატურაში.

მართალია ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს ^{ჩვენთვის} შექმნილი
თხვევა, რომ ერთ ადამიანის შესახებ იმდენი მხატვრული ^{უაქტუა} დაწერილი
დაწერილიყოს, რამდენიც ლენინზე დაწერილა, მაგრამ ეს სრულე-
ბით არაფერს ლაპარაკობს იმის შესახებ რომ ეს გიგანტი ადამიანი,
მოცემული იყოს ლიტერატურაში ისე, როგორც საჭიროა. პირიქით
ზოგ მწერლის ნაწარმოებში იგი კურიოზულთა წარმოდგენილი. ასე
მიგალითად ცნობილია. ერენბურგის მიერ ლენინის დახასიათება.
კლიუევის ლექსები ლენინზე: „Есть в Ленине керженски дух игу-
менски окрик в декретах“ და სხვა ან დ. პეტროვსკის ლექსი:

— Шофер, повороти в маску
— Я не могу товарищ Ленин,
мне не велели
.....
Повороти к Кремлю веляю:
Ужели путь туда потерянъ
Я вождь пролетариата... есть!
Шофер не смеет больше спорить.“

და სხვა მრავალი მგზავის ფაქტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლექსების უმრავლესობა, რომელიც
დაწერილია ლენინის გარდაცვალების გამო, ლირიკული ხასიათის
ლექსებია.

ლენინზე ლექსები დაწერილი აქვს ისეთ პოეტებს როგორც
არიან მაიკოვსკი, ასევე, ესენინი, ინბერი და სხვა მრავალი, მაგრამ
განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ლენინზე ლექსებით პროლეტა-
რული მწერლები. სიდაც ბოლშევიკურ—მწუხარებასთან ერთად იმე-
დიანობაა მოცემული: „Ленина нет, но есть ленинизм“ (ბეზიმენსკი)
და სხვა.

მრავალი ლექსი დაიწერა ლენინზე ჩვენშიაც, როგორც პრო-
ლეტარულ ისე არა პროლეტარულ მწერლების მიერ, მაგრამ ჯერ-
ჯერობით მხოლოდ რამდენიმე ლექსის ჩამოთვლა თუ შეიძლება. ასე-
თია კ. კალაძის („ამხანაგი ლენინი“) ა. მაშაშვილის (ლენინი)
და კ. ლორთქიფანიძის (ლენინი) რაც რასაკვირველია, იმას არ ნი-
შნავს, რომ სხვა პროლეტარულ მწერლებსაც არ ჰქონდეთ გამარ-
თლებული ლექსები ლენინზე, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას
ს. ეულის შესახებ, რომლის ლექსები ლენინზე ცალკე წიგნათაც კი
გამოიცა. ეს ლექსები ლენინის ცხოვრების და ბრძოლის სხვადა-



სხვა მომენტებს შეიცავს და ბევრ შემთხვევაში საყურადღებოა. ასე ნაგალითად კარგია ლექსები „საიდუმლო კარავი“ ~~ქართული~~ განსაკუთრებით საყურადღებოა ვრცელი პოემა „~~ქართული~~“ ლიც ათი წლის ბრძოლის და მოქმედების მნიშვნელოვან ეტაპებს გამოხატავს, სადაც კარგია თავები: „ივლისის დღეებში“ „თავმჯდომარე ახალ მთავრობის“ და სხვა.

„რა ამოწურავს ჩვენს ხსოვნიდან სადგურ რაზლივას
სადაც მალულად სათივენი გვეყვდა ბელადი,
ხშირად, რომ ცელით აზვინავდა ტყის პირად თივას
და ცივ კარავში სულს უთბობდა რწმენა დიადი“

ლექსები, რომელშიაც ნაგრძნობია ამხ. ლენინისადმი დიდი სიყვარული.

„ლენინ, ო ლენინ ჩვენ ისევ ვიბრძვით
შენს ნაანდერძევს შავყვებით გზასა.“

ა. ს.

კ ი ნ ო

„ხოლტზე“ *) - სცენარი და დადგმა კაჟისორ ლეო ესაკიასი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სახკინმრეწვი მულამ დამარცხებული გამოდიოდა თავისი პროდუქციით საბჭოთა მაყურებლის წინაშე; ამის მიზეზები მრავალგვარი იყო: საკითხი თემატიკის, მხატვრული გაფორმების, მომუშავე ძალების დანაკლისი და სხვა.

უკანასკნელ დროს, ნაწილობრივ შეიცვალა სახკინმრეწვის სვლის გეზი.

წარმოებაში შეტრილი ახალგაზრდა ძალები სახკინმრეწვის მუშაობაში ახალ პერსპექტივებს შლიან.

სახკინმრეწვის ერთ-ერთ უკანასკნელ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს რეჟ. ლეო ესაკიას სურათი (კინო-ფელეტონი) „ხოლტზე“.

ფელეტონის თემად აღებულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ნაჩვენებია, თუ როგორ ისარგებლეს სოფლის ბობოლემა კოლექტივიზაციით, შემდეგ მოცემულია ღარიბი გლეხობის უმწეო მდგომარეობა, გლეხკორების მოქმედება, ბობოლეების შოროტმოქმედების გამოაშკარავება მეურნეობის საქმეში. დემობლიზაციაქმნილი აიმიელის როლი სოფლის მეურნეობის საქმეში კერძოდ—კოლექტივში.

სურათში აშკარად ჩანს, რომ რეჟ. ესაკიას თავიდანვე უფიქ-

*) „ხოლტი“—არსებობს ასეთი სისტემის ტრაქტორი, რომელიც ჩვენი ადგილმდებარეობისათვის ყველა სისტემაზე უფრო ხელსაყრელია.

რია, თუ ვისთვის იდგმება და რადანიშნულება აქვს სურათს „ხოლტზე“. სურათი არ არის ავსებული, როგორც სახკინმრეწვის სურათებს ჩვევია, ყალბი პათოსით და აქტიორების გადაჭარბებული მანქვა-გრეხით. სურათში არც ერთი აქტიორი არ თამაშობს მოქმედებენ მხოლოდ ნამდვილი ტიპები, რომელთა უმრავლესობა თუ კინოაპარატის, უბრალო ფოტოაპარატის წინაც არ მდგარა. მოქმედებენ ნამდვილი ბოზოლები, ნამდვილი მშრომელი გლეხობა, წითელარმიელები და ნამდვილი ტრაქტორისტი.

ვინც კი იცნობს კინო-მუშაობას, ის მიხვდება, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს რეჟისორისათვის გამოუცდელ აქტიორებთან მუშაობა. ნიკიერ რეჟისორს გამარჯვებით დაუძლევია ეს მოვლენა და ისე ამოქმედებს მოთამაშეებს, რომ გამოცდილ კინო-მომუშავეებსაც კი ეჭვი ეპარება და გონია, თითქოს ეკრანზე სხვადასხვა დროს გადაღებულ საინტერესო ამბავს ხედავს.

მიუხედავად იმისა, რომ თემა და მასალა მეტად არაკინემატოგრაფიულია, სრულმეტრაჟიანი სურათის ექვსივე ნაწილს ინტერესით უყურებთ ბოლომდე და მეტად მოხდენილად და მარჯველად გამოცემული ადგილები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. მაყურებელი ყოველ ეპიზოდს განიცდის.

რეჟ. ლეო ესაკიას გამარჯვება ერთხელ და სამუდამოდ ამტკიცებს, რომ შესაძლებელი ყოფილა თანამედროვე ჩვენა საჭირობოროტო საკითხების თემებზე მუშაობა, რაც ჩვენთვის მეტად საჭირო მოვლენაა; ამისათვის სახკინმრეწვმა არ უნდა დაიშუროს ახალი ძალების წამოწევა მხატვრული მუშაობისათვის, ვინაიდან მხოლოდ ახალგაზრდობას შეუძლია ისე გაბედულად და სწორედ მიუდგეს ჩვენს ყოფას, როგორც მოიქცა რეჟ. ესაკია.

სურათში გარკვეულად ჩანს, თუ როგორი გზით უნდა ებრძოდეს მშრომელი გლეხობა ბოზოლებს და როგორ უნდა შეკავშირდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივში, სოციალიზმის უჯრედებში, რაც საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სურათი „ხოლტზე“. ამ ფრონტზე უსათუოდ დიდ როლს ითამაშებს ჩვენი გლეხობის გათვითცნობიერებისათვის.

უსათუოდ ყურადღების ღირსია ოპერატორ ვ. პოზნანის მუშაობა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მასალა, რომელზეც უხდებოდა მუშაობა მას. ესაკიამ თავიდანვე მიზნად დაისახა ნაღდ მასალაზე მუშაობა, ამიტომ იღებდნენ სურათის მოქმედ პირებს უგრიმოდ და კოსტიუმების კინემატოგრაფიული ფერების შეურჩევლად, რაც უსათუოდ მეტ სიძნელეს წარმოადგენს ოპერატორის მუ-

შაობაში; მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ახალგაზრდა პოზნანს ვა-
დაულახავს ხსენებული სიძნელენი. და სურათის ^{თეატრალური} ~~კარგია.~~

ლირსშესანიშნავია ის მოვლენა. რომ სურათ „ხოლტზე“
ხარჯთ-ალრიცხვა შეადგენდა 20.000 მანეთს; ძიუხედავად ამისა, ესა-
კიამ და დამდგმელმა ჯგუფმა შესძლეს მომჭირნეობის გაკეთება და
სურათი გააკეთეს 12.000 მანეთად; ეს ფაქტი სახკინმრეწვის
ისტორიაში პირველი მოვლენაა, ვინაიდან არ ყოფილა შემთხვევა,
რომ სურათის ხარჯები დატეულიყოს ჩამოყალიბებულ ხარჯთ-ალ-
რიცხვაში.

სურათი „ხოლტზე“ უსათუოდ უნდა იქნეს ნაჩვენები რაც შე-
იძლება ფართო მასებში, უმთავრესად სოფლის ეკრანებზე, რომ-
ლებსაც დღემდე კიდევ კვებავენ ამერიკული უაზრო ტრიუკებით
და უბრალო გასართობი სანახაობებით.

გ. მღივანი

ქ რ მ ნ ი კ ა

უახლოეს ხანში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში ეწ-
ყობა სემინარი დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლად.

30 იანვარს მოსკოვში გაიხსნა პროლეტმწერალთა საქავშირო ასოციაციის
პირველი პლენუმი, სადაც იდგა მთელი რიგი მოხსენებები ეროვნულ უმცირესო-
ბათა ლიტერატურის შესახებ. მათ შორის ქართულ პროლეტარულ მწერლობის
შესახებაც.

იბეჭდება და ამ უახლოეს ხანში გამოვა სახელგამის გამოცემით, ი. ვაკელის
ლექციების წიგნი.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა აშხ. ბ. ბუაჩიძის ორი წიგნი, პირველი: „მემარ-
ჯვენეობა მხატვრულ ლიტერატურაში“ (რუსულათ) ზაკვნიგას გამოცემა, მეორე:
„თანამედროვე ქართული ლიტერატურა და პროლეტარული მწერლობის ამო-
ცანები“ (ქართულად) „შრომას“ გამოცემა

სახელგამის გამოცემით იბეჭდება და უახლოეს ხანში გამოვა აშხ. შ. რა-
დიანის კრიტიკული წერილების პირველი წიგნი: „ლიტერატურული პორტრე-
ტები“.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა („შრომას“ გამოცემა) აშხ. პ. სამსონიძის
მოთხრობა „პირველი ქართველი“.

ქეთაის-ბათუმის აკადემიური თეატრი აშხადებს დასადგმელათ, კ. კაპაიის ახალ პ ვას თანამე როვე ცხარეებიდ-ნ: „როგორ“ პიე ას სდგამს რეჟისარი კ. მარჯანიშვილი. წავა თებერლის ბოლო რიცხვებში.

წელს პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობით ქვემოთ მწერალთა მონაწილეობით დაარსებულა და მუშაობს რამოდენიმე ლიტერატურულ წრეებს ეს წრეები უზთავრესად პროლეტარულ მკითხველთა წრეებია, რომელთა შინაშე შედგენს ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა.

ეს წრეებია: 1. ამბ. მიხ. კახიანიის სახელობის მუშაკთა ლიტწრე, 2. ცენტრალური პარტიული სკოლის ლიტწრე, 3. საფაბრიკო საქარბნო ლიტწრე, 4. პოლიგრაფ სკოლის ლიტწრე, 5. გაზ. „წითელ არმიელთან“ არსებული ლიტწრე, 6. გაზეთ „კომუნისთან“ არსებული მუშაკთა ლიტწრე. ამ წრეებში მუშაობა ყველგან ვერ სწარმოებს მუკოვთ და გეგმიანად, მაგრამ მისი ბოლო რიცხვებისათვის გაბზარებული ამ წრეების მონაწილეობით პროლეტარულ მკითხველთა კონფერენციის მოწვევა.

წელს კომკავშირელ მწერალთა წრე, რომელიც უკვე მესამე წელია რაც მუშაობს და თავის ირგვლივ იკრებს კომკავშირულ ახალგაზრდობის საყვეთესო ძალებს, ისევ აგრძელებს ტრადიციულ მუშაობას, სისტემატიურად იკრიბება გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე და ეწევა ლაბორატორიულ მუშაობას, — იკითხება მოხსენებები სხვადასხვა ლიტ. საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე წრეები მრავლად არსდება პროვინციაშიც, სადაც ზოგან სუსტი ხელმძღვანელობის გამო ნაყოფიერად ვერ სწარმოებს საქმიანობა, მაგრამ ლიტერატურისადმი კომუნისტურ ახალგაზრდობის განსაკუთრებულ ლტოლვას ამჟღავნებს.

ხელმძღვანელი ორგანოები (პარტიული კომიტეტები და სხვ.) ხშირად სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ ამ წრეებს, რასაც მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს.

ახალგაზრდა დამწყები კომკავშირელი და მუშა მწერლები საკიროებენ რჩევა-დარიგებებს და მათ ნაწარმოებების გარჩევა, შეფასებას. ხშირად ისინი (განსაკუთრებით პროვინციელი ავტორები) ვერ პოულობენ საკირო დახმარებას, რაც რასაკვირველია მიუცილებელია მათი ლიტერატურული მუშაობისათვის. ამიტომ საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციასთან, თანხმად უკანსკნულ პლენუმის დადგენილებისა დაარსდა საკონსულტაციო ბიურო, რომელიც აწარმოებს ამ ხაზით მუშაობას. ლიტკონსულტაცია აძლევს დახმარებას მწერლებს, იძლევა მათი ნაწარმოებების შეფასებას. ხელთანაწერები საკონსულტაციოთ იგზავნება ხელოვანთა სასაბლემში, პროლეტმწერალთა ასოციაციაში.

განოვიდა და იყოფება, ამიერ-კავკასიის პროლეტმწერალთა ასოციაციის ორგანო „На рубеже востока“-ს მორიგი 1929 წლის პირველი ნომერი (№ 1). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: 1. ა. ბაკუნცი „ონატან მორა“, 2. ა. მაშაშვილი „პოეტი კაპიტანი“, 3. პ. სამსონიძე — „პირველი ქართველი“, 4. გ. სორიანი — „გულხანდა“ (ლექსი), 5. ს. რუსთამ — „უკანასკნელი წერილი“ (ლექსი), 6. ბ. ტალიბლი — „ერეკ ტრეხბანა“, 7. ვ. ნორენცი — „ზრდა“ (ლექსი), 8. ხალბარცი

—ხალხური სიმღერა, ლიტერატურული მემკვიდრეობა მ. გ. ნი-
ნოშვილი—„ტარიელ მკლავაძე“. თეორია და კრიტიკა: 10. გ. ვინან-
დელი—„მემარცხენე საშისრობა და პროლეტარული რეალიზმისთვის ბრძოლა, 11.
ნაზმი ფიქმეტი—„თანამედროვე ოსმალური ლიტერატურა, 12. და [საქართველო-
„ჩრდილო-ოსეთის სახალხო მუსიკალური შემოქმედება“ და ბიჭვინტყვენი. 1937-38]
ნალი ღირს 75 კაპ.

ამ უახლოეს ხანში „კომკავშირელ მწერალთა“ წრეში და ასოციაციის სხვა
ლიტწრეებში კ. ლორთქიფანიძე წაიკითხავს თავის ახალ მოთხრობას კომკავშირე-
ლების ცხოვრებიდან „პირველი დედა“-ს.

ამ დღეებში რუსეთში გამოვიდა („ზელია ი ფაბრიკა“-ს გამოცემა) სა-
ქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის წევრის (რუსული სექცია) ი. დარე-
ჯიციის ახალი რომანი „На отмели“, რომანის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ
-ს ჰენი ჰევინის რეკონსტრუქციული პერიოდის „ცემენტია“. რომანი შეიცავს
800 გვერდს და ღირს სამი მანეთი.



ს. მ. უ. ს. ჰოლოგრაფტრესტის მე-3 სტამბა

შ.კ.გ. № 973. ტირ. 1000 ნთავლ. 243